დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ASAVALI.GE ASDAS.GE

# ასავალ დასავალი

2022 წლის 7 — 13 მარტი

N 11 1423

ფასი 3 ლარი და 30 თეთრი

ზაზა პაპუაშვილი:

# რა გინდათ, ომის ჯოჯოხეთში უნდა ჩაითრიოთ ჩემი ქვეყანა?

2-3







# ზელენსკი, შენგან განსხვავებით, არ ვიკადრებთ, რომ უკრაინა სამ ასოზე გავუშვათ!



## ნაციონალური მოძრაობა დღეისათვის უკრაინის ხელისუფლებაში იმყოფება!

4-5

КОМУНИСТИ

## კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მარტი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 56 (15269)

# მარტობის 50 წლისთავი

6-7

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

### სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ო. ი. ლოლაშვილის მოხსენება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა, რათა დარაზმოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორ-

...მატიკის ნაკეთობათა, ფეხსაცმლის, აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის გამოშვების დავალებებს. 1971 წელს ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, დაქვეითდა შრომის ნაყოფიერება წინა წელთან შედარებით. ბევრ საწარმოში ნელა მაღლდება წარმოების ტექნიკური დონე, სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, მცირდება ფონდამოგება, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. საქალაქო ორგანიზაციებმა შარშან დაი-

ორგანიზაციებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელებაში, რომელიც მათ სკკპ XXIV ყრილობამ მიანიჭა.

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნა პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. იგი სუსტად დაკავშირებულია ცხოვრებასთან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკუთრებისად-

## «მსოფლიოში არსებული პოლიტიკური განლაგება იცვლება!»

16



## შევარდნაძის მესამედ მოსვლა



# «რა გინდათ, ომის ჯოჯოხეთში უნდა ჩაითრიოთ ჩემი ქვეყანა? ამის საშუალებას არ მოგცემთ!“

**ხება უკრაინაში მოხალისეების გაგზავნას, ამას საქართველო კი არა, ჩვენზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოებიც არ აკეთებენ, რადგან თავიანთ ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ და არ სურთ, სამხედრო კონფლიქტში მხარედ დაფიქსირდნენ.**

**— თუმცა, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოდან საკუთარი ელჩი სწორედ ამის გამო გაიწვია! როგორ აფასებთ ზელენსკის ამ ნაბიჯს?**

— ზელენსკის საქციელი საქართველოსთან მიმართებაში უვიცობა, უმადურობა და უზრდელობაა! **შენი ქვეყანა გაგანია ომშია და შენ ამ დროს მოიცალე, რომ საქართველოდან ელჩი გაგეწვია? კი მაგრამ, რისი გულისათვის?** იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვიღაც პროვოკატორებს — მოხალისე „რაინდებს“ თვითმფრინავი არ გამოუყო და უკრაინაში საომრად დოლ-გარმონით არ გააცილა? რა გინდათ, ომის ჯოჯოხეთში უნდა ჩაითრიოთ ჩემი ქვეყანა? ამის საშუალებას არ მოგცემთ! **ქართველებს სა-**

## ზაზა პაპუაშვილი:

# ზელენსკის საქციელი საქართველოსთან მიმართებაში უვიცობა, უმადურობა და უზრდელობაა!

***ნაციონალურმა მოძრაობამ ვითომდა უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად დაწყებული აქციები საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგებში გადაზარდა და რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ახალგაზრდებს გირჩი ჯაფარიძის პირით პარლამენტის შენობაში შეჭრისკენაც კი მოუწოდა. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ცნობილ მსახიობს, პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით:***

— ნაციონალური მოძრაობა არის მკვეთრად გამოხატული ბოროტება, რომელიც მუდამჟამს ქვეყნის ღალატით საზრდოობს. საკუთარი ომიდან გაქცეულები და ტერიტორიის ჩამბარებლები ვითომ უკრაინის ბედ-იღბალს დასტირიან, მაგრამ სიცრუე და ფარისევლობა ზედ აწერიათ. **ხომ ხედავთ, ნაცებმა თავიანთი ბელადი სააკაშვილი თვითონვე გააჩოჩეს გვერდზე და ახლა ცდილობენ, ზელენსკი გაიხადონ ბელადად.** მოკლედ, უთავმოყვარეობის, ხეპრეობისა და პროვინციალიზმის პიკში იმყოფებიან.



**— ნაცები იმას აპროტესტებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა და უკრაინაში საომრად მოხალისეების გაგზავნა არ უზრუნველყო!**

— სრულიად ვეთანხმები საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა, რადგან ამის არანაირი რესურსი არ გაგვაჩნია. **რაც შეეკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი ომის უბედურება და თანავუგრძნობთ უკრაინელ ხალხს, მაგრამ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ზელენსკით დაწყებული და ვილაც ახვარი გონჩარენკოთი დამთავრებული, პასუხი უნდა აგონ იმ უზრდელობის გამო, რაც ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ გამოიჩინეს.**

**— უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ არამეგობრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ მაშინ გამოამჟღავნა, როცა სააკაშვილი, ადეიშვილი და ქართუ-**

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს,** რაც აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული. **მჯერა, ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით** და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს.

„TV იმედი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

**ჩვენი ქვეყანა მზად არის, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.**

„აიპრესი“



**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*

მთავრობა პრემიერის მეთაურობით აპირებს, რომ **ამ ურთულეს წუთებში საქართველოში შევინარჩუნოთ მშვიდობა,** არ უნდა დავუშვათ ომი, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გადავიტანეთ.

„იმედინიუსი“



**ალექსანდრ შტუბი**
*ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი*

**პუტინს** უნდა, რომ აღადგინოს ნოსტალგიური, ისტორიული **დიდი რუსეთი,** სადღაც 1800 წლის საზღვრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის მოდელზე იქნება აგებული. **პუტინის** ისტორიული, **დიდი რუსეთი** სამი ელემენტისგან შედგება: **ერთი ენა** — რუსული, **ერთი რწმენა** — მართლმადიდებლობა და **ერთი ლიდერი** — თავად **პუტინი.**

„რადიო თავისუფლება“



**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტარი*

როდესაც მთელი მსოფლიო გაერთიანებულია **უკრაინის მხარდასაჭერად,** ამ ძალიან მძიმე პროცესს ჩვენი **რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლებასთან საბრძოლველად იყენებს.**

„იმედინიუსი“




თბილისში, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილები უსმენენ უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართვას, იქვეა პლაკატი „თავისუფლება სააკაშვილს!“. 2022 წლის 4 მარტი.

## „როგორც ეს ვიგინდარა სააკაშვილი არ ნიშნავდა და არ ნიშნავს საქართველოს, ისე ზელენსკი და მისი ხელისუფლება არ ნიშნავს ჩემთვის უკრაინას და უკრაინელ ხალხს!“

**ლი მართლმსაჯულების მიერ ძებნილი სხვა დამნაშავეები არამხოლოდ შეიფარა, არამედ თანამდებობებზეც დანიშნა!**

— ამ არამეგობრული ნაბიჯის გამო უკრაინის ხელისუფლებას თავის დროზე რომ არ მოვთხოვეთ პასუხი, ალბათ, ამიტომაც არიან დიდგულზე! ძალიან აღშფოთებული ვარ და ძლივს ვიკავებ თავს, ის სიტყვები არ ვთქვა, რაც ენაზე მადგას.

**უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებო, ტყვიებისა და ბომბების წვიმაში საქართველოს ხელისუფლების სალანძღავად რომ გცხელათ, თავი ხომ არაფერს მიარტყით?**

ადამიანობაში, ვაჟკაცობაში, რწმენაში, სიყვარულში საქართველოს ბადალი არ ჰყავს და ნურც ნურავინ შეეცდება, ჭკუა დაგვარიგოს, ცოტა ფრთხილად იყვნენ! **შეგვიძლია, სოლიდარულები ვიყოთ, ლუკმას გაგიყოფთ, სისხლს გადაგისხამთ, სახლსაც დაგითმობთ, სანამ თქვენს სახლს მოაწესრიგებთ, მაგრამ ჩემი ქვეყანა შარში რომ გახვიოთ, ამის უფლებას არ მოგცემთ და პასუხსაც მოგთხოვთ!**

როგორც ეს ვიგინდარა სააკაშვილი არ ნიშნავდა და არ ნიშნავს საქართველოს, ისე ზელენსკი და მისი ხელისუფლება არ ნიშნავს ჩემთვის უკრაინას და უკრაინელ ხალხს! ჩვენმა ქვეყანამ ახლა ერთიანობა უნდა გამოიჩინოს და თუნდაც ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციით ვაჩვენოთ ყველას, რომ საქართველოს არავის დავანგრევინებთ!

**— „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიზანი საქართველოს ომში ჩათრევაა! თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**– საქართველოს ნომერ პირველი მტერია ეს „მეხუთე კოლონა“, ეს შინაური მოღალატეების ხროვა ნაციონალური მოძრაობის სახით,** რომელიც ხელისუფლებაში დასაბრუნებლად მზად არის, ქვა ქვაზე არ დატოვოს. ამასთან, საქართველოს გარეთაც არსებობენ ძალები, რომელთა იდეაფიქსს წარმოადგენს, მსოფლიოს რუსეთის აგრესიული სახე ჩვენნაირი ქვეყნების წელში გადატეხის ხარჯზე დაანახონ!

ბოლოს და ბოლოს, გაიგოს ყველამ, რომ ქართველი ერის საკაცობრიო ფუნქცია სულაც არ არის, ვინმეს შემჩიჩხინებელი და გამღიზიანებელი იყოს, **ჩვენ ჩვენი პოლიფონიით, ღვინით, სამი ანბანით, ხუროთმოძღვრებით, ქედლის მხატვრობით, ხელნაწერებით, ჩვენი კულტურული კოდით კაცობრიობის წინაშე ბევრად მაღალი და საპატიო მისია გვაკისრია!**

ასე რომ, ყველამ იცოდეს — საქართველოში ომი არ იქნება. **წერტილი.**

და კიდევ, ვერავინ გაბედავს საქართველოს ხელისუფლების შეცვლას არაკონსტიტუციური გზით, რადგან ეს არის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომლის შეცვლაც მხოლოდ არჩევნების გზით შეიძლება. **აქაც წერტილი.**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***




უკრაინის რადას დეპუტატი **გონჩარენკო,** რომელიც **საქართველოს ხელისუფლების მისამართით შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს,** უახლოეს წარსულში უკრაინის პრორუსი პრეზიდენტის **ვიქტორ იანუკოვიჩის** ხელისბიჭი იყო და **ითხოვდა რუსული უკრაინის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო.**

## „უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ზელენსკით დაწყებული და ვიღაც ახვარი გონჩარენკოთი დამთავრებული, პასუხი უნდა აგონ იმ უზრდელობის გამო, რაც ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ გამოიჩინეს!“

## კვირგვინოსნები

### შარლ მიშელი
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



**ევროკავშირი რუსეთთან ომში არ არის** — უკრაინა არ არის ნატოს წევრი და ამიტომ **უკიდურესი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.**

„იმედინიუსი“

### ენტონი ბლინკენი
*აშშ-ის სახელმწიფო მდივანი*



**ამერიკელ მოხალისეებს,** რომლებიც უკრაინაში გამგზავრებაზე ფიქრობენ, **მკაფიოდ მოვუწოდეთ, რომ ეს არ გაეკეთებინათ,** არსებობს დახმარების ბევრი გზა, მათ შორის, ჰუმანიტარული.

„იმედინიუსი“

### ბორის ჯონსონი
*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი*



ჩვენ გადავწყვიტეთ, მივიღოთ **ყველაზე მკაცრი ეკონომიკური ზომები პრეზიდენტ პუტინის წინააღმდეგ** უკრაინის მიმართ გატარებული საზიზღარი კამპანიის გამო. **პუტინი უნდა დამარცხდეს.**

„რეზონანსი“

### იენს სტოლტენბერგი
*ნატოს გენერალური მდივანი*



**ნატო არ აპირებს ჯარების გაგზავნას უკრაინაში ან თვითმფრინავების გადაყვანას უკრაინის საჰაერო სივრცეში.**

„რეზონანსი“

### ანჯეი დუდა
*პოლონეთის პრეზიდენტი*



**ჩვენ არ ვაგზავნით გამანადგურებლებს უკრაინაში,** რადგან ეს გამოიწვევს სამხედრო ჩარევას უკრაინის კონფლიქტში. **ჩვენ არ ვუერთდებით ამ კონფლიქტს.**

„რეზონანსი“

### დალია გრიბაუსკაიტე
*ლიეტუვის ყოფილი პრეზიდენტი*



**მრცხვენია,** როცა ნატოს ლიდერები ჩივიან, რომ **„კონფლიქტში ვერ ჩაებმებიან“!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ზელენსკი,

## შენგან განსხვავებით, არ ვიკადრებთ, რომ უკრაინა სამ ასოზე გავუშვათ!

***ახლა, როცა მშვიდობიანი უკრაინელი ხალხის თავზე რუსული ბომბები ცვივა, ჩვენთვის ნამდვილად არ არის იოლი, უკრაინის ხელისუფლებაზე დავწეროთ ის, რასაც იგი ყველა პატრიოტი, თავმოყვარე და ეროვნული ღირსებით გამსჭვალული ქართველისაგან იმსახურებს, მაგრამ თავად უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი და მისი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებმაც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ პოლიტიკური და დიპლომატიური დემარშისათვის გაგანია ომის დროსაც კი მოიცალეს, სხვა გზას, უბრალოდ, არ გვიტოვებენ.***

ჩვენ წლებია, ვწერთ იმის შესახებ, რომ **უკრაინის ბოლო ორი ხელისუფლება** — ჯერ პოროშენკოს, ახლა კი ზელენსკის მეთაურობით — არანაირად არ არის საქართველოს მეგობარი!

**უკრაინის ბოლო ორი ხელისუფლება** უკვე წლებია, ქართული სახელმწიფოს აბუჩად აგდებითა და ქართველი ხალხის დაცინვით არის დაკავებული!

**უკრაინის ბოლო ორმა ხელისუფლებამ** არაერთხელ გვითხრა და გვიჩვენა, რომ ისინი პატივს არ სცემენ ქართველი ხალხის ნებას, ჩალის ფასად არ უღირთ ქართული სახელმწიფოს ინტერესები და ფეხებზე ჰკიდიათ ქართული მართლმსაჯულება!

**ჯერ პოროშენკომ და მერე ზელენსკიმ დემონსტრაციულად, ნიშნის მოგებითა და ცინიკურად დაგვანახეს, რომ მათთვის საქართველოსა და ქართველ ხალხზე მაღლა სააკაშვილი, ადეიშვილი, საყვარელიძე და სხვა ნაცკრიმინალები დგანან!**

სწორედ, ამის დასტურია, რომ ისინი, ვინც საქართველოში კაცისმკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი შექმნეს და ქართველ ხალხს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს, **უკრაინის ბოლო ორმა ხელისუფლებამ** გულში ჩაიხუტა, ხელისგულზე დაისვა და თანამდებობებზე გაამწესა!

უკრაინის პრეზიდენტმა **პოროშენკომ** და უკრაინის პრეზიდენტმა **ზელენსკიმ** ნაცდამნაშავეთა შეფარებითა და აღზევებით ფეხქვეშ გათელეს **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანის, გურამ შარაძის, გია კრიალაშვილის, სერგო თეთრაძის,**



**როინ შავაძის, დათო ცინდელიანის, პაატა ქარდავასა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახოცილი ყველა ადამიანის სული, მათი ჭირისუფლების ღირსება და სრულიად ქართველი ერის ტკივილი!**

**პრეზიდენტმა პოროშენკომ და პრეზიდენტმა ზელენსკიმ** ნაცდამნაშავეების შეფარებითა და აღზევებით სულში ჩააფურთხეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს სასტიკად დარბეულ საქართველოს მოქალაქეებს, ციხეებსა და სამეგრელოს ტყეებში ნაწამებ და გაუპატიურებულ ქართველ კაცებს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **პრეზიდენტმა პოროშენკომ და პრეზიდენტმა ზელენსკიმ** ნაცდამნაშავეების შეფარებითა და აღზევებით სამი თითის კომბინაცია უჩვენეს ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს, რომელიც წლების განმავლობაში ითხოვდა სააკაშვილისა და სხვა სახელმწიფო კრიმინალების წარდგენას ქართული მართლმსაჯულების წინაშე!

**პრეზიდენტმა პოროშენკომ და პრეზიდენტმა ზელენსკიმ** ქართველებთან მკაფიო გზავნილი გამოუშვეს — **ჩვენ არ გვაინტერესებს, რომ 9 წლის განმავლობაში გარბევდნენ, გაწამებდნენ, გაუპატიურებდნენ, გკლავდნენ, უსამართლოდ გაპატიმრებდნენ, ქონებას გართმევდნენ და სამშობლოდან გაძევებდნენ, რადგან ისინი, ვინც ამ ყველაფერს გიშვრებოდათ, ჩვენი მეგობრები არიან, ჩვენთან არიან და ჩვენ მათ დავიცავთ, რომ ქართული კანონის წინაშე პასუხი არ აგონ!**

მოკლედ,

**უკრაინის ბოლო ორმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოს უთხრა ის, რაც ამ ათიოდე დღის წინათ კუნძულ ზმეინზე უკრაინელმა მეზღვაურებმა უპასუხეს რუსული სამხედრო გემის ეკიპაჟს, რომელიც მათ დანებებისაკენ მოუწოდებდა – „იდი ნა ხ...ი!“ *(ცენზურა ჩვენია. რედ.).***

ყოველივე ამის შემდეგ უკრაინის ხელისუფლებას, უბრალოდ, მორალური უფლება არ გააჩნდა, საქართველოს ხელისუფლებისაგან იმაზე მეტის მოლოდინი ჰქონოდა, რასაც ქართული სახელმწიფო რუსეთთან ომში მყოფი უკრაინის მხარდასაჭერად აკეთებს!

დიახ, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საქართველოს პარლამენტი ერთ-ერთი პირველი იყო დემოკრატიული სამყაროს ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელ პარლამენტებს შორის, რომელმაც უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო!

**უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველო შეუერთდა ყველა პოლიტიკურ სანქციას კრემლის წინააღმდეგ — ხმა მისცა რუსეთის გარიცხვას ევროსაბჭოდან, დაასპონსორა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც რუსეთს პასუხისმგებლობას აკისრებს უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის გამო და ხელი მოაწერა დასავლეთის ქვეყნების მიერ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ კოლექტიურ სარჩელს!**

საქართველო ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს ომში მყოფი უკრაინის მოსახლეობას! მაშინ, როცა აშშ-მა და ყველა ევროპულმა სახელმწიფომ თავიანთი საელჩოები კიევიდან საბრძოლო მოქმედებების თეატრს მოშორებულ ლვოვში გადაიტანეს, საქართველოს საელჩო ერთადერთია, რომელიც დღემდე უკრაინის დედაქალაქში ტყვიებისა და ბომბების წვიმაში აგრძელებს მუშაობას!

დიახ, ამ ყველაფერს აკეთებს პატარა საქართველო, რომელიც თავად არის რუსული აგრესიის მსხვერპლი და რუსეთის საოკუპაციო ჯარი დედაქალაქიდან ორმოციოდე კილომეტრში უდგას!

**უკრაინის ხელისუფლება, პრეზიდენტ ზელენსკის მეთაურობით, წესით, სინდისს უნდა შეეწუხებინა და თუ საჯაროდ არ იტყოდა, საკუთარ თავს მაინც უნდა გამოსტყდომოდა — აი, ყოჩაღ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ამ გასაჭირში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმით გვიდგას გვერდში იმის მიუხედავად, რომ ჩვენ მის მიერ ძებნილი დამნაშავეები არამხოლოდ შევიფარეთ, არამედ მაღალ თანამდებობებზეც დავნიშნეთო!**

თუმცა, საქართველომ უკრაინის ხელისუფლებისაგან მადლიერების ნაცვლად მორიგი პო-

**ჯერ პოროშენკომ და მერე ზელენსკიმ დემონსტრაციულად, ნიშნის მოგებითა და ცინიკურად დაგვანახეს, რომ მათთვის საქართველოსა და ქართველ ხალხზე მაღლა სააკაშვილი, ადეიშვილი, საყვარელიძე და სხვა ნაცკრიმინალები დგანან!**

## კვირგვინოსნები

**კაკუნა ჯანელიძე**
*საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი*



**პუტინი უკვე დამარცხებულია!** შესაძლოა ტაქტიკური გამარჯვება მოიპოვოს, მაგრამ ის მოკლევადიანი იქნება.

„TV პირველი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა ჩაიშალა.**

„TV იმედი“

**ნანა დევდარიანი**
*„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



**საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს რომ შეუერთდეს, ერთ კვირაში ქვეყანა თავზე დაგვემხობა.** ამ უსინდისოებს დაავიწყდათ, სწორედ **სააკაშვილის დროს** რომ გადაეცა რუსეთს ყველა სტრატეგიული ობიექტი და სერიოზული ბიზნესი?!

„საერთო გაზეთი“

**თენგიზ დიხამინჯია**
*უზენაესი საბჭოს დეპუტატი*



**პუტინს ერთადერთი შვილმკვდარი დედების ეშინია, რომ არ აუმხედრდნენ, პროტესტმა მასობრივი ხასიათი არ მიიღოს და მკვლელობის ლეგიტიმაცია ჰქონდეს.** რუსული საეკლესიო ადმინისტრაციისა და პოლიტიკოსებისაგან ლეგიტიმაცია ხომ მოიპოვა, ამიტომ **პუტინს ერთადერთი, კუბოების სიმრავლისა ეშინია.**

„ახალი თაობა“

**გიორგი ყარყარაშვილი**
*გენერალ-მაიორი*



ჩვენი სანქციები **კოლოს ნაკბენივით იქნებოდა** და ქართველ ხალხს უფრო დააზარალებდა.

„TV იმედი“

# ნაცმოძრაობა დღეს უკრაინის ხელისუფლებაში იმყოფება!

ლიტიკური წიხლი მიიღო — ზელენსკიმ უკრაინის ელჩი **იგორ დოლგოვი** თბილისიდან გაიწვია იმ საბაბით, რომ ქართული სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდა და ომში ქართველი მოხალისეების ორგანიზებული გაგზავნა არ უზრუნველყო!

**მერე რა, რომ** დასავლეთის დიდი და ძლიერი სახელმწიფოების მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს საქართველოს გარდა კიდევ ბევრი ქვეყანა, მათ შორის, რუსეთის მიერ ოკუპირებული მოლდოვაც კი არ შეუერთდა?

**მერე რა, რომ** უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ საომრად მოხალისეების გაგზავნაზე მარტო საქართველომ კი არა, ნატო-სა და ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ თქვა უარი, რადგან ეს სამხედრო კონფლიქტში პირდაპირ ჩართვას ნიშნავს?

**ზელენსკიმ ელჩი მხოლოდ საქართველოდან გაიწვია!**

თქვენ წარმოიდგინეთ, **ბელარუსიდანაც კი, რომლის ტერიტორიასაც რუსეთი უკრაინისათვის რაკეტების სასროლად იყენებს, ზელენსკის ელჩი არ გაუწვევია, მაგრამ ადგა და ელჩი გაიხმო საქართველოდან, რომელიც უკრაინას სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს!**

რა ხდება და რაშია საქმე?

**რატომ ჰგონია უკრაინის ხელისუფლებას, რომ საქართველომ საკუთარ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე უარი უნდა თქვას, საკუთარი მშვიდობა და სტაბილურობა დარტყმის ქვეშ უნდა დააყენოს და ისეთი ნაბიჯები გადადგას, რაც რუსეთთან ომში ჩართვის ტოლფასი იქნება?**

**რატომ ფიქრობენ პრეზიდენტი ზელენსკი და მისი გარემოცვა,** რომ შეუძლიათ, საქართველოს მოსთხოვონ ის, რასაც დედამიწის ზურგზე ვერცერთ სხვა ქვეყანას ვერ მოსთხოვენ?

სხვა თუ არაფერი, **სააკაშვილის, ადეიშვილისა და სხვა ნაცდამნაშავეების** მეგობარ და მფარველ უკრაინის ხელისუფლებას, რომელმაც **საქართველო არაერთხელ გაუშვა „სამ ასოზე“,** რატომ ჰგონია, რომ უფლება აქვს, საქართველოს რაიმე პრეტენზია წაუყენოს?

ცხადია, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ქართველი ხალხის მიერ საქართველოს ხელისუფლებიდან გაბუნძულებული ნაციონალური მოძრაობა დღეს უკრაინის ხელისუფლებაში იმყოფება!

გონივრულზე უფრო გონივრული ეჭვი არსებობს, რომ საქართველოდან ელჩის გაწვევის იდეის ავტორები უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი **ზურაბ ადეიშვილი,** უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე **დავით საყვარელიძე,** ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე** და სააკაშვილის უკრაინული პარტიის ყოფილი წევრი, ამჟამად კი ზელენსკის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და რადაში ფრაქციის თავმჯდომარე **დავით არახამია** იყვნენ. მათ მოახერხეს, უკრაინის პრეზიდენტი საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური და დიპლომატიური დემარშის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.



გონივრულზე უფრო გონივრული ეჭვი არსებობს, რომ **საქართველოდან ელჩის გაწვევის იდეის ავტორები** უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი **ზურაბ ადეიშვილი,** უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე **დავით საყვარელიძე,** ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე** და სააკაშვილის უკრაინული პარტიის ყოფილი წევრი, ამჟამად კი ზელენსკის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და რადაში ფრაქციის თავმჯდომარე **დავით არახამია** იყვნენ!

**სულაც არ არის გასაკვირი, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ შეფარებულ და გაჯეჯილებულ ნაცდამნაშავეებს საქართველოს წინააღმდეგ დესტრუქციისა და საბოტაჟისათვის სცხელათ მაშინაც კი, როცა უკრაინა ომის ქარცეცხლშია გახვეული, მაგრამ ასეთ უმძიმეს ვითარებაში უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის რატომ სცხელა ნაცდამნაშავეთა ჭკუაზე სასიარულოდ საქართველოს „სამ ასოზე“ გაშვებად?**

საქმე ის არის, რომ სწორედ ახლა კიდევ ერთხელ დაემთხვა ერთმანეთს ნაციონალური მოძრაობისა და უკრაინის ხელისუფლების ინტერესი, რაც საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას გულისხმობს!

ნაციონალურ მოძრაობას რუსეთთან ომში საქართველოს ჩათრევა ხელს აძლევს იმიტომ, რომ სააკაშვილის ხროვა მხოლოდ ამაშიღა ხედავს ხელისუფლების ჩამოშლისა და ძალაუფლების დაბრუნების გზას!

**ზელენსკის ხელისუფლებას რუსეთთან ომში საქართველოს ჩათრევა აწყობს იმიტომ, რომ კრემლს სამხედრო ძალის გადანაწილება ორ ფრონტზე მოუწევს, რაც მის მდგომარეობას გაართულებს, პუტინი კი მსოფლიოს თვალში გამოჩნდება კიდევ უფრო დიდ აგრესორად, რომელიც ერთდროულად ორი სუვერენული ქვეყნის დაპყრობას ცდილობს!**

ერთი სიტყვით, ნაციონალური მოძრაობა, რომლის ერთი ნაწილიც უკრაინის ხელისუფლებაში იმყოფება, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობს, მზად არის, საქართველო კიდევ ერთხელ შეაგდოს რუსული ტანკის მუხლუხოებში, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა!

თანაც, თუ ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს მარტომ მოახერხა, რომ საქართველო რუსეთთან ომში ჩაეთრია, ახლა მას ამ საქმეში მოკავშირეც ჰყავს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის სახით!

ამიტომაც არის, რომ

**ზელენსკის ხელისუფლება და სააკაშვილის ხროვა ხმაშეწყობილად ახორციელებენ პოლიტიკურ, დიპლომატიურ და მორალურ წნეხს**

**საქართველოს ხელისუფლებაზე!**

საქართველოს ხელისუფლებამ ამ წნეხს უნდა გაუძლოს და მას ამაში ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის მხარდაჭერა და სოლიდარობა გარანტირებული აქვს!

**უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისა და სააკაშვილის ხროვას, რომლებიც კოორდინირებულად ცდილობენ საქართველოს ომში ჩათრევას, ქართველმა ხალხმა უნდა უთხრას ისევ და ისევ ის, რაც კუნძულ ზმეინზე უკრაინელმა მეზღვაურებმა უპასუხეს რუსული სამხედრო გემის ეკიპაჟს, რომელიც მათ დანებებისაკენ მოუწოდებდა – „იდი ნა ხ...ი!“ *(ცენზურა ჩვენია. რედ.).***

ქართველმა ხალხმა ნაციონალური მოძრაობა დიდი ხანია, **„სამ ასოზე“** გაუშვა!

ქართველი ხალხი **„სამ ასოზე“** გაუშვებს ყველას, ვინც ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად შეეცდება, საქართველო ახალი ომისა და სისხლისღვრის პოლიგონად გადააქციოს!

რაც შეეხება **პრეზიდენტ ზელენსკის,** რომელიც ჯერ ნაცკრიმინალების შეფარებითა და თანამდებობებზე დანიშვნით, ახლა კი თბილისიდან ელჩის გაწვევითა და პოლიტიკური დემარშით **საქართველო „სამ ასოზე“** გაუშვა, მხოლოდ ერთ რამეს ვეტყვით — **ზელენსკი, შენგან განსხვავებით არ ვიკადრებთ, რომ უკრაინა „სამ ასოზე“ გავუშვათ!**

მშვიდობა უკრაინას!

მშვიდობა საქართველოს!

## ბოლოთქმა

რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ უკრაინამ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე დაუნდობელ და პირსისხლიან ჯალათს, ქართული მართლმსაჯულების მიერ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის ძებნილ **ალექსანდრე მუხაძეს** — გლდანის ციხის ყოფილ დირექტორს, რომელსაც საქართველოში **„ქილერას“** მეტსახელით იცნობენ.

**ესეც კიდევ ერთი დასტურია, რომ** უკრაინის ხელისუფლება არა საქართველოს, არამედ სააკაშვილის სისხლიანი და დანაშაულებრივი ხროვის მეგობარია!

**ესეც კიდევ ერთი ნიშანია, რომ** ნაციონალური მოძრაობის ერთი ნახევარი საქართველოს კიევიდან უტევს, მეორე ნახევარი კი — თბილისიდან!

**საქართველო ამ შემოტევას აუცილებლად გაუძლებს და მშვიდობას შეინარჩუნებს, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი, ადეიშვილი, საყვარელიძე, ლორთქიფანიძე და ახლა უკვე „ქილერა“ მუხაძეც უკრაინის ხელისუფლებამ მშვიდობაში ვერ მოიხმარა!**

***გიორგი ძაძამია***

# სააკაშვილის, ადეიშვილისა და სხვა ნაცდამნაშავეების მეგობარ და მფარველ უკრაინის ხელისუფლებას რატომ ჰგონია, რომ უფლება აქვს, საქართველოს რაიმე პრეტენზია წაუყენოს?

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ირაკლი ღარიბაშვილი,** როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე. ვფიქრობ, მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო. **საქართველო ვერ შეუერთდება ვერანაირ სანქციებს,** რადგან ძალიან პატარა ქვეყანაა და არც საკმარისი რესურსი აქვს.

„რეზონანსი“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ექსპერტი*



**პუტინმა** უკან დასახევი გზა უკვე მოიჭრა და თუ შეატყო, რომ უკრაინაში ომს აგებს, მაღალია იმის ალბათობა, **მესამე მსოფლიო ომში გადაზარდოს და ბირთვულ იარაღამდეც მიიყვანოს საქმე.**

„რეზონანსი“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



მნიშვნელოვანია, რომ დღეს **ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც გადაწყვეტილებებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იღებს...** მე, როგორც რიგით მოქალაქეს, შემიძლია საკუთარი ბედ-იღბალი სასწორზე შევაგდო, მაგრამ ხელისუფლებას სხვა პასუხისმგებლობა აკისრია. ჩვენს საამაყო ახალგაზრდობას კი მინდა, მივმართო და მოკრძალებით შევახსენო — **პატრიოტიზმი საკუთარი ქვეყნის სიყვარულს ნიშნავს და არა სხვისი ქვეყნის სიძულვილს.**

„კვირის პალიტრა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტ-კონფლიქტოლოგი*



**საქართველოს რუსეთი ვერ გადაუვლის.** რუსეთი უკრაინაში მარცხდება. **ჩვენ ლაჩრულად არ დავუწვებით!**

„ახალი თაობა“

## ხვალ იყო გუშინ!

# შევარდნაძის

***დღეს 2022 წლის 7 მარტია, ზუსტად 50 წლის წინათ კი, 1972 წლის 7 მარტს, საქართველომ შევარდნაძის პირველი მოსვლის სიგნალი მიიღო. ეს იყო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული დადგენილება „სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.***

ამ გრძელი და ენის მოსატეხი სათაურის მქონე დადგენილებას შემოკლებით და გამარტივებულად მოიხსენიებენ, როგორც **„პოსტანავლენიე პო ტბილისკომუ გორკომუ“** ან კიდევ უფრო ლაკონიურად — **„პოსტანავლენიე პო გორკომუ“**. იგი მიჩნეულია ერთგვარ **პოლიტიკურ შეთქმულებად ვასილ მჟავანაძის წინააღმდეგ და ტრამპლინად შევარდნაძის თავბრუდამხვევი პოლიტიკური კარიერისათვის.**

როგორც „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე არაერთხელ ვწერდით, **„პოსტანავლენიე პო ტბილისკომუ გორკომუ“**, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დონე ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება 24-ე ყრილობის მოთხოვნებსა და ამოცანებს“**, 1972 წლის **22 თებერვალს** იქნა მიღებული, თუმცა, დადგენილების ტექსტი პრესაში ორი კვირის შემდეგ — **7 მარტს** დაიბეჭდა.

ასე და ამრიგად, ზუსტად **50 წლის წინათ, 7 მარტს,** გაზეთ „კომუნისტში“ **„პოსტანავლენიე პო გორკომუს“** გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში საქართველოში კეთილი კაცის — **ვასილ მჟავანაძის** მმართველობა დამთავრდა და ბოროტი კაცის — **ედუარდ შევარდნაძის** მმართველობა დაიწყო!

ეს იყო **შევარდნაძის პირველი მოსვლა,** მისი **მეორედ მოსვლა** კი ასევე **7 მარტს** შემდეგ — **1992 წელს, ზუსტად 30 წლის წინათ!** როცა ნაპუტჩარ საქართველოს ღია ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა და დამოუკიდებლობის გზაზე ახალფეხშედგმულ ქვეყანაში კაენის ცოდვა ზეობდა, **თბილისის აეროპორტში ზარ-ზეიმით დადგა ფეხი მოსკოვიდან ჩამოფრენილმა შევარდნაძემ, რომელსაც ზვიად გამსახურდიას დამამხობლებმა სახელმწიფოს საჭე ჩააბარეს.**

ამდენად, **7 მარტი** საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი დღეა, რადგან ამ დღეს, ბოლო **50 წლის განმავლობაში,** საქართველოს შევარდნაძის სახით ორჯერ მოევლინა პოლიტიკური და მენტალური ბოროტება, რომელიც დღემდე გრძელდება!

დიახ,

**მენტალური და კოლექტიური შევარდნაძე არსებობას აგრძელებს ყველა იმ ადამიანში, ვისაც დღეს საქართველოს ეროვნული ინტერესები ფეხქვეშ გაუფენია და პირადი ამბიციებისა და პირადი კეთილდღეობის, თავისი კარიერისტული და მერკანტილური ვნებების სამსახურში ჩაუყენებია!**

სადაც უსამართლობაა, სადაც უღმერთობა და ურწმუნოებაა, სადაც ქართულ სახელმწიფოს შხამსა და სამსალას უმზადებენ, სადაც ქართველ ხალხს სიღარიბისათვის სწირავენ და მის დოვლათს იჯიბავენ, სადაც კანონი მხოლოდ უჩინოთათვის არსებობს და ჩინიანებისთვის — არა, სადაც მზად არიან, ძალაუფლების გამო თანამოძმეთა გვამებზე გადაიარონ და ქვეყანას განვითარების პერსპექტივა მოუკლან, ყველგან მენტალური და კოლექტიური შევარდნაძე ჰგიებს!

**მენტალური და კოლექტიური შევარდნაძის ზეობის გამოა, რომ საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს კი არ იბრუნებს, არამედ ახალ-ახალ ტერიტორიებს კარგავს!**

**ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველო აქტიური და შრომისუნარიანი მოქალაქეებისაგან რომ იცლება და ქართველები ლუკმაპურის საშოვნად**




კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 56 (15269)
7 მარტი შაბათი 1972
ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ






# მარტი

## კვირგვინოსნები

**დავით ზალკალიანი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



აქვე, **40 კილომეტრში დგანან რუსები,** რამდენიმე წუთი დასჭირდებათ, რომ საქართველო თავდაყირა დააყენონ! **როგორ გგონიათ,** პასუხისმგებლიანი მთავრობა, ხელისუფლება, ასეთი სიფრთხილით არ უნდა ეკიდებოდეს პროცესს? **როგორ გგონიათ,** ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რას აპირებენ? ან როგორ აპირებენ?

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლაშა ამირეჯიბი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



ვინც ითხოვთ **რუსეთის წინააღმდეგ სანქციების** დაწესებას, რითი აპირებთ სანქციების დაწესებას, რა ბერკეტები გაგვაჩნია? **ელექტროენერგია, წყალი, ხორბალი და კიდევ სხვა უამრავი ბერკეტი რუსების ხელშია!** მაინტერესებს, რომელ სანქციებზე ლაპარაკობთ, ხომ არ დაგავიწყდათ, ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა,** რუსეთის დიდმა და დაუძინებელმა მტერმა, **ყველა მსხვილი სტრატეგიული ობიექტი რუსებს გადასცა. ფაქტობრივად, აჩუქა.**

„ალია“

**ემზარ კვიციანი**
*კოდორის დამცველი, ვეტერანი მებრძოლი, ყოფილი პარლამენტარი*



გახსოვთ, ალბათ, ცხინვალში ამ **ნაძირალა სააკაშვილმა** რომ დაიწყო სროლები და ბრძოლები, **რუსეთის აგენტმა,** მე რომ მეკითხებოდნენ, **ვინ დაიწყო ომი ცხინვალშიო,** ვიძახდი — **რუსეთმა დაიწყო თავისი აგენტი სააკაშვილის ხელით,** ამას ვიძახდი ყოველთვის და დღესაც ამას ვიძახი.

„ალია“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**გაურკვეველია, საქართველოდან უკრაინის ელჩი რატომ გაიყვანეს,** როცა აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა იგივე განაცხადეს და თქვეს, რომ **უკრაინაში მოხალისეების წასვლას სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუწყონ**

„აიპრესი“

# მესამედ მოსვლა

**თუ ადრე „პოსტანავლენიე პო გორკომუ“ წყვეტდა, თუ როგორ იცხოვრებდა საქართველო და ქართველი ხალხი, ასეთ და კიდევ უარეს „პოსტანავლენიეებს“ საქართველოსთვის დღესაც წერენ სენატში, ევროპარლამენტსა თუ დუმაში მოკალათებული კოლექტიური და მენტალური შევარდნაძეები!**






შევარდნაძის **მეორედ მოსვლა** იყო 1992 წლის 7 მარტს! შევარდნაძის **პირველი მოსვლა** იყო 1972 წლის 7 მარტს!

## 50 წელია, შევარდნაძე მარტის თვეში მოდის, მოდის, მოდის!

**ეს არის მარტობის 50 წელიწადი** — ზუსტად ნახევარი მარტოობის 100 წელიწადისა! ნეტავი, მეორე ნახევარში რა გველის? **მაკონდოს წვიმა 4 წელიწადს, 11 თვესა და 2 დღეს გრძელდებოდა! შევარდნაძიზმის წვიმა 50 წელია, გრძელდება!** გადაიღებს კი?!

**ჯაბა ხუბუა**

## 9 მთასა და 9 ზღვას იქით რომ მოჯამაგირეობენ, ეს სწორედ მენტალური და კოლექტიური შევარდნაძიზმის ბრალია!

**მენტალური და კოლექტიური შევარდნაძიზმია** იმის მიზეზიც, რომ საქართველოს თვითკმარი სოფლის მეურნეობა ვერ აუშენებია, სასურსათო ეროვნული უსაფრთხოება ვერ შეუქმნია და თურქეთის, ირანისა და რუსეთისაკენ გაუწვდია ხელი იმის სამათხოვროდ, რაც შეუძლია, თავადვე დათესოს, მოიმკას და თავი ირჩინოს ისე, რომ არავისზე დამოკიდებული არ იყოს.

რაც ყველაზე სავალალოა, **კოლექტიური და მენტალური შევარდნაძიზმის** გამოისობით საქართველო სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს მხოლოდ ქაღალდზეღა ინარჩუნებს, რეალურად კი საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონობა არ ძალუძს და იმით სუნთქავს, იმით ცხოვრობს და არსებობს, რასაც ვაშინგტონში, ბრიუსელსა თუ მოსკოვში გადაუწყვეტენ!

თუ ადრე **„პოსტანავლენიე პო გორკომუ“** წყვეტდა, თუ როგორ იცხოვრებდა საქართველო და ქართველი ხალხი, ასეთ და კიდევ უარეს „პოსტანავლენიეებს“ საქართველოსთვის დღესაც წერენ სენატში, ევროპარლამენტსა თუ დუმაში მოკალათებული კოლექტიური და მენტალური შევარდნაძეები!

არ გეგონოთ, რომ შევარდნაძიზმი მხოლოდ ქართული, ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენაა! არა, მენტალური და პოლიტიკური შევარდნაძიზმი გლობალური მასშტაბის ბოროტება გახლავთ!

თუნდაც ის, რაც ახლა, **2022 წლის 7 მარტის მდგომარეობით** უკრაინაში ხდება, **გლობალური შევარდნაძიზმის** გამოძახილია!

ომი, ნგრევა, უიმედობა და სიკვდილის ყალყზე შედგომა! — ეს შევარდნაძიზმის გამოვლინებაა!

**ეს შევარდნაძის მესამედ მოსვლაა!**

დიახ, დგას **2022 წლის 7 მარტი** და შევარდნაძის მესამედ მოსვლის ხანა!

თემის გაგრძელება მე-18-20 გვერდებზე

# ომის 50 წელიწადი

## კვირგვინოსნები



**ლევან ვასაძე**
*ფილანტროპი*

**ქართველი მოხალისეები უკრაინაში მაინც ჩავიდნენ.** ასე რომ, უკრაინიდან სპეციალური თვითმფრინავის გამოგზავნა მოხალისეების წასაყვანად **იყო გარკვეული პროვოკაციაც კი უკრაინის მთავრობის მხრიდან.**

„იმედინიუსი“



**ბიძინა გიორგობიანი**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*

**ჩვენგან ელჩის საკონსულტაციოდ გაწვევა,** როცა ბელარუსიდან არ გაუწვევიათ ელჩი, **იმ პოლიტიკური ძალის დაკვეთას ჰგავს, კიევში წლებია, რეზკომი რომ აქვს მოწყობილი.**

„იმედინიუსი“



**გიორგი გაჩეჩილაძე**
*„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი*

**პუტინის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენება მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს.** ჩერნობილის აფეთქება 1981 წელს მოხდა, რომელმაც მსოფლიოს ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. სწორედ ამ პერიოდში **დასავლეთ საქართველოში ჩიყვის ეპიდემიამ იფეთქა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო მასობრივი გახდა.** შემდეგ ნელ-ნელა დაიწია, მაგრამ ეს მაგალითია იმისა, რამდენად საშიშია **ბირთვული იარაღის** გამოყენება.

„ახალი თაობა“



**ელიზბარ ჯაველიძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*

**პუტინის** კი არა, ამ პატარ-პატარა **ქართველი პუტინიკების** მეშინია, რომლებიც მზად არიან, თავიანთ სამშობლოს ყელი გამოღადრონ. **ნაციონალები საქართველოში ომის დაწყებას მოუთმენლად ელოდებიან.**

„საერთო გაზეთი“



**ლევან იოსელიანი**
*„მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლიდერი*

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ **2008 წლის აგვისტოს მოვლენები** არ განმეორდეს.

„კვირის პალიტრა“

*რუსეთ-უკრაინის ომისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ პარტია „ქართული მარშის“ ლიდერს სანდრო ბრეგაძეს ვესაუბრებით:*



„საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და სამხედრო მიუმხრობლობის გამოცხადებაა!“

## საქართველო, 2008 წელი



## სანდრო ბრეგაძე:

# დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში 2008 წელს საქართველო გაიჭყლიტა, ახლა კი უკრაინა იჭყლიტება!

— კოვიდპანდემია და უკრაინაში მიმდინარე ომი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ეს პროცესი მიზნად ისახავს ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას, რომელიც არც დემოკრატიული იქნება და არც — სამართლიანი. საერთოდ, ეს კატასტროფა, რომელიც დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება, სათავეს იღებს 1990-იანი წლებიდან, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლურმა სამყარომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისა და განსაკუთრებით საქართველოს მიმართ დანაშაულებრივი შეცდომები დაუშვეს.

**— კონკრეტულად რა შეცდომებზე საუბრობთ?**

— საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** და მისი ეროვნული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, რუსეთის „წითელი არმიის“ ხელით იქნა დამხობილი, მაგრამ ამას სათავე დაუდო აშშ-ის პრეზიდენტის **ჯორჯ ბუშ-უფროსის** გამოსვლამ კიევში, როცა მან პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიდერებსა და განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიას მიმართა, შეეწყვიტათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და შეექმნათ კონფედერაცია საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ბუნებრივია, ამერიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიასაგან მწვავე პასუხი მიიღო, რის შემდეგაც ბუშმა თავისი ცნობილი ფრაზით — **გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო** — მწვანე შუქი აუნთო სამხედრო გადატრიალებას საქართველოში.

**— თუმცა, ფაქტია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უცვლელი სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც ჩვენში დემოკრატიის გასაძლიერებლად დიდ ძალისხმევას ხარჯავს!**

– მითი ამერიკული დემოკრატიის შესახებ ჩემთვის ჯერ კიდევ 1992 წელს დამთავრდა, როცა თბილისში სტუმრად მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი 100-150 მეტრის მანძილიდან უყურებდა, როგორ ხვრეტდნენ ხუნტის ჯალათები ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიან მიტინგს,



დავით არახამია და ვოლოდიმირ ზელენსკი





„დარწმუნებული ვარ, საქართველოდან ელჩის გაწვევა უკრაინაში მყოფი ნაცავაზაკების — ადეიშვილის, საყვარელიძისა და სააკაშვილის ხელისბიჭის, ზელენსკისთან მჭიდროდ დაახლოებული დავით არახამიას ძალისხმევის შედეგია!“

## კვირგვინოსნები

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



ხალხი გააფთრებული ომობს, ეს **პოლიტიკური მაიმუნები** იმაზე ფიქრობენ, იქნებ ეს ყველაფერი ჩვენ სახეიროდ გამოვიყენოთ. **უკვე მერამდენედ ცდილობს რადიკალური ოპოზიცია მისი ფლაგმანი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით ქვეყანაში არეულობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევას,** რომლის შედეგი ხელისუფლების დამხობა უნდა იყოს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი მოზარიძე**
*ანალიტიკოსი*



იმასაც კი მოვესწარით, **„თალიბანმა“** მოუწოდა რუსეთს მშვიდობისკენ. აშშ-მა **პუტინს** „საპატიო“ ადგილი მიუჩინა დესპოტთა სიაში — **ბაშარ ასადსა და კიმ ჩენ ინთან.** დავანებოთ თავი ჩვენი ქვეყნის სისუსტეების დემონსტრირებას. **ოპოზიცია დღეს დაკავებულია ტრაგედიის კომერციალიზაციით, მთავრობა კი — პოპულიზმით.** მოვუწოდებ, გააკეთონ საქმე.

„კვირის პალიტრა“

**მეუფე საბა (ინწკირველი)**
*ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსი*



უმძიმესი სანახავი იყო უკრაინის ერთ-ერთი ქალაქის დაბომბვის ამსახველი ვიდეოკადრები, **ადამიანები ქუჩაში იყვნენ დამხობილი და ერთად ლოცულობდნენ.** ჯერ გავიფიქრე, რუსმა სასულიერო პირებმა თუ ნახეს ესმეთქი, მერე **2008 წელს კონფლიქტის ზონაში რუსი სამხედროების პირისპირ მყოფი მშვიდობიანი ქართველები გამახსენდა. ზოგი ცეცხლმოკიდებულ სახლებში ეხვეწებოდა ღმერთს გადარჩენას და ზოგიც — ეკლესიაში** და მივხვდი, რომ ძალიან გულუბრყვილო იყო ჩემი მღელვარება. ვისგან ველოდებით ჰუმანიზმს?

„კვირის პალიტრა“

**რაულ ჩილაჩავა**
*უკრაინის ყოფილი ელჩი საქართველოში*



**უკრაინას არსად შესვლა არ სჭირდება,** ის თავად არის ევროპა. მეტიც, **ის ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანაა.**

„კვირის პალიტრა“

# უკრაინა, 2022 წელი



# „ვინც საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩათრევას მოიწადინებს, ქართველი ერის მტრად უნდა გამოცხადდეს!“

მაგრამ ამაზე არც კი შეშფოთებულა. მეტიც, **ბეიქერმა** ბრიფინგზე განაცხადა — **შევარდნაძე, იოსელიანი და კიტოვანი ქართული დემოკრატიის ფუძემდებლები არიან, რომლებმაც დემოკრატიული რევოლუცია მოაწყვეს და დიქტატორი გამსახურდია დაამხეს!** აი, სწორედ იქ და იმ წამს მოკვდა ჩემთვის დასავლური დემოკრატია!

იმაში, რაც დღეს უკრაინაში ხდება და იმაშიც, რაც 2008 წელს საქართველოში მოხდა, სწორედ აშშ და დასავლეთი არიან დამნაშავე!

**— ეს როგორ?**

— საქართველოსაც და უკრაინასაც ერთნაირად კვებავდნენ აბსოლუტურად ფუჭი ილუზიით, რომ ნატოში მიიღებდნენ და ორივე ქვეყანას ისეთი ნაბიჯები გადაადგმევინეს, რამაც რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა და სამხედრო კონფლიქტები გამოიწვია. **დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში 2008 წელს საქართველო გაიჭყლიტა, ახლა კი უკრაინა იჭყლიტება.** მთელი ამ წლების განმავლობაში, რაც ურცხვად გვატყუებენ, რომ „ნატოს კარი ღიაა“, ქართველებმაც და უკრაინელებმაც ტერიტორიები დავკარგეთ და ოკუპაციისა და უბედურების მეტი არაფერი გვიწვნევია.

სამაგიეროდ, დასავლეთის ძალისხმევა არ დაუშურებია, საქართველოში კარგად დაეფინანსებინა და გაეძლიერებინა **მართლმადიდებელ ეკლესიასთან მებრძოლი და ლგბტ პროპაგანდის მწარმოებელი ანტიეროვნული ჯგუფები.** იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ პირსისხლიანი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ გამოგვიცხადეს.

**— როგორ აფასებთ უკრაინის ხელისუფლების მიერ საქართველოდან ელჩის გაწვევას და თქვენი აზრით, რას ემსახურება ზელენსკის ეს ნაბიჯი?**

— საქართველოდან, რომელიც უკრაინას სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს, ელჩის გაწვევა აბსოლუტური ნონსენსია, მითუფრო იმ ფონზე, როცა ზელენსკის ხელისუფლებას ელჩი არ გამოუწვევია თვით ბელარუსიდანაც კი, რომლის ტერიტორიიდანაც უკრაინა იბომბება.

დარწმუნებული ვარ, საქართველოდან ელჩის გაწვევა უკრაინაში მყოფი ნაცავაზაკების — **ადეიშვილის, საყვარელიძისა** და სააკაშვილის ხელისბიჭის, ზელენსკისთან მჭიდროდ დაახლოებული **დავით არახამიას** ძალისხმევის შედეგია. ვიმედოვნებ, უკრაინის ხელისუფლება დაშვებულ შეცდომას მალე მიხვდება და ელჩს დააბრუნებს.

**— ზელენსკიმ ელჩის გაწვევის ოფიციალურ მიზეზად საქართველოს მიერ რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების არდაწესება და უკრაინაში მოხალისეების არგაგზავნა დაასახელა!**

— ამ ხელისუფლების მეხოტბე ნამდვილად არ გახლავართ და მისი ნაკლოვანებები ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ მთავრობისა და პირადად პრემიერ ღარიბაშვილის პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდეს და ომში ე.წ. მოხალისეები არ გაგზავნოს, აბსოლუტურად სწორი და სახელმწიფოებრივია. ნაძირალა სააკაშვილის ხელისუფლებას 2008 წელს ასეთი პრაგმატული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რომ ჰქონოდა, ომსა და ოკუპაციას თავიდან ავიცილებდით.

უკრაინელების ტრაგედია ყველას ძალიან გვტკივა, მაგრამ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საკუთარი ეროვნული ინტერესები აქვს და ირაკლი ღარიბაშვილიც დღეს სწორედ ამ ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.

**საქართველო უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში არანაირი ფორმით არ უნდა ჩაერიოს, რადგან ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასასრული იქნება!**

**— თუმცა, ნაცოპოზიცია ღარიბაშვილის განცხადებებს სამარცხვინოს უწოდებს და მის გადადგომასაც კი ითხოვს!**

— სააკაშვილმა თავის მომხრეებთან ერთად კიდევ ერთხელ გამოავლინა მოღალატეობრივი სახე და ბოლომდე გაიშიშვლა ბინძური სული! დიახ, იგი მოწადინებულია, საქართველო ომის ქარცეცხლში გახვიოს და არეულობის ფონზე ციხიდან გამოვიდეს. უფრო მეტიც,

## მთელი ეს ნაცური და ლიბერასტული ნაგავი მზად არის, საქართველო საომარ მოქმედებებში ჩააბას და თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი და სხვა ქართული ქალაქები დღევანდელ კიევად, ხარკოვად, ხერსონად და მარიუპოლად გადააქციოს!

პირდაპირ ვამბობ — ნებისმიერი ადამიანი თუ პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩათრევას მოიწადინებს, ქართველი ერის მტრად უნდა გამოცხადდეს!

**— რამდენად რეალურია საფრთხე, რომ უკრაინასთან ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოსთვისაც „მოიცალოს“?**

— რუსეთის პრეზიდენტ **პუტინს** ღიად აქვს გაცხადებული, რომ, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის აღდგენას აპირებს, ამ ფონზე კი დასავლეთმა და ნატომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სამხედრო შეიარაღების მიწოდება გააძლიერეს.

## საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების პოლიგონად არ გადაიქცეს და თბილისი არ დაემსგავსოს 1994 წლის გროზნოს, სადაც ერთი დაუბომბავი შენობაც კი არ იდგა.

**— მაინც რა უნდა გააკეთოს საქართველომ ამისათვის?**

— საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა **პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და სამხედრო მიუმხრობლობის** გამოცხადებაა!

1921 წელს მიღებულ საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში შავით თეთრზე ეწერა, რომ საქართველო საერთაშორისო ომიანობის დროს ნეიტრალიტეტს აცხადებდა! რა, ის ქართველები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და პირველი კონსტიტუციის სათავეებთან იდგნენ, რუსეთუმეები იყვნენ? ან ვინ არის დღეს ზვიად გამსახურდიაზე დიდი პატრიოტი, რომელიც მიიჩნევდა, რომ საქართველო არცერთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არ უნდა გაერთიანებულიყო?

**ყველა, ვინც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და სამხედრო მიუმხრობლობაზე ლაპარაკობს, ნამდვილი პატრიოტია. სხვა გზა ამ ქვეყანას არა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შორს არ არის დრო, როცა საქართველოში განმეორდება ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება!**

*ესაუბრა*

**ჯაბა ხუბუა**

**„მთავრობისა და პირადად პრემიერ ღარიბაშვილის პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს არ შეუერთდეს და ომში ე.წ. მოხალისეები არ გაგზავნოს, აბსოლუტურად სწორი და სახელმწიფოებრივია!“**



## კვირგვინოსნები

**ხათუნა ლაგაზიძე**
*პოლიტიკის უსაფრთხოების ანალიტიკოსი*



**დასავლეთმა მორალური პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს** და დღეს, როდესაც ჩვენ თოფი გვაქვს მოშვერილი და **ჩვენ გვსაყვედურობენ, საქართველო სანქციებს რატომ არ უერთდებაო, თავად რატომ არ უწესებენ რეალურ სანქციებს?** თუ დასავლეთი ძალიან მალე არ გადაწყვეტს, რომ რუსეთი უნდა შეაკავოს, **კრემლი ნატოს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიადგება.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*პოლიტოლოგი და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



**რუსები გამჩერებლები მხოლოდ ამერიკელები არიან.** ხელისუფლების პოლიტიკა იმაზეა მიმართული, რომ **რუსეთს საბაბი არ მისცეს აგრესიისთვის.** ეს თუ გადაგვარჩენს, სიმართლე გითხრათ, წინააღმდეგი არ ვიქნები, მაგრამ ვნახოთ. სამწუხაროდ, **ეს არ არის იმის გარანტია, რომ რუსეთი არ მოგვიტრიალდება.**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა ღლონტი**
*„მაესტროს“ დამფუძნებელი*



ახლა თუ დროზე არ მიგვიღეს **ევროკავშირში და ნატოში,** მაშინ უნდა ვიცოდეთ, ეს არ მოხდება აღარასდროს!

„ალია“

**ლელი მოროშკინა**
*ჟურნალისტი, პიარ-ტექნოლოგი*



**ნატოს კარს რომ არ ეჭრიალა** და დროზე გაღებულიყო, **დღეს ეს კოშმარული რეალობა არ დადგებოდა.**

„ალია“



# დავით ქართველიშვილი:

# პუტინს გააჩერებს ორი რამ – ან შიდა გადატრიალება, ანდა უკრაინაში წარმატების მიღწევა!



„სწორედ ამ სამარცხვინო მარცხისა და წარუმატებლობის გამო გახლავთ პუტინი საშიში და ყველაფერზე წამსვლელი!“

***სუს-ის ანალიტიკური სამსახურის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი დავით ქართველიშვილი საქართველოსა და მის სამეზობლოში შექმნილ მდგომარეობას მიმოიხილავს და საზოგადოებას შეახსენებს, რომ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებულია, ომი არ დასრულებულა, ხოლო სააკაშვილმა და ზელენსკიმ, რომლებსაც ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ, უკრაინაში მოსალოდნელი უბედურების შესახებ ყველაფერი იცოდნენ:***

— უკრაინაში ომის წამოწყება რომ პუტინმა კარგა ხნის წინათ გადაწყვიტა, ამას ადასტურებს 2022 წლის შობის ღამეს **ალექსანდრე ლუკაშენკოს** ქადაგება ერთ-ერთი ბელარუსული ეკლესიის ამბიონიდან, სადაც მან განაცხადა, რომ უკვე ხედავდა მომავალი დიდი ერთობის კონტურებს რუსეთს, ბელარუსს, უკრაინასა და ყაზახეთს შორის. ლუკაშენკომ იქვე ისიც დაამატა, რომ ეს გაერთიანება არ შეიქმნებოდა რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხარჯზე! ცხადია, თუ მსგავსი რამ მართლაც შეიქმნება, რაც ნაკლებად სავარაუდოა, არავითარ სუვერენიტეტზე ლაპარაკი არ იქნება და ამ ახალ „საბჭოთა კავშირში“ შემავალი თითოეული რესპუბლიკის სუვერენიტეტი იქნება გაცილებით ნაკლები, ვიდრე მსგავსი რამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს გააჩნდათ.

ომი რომ უკრაინაში დიდი ხანია, იგეგმებოდა, ამას ადასტურებს ტრაილერის მძღოლის **ელგუჯა ცომაიას** ჩვენებაც, რომელმაც სასამართლოზე ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინაში მყოფი **ვანო მერაბიშვილის** ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძე** მას 2021 წლის აპრილში დაუკავშირდა, რათა სააკაშვილი საქართველოში ჩაეყვანა!

**— ბატონო დავით, თქვენ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღებას შორის კავშირს ხედავთ?**

— დიახ, ამ საქმეში არათუ კავშირს, არამედ პირდაპირ კავშირს ვხედავ! უფრო მეტიც, **სააკაშვილიც და ზელენსკიც წარმოადგენენ ერთი დიდი გეგმის ნაწილს, ორივეს ჰყავს ერთი და იგივე პატრონი და ზელენსკის უკანასკნელი განცხადებები საქართველოსთან მიმართებაში თავიდან ბოლომდე ჯდება იმ პოლიტიკურ კონტექსტში, რასაც უკრაინაში ამ საშინელი და სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება ჰქვია.** აშკარაა, რომ სააკაშვილი აქ გამოგზავნეს სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, რათა ვლადიმერ პუტინისთვის ხაფანგი არამხოლოდ უკრაინაში, არამედ საქართველოშიც დაეგოთ!

## „აშკარაა, რომ სააკაშვილი აქ გამოგზავნეს სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, რათა პუტინისთვის ხაფანგი არამხოლოდ უკრაინაში, არამედ საქართველოშიც დაეგოთ!“

**— პრეზიდენტმა ზელენსკიმ იცოდა, რომ პუტინისთვის უკრაინაში ხაფანგი უნდა დაეგოთ?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

**სააკაშვილმა და ზელენსკიმ, რომლებსაც ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ, უკრაინაში მოსალოდნელი უბედურების შესახებ ყველაფერი იცოდნენ!**

სააკაშვილიც და ზელენსკიც იმართებიან იმ ცენტრიდან, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დანარჩენ მსოფლიოში კარგა ხანია, დაამარცხა პრეზიდენტ რეიგანისა და პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის მიერ ქრისტიანულ მორალსა და კონსერვატორულ იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგი. ეს ადამიანები ფსევდოლიბერალური და ამავდროულად აგრესიული პოლიტიკური ჯგუფის პატრონაჟის ქვეშ მოქმედებენ და თავიანთი ფასეულობებითა და მენტალიტეტით აბსოლუტურად გასული არიან საქართველოსა და უკრაინის საზღვრებიდან!

**— ბევრი რამ მაინც ბუნდოვანია. დავუშვათ, ზელენსკიმ და სააკაშვილმა მართლაც ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უკრაინა ხომ არ დასხმია თავს რუსეთს?**

— ზელენსკისა და სააკაშვილის პატრონებმა ძალიან კარგად იცოდნენ, პუტინი რასაც აპირებდა... პუტინს რომ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე აბოდებს, ეს ძველი ამბავია. სხვა საკითხია, სინამდვილეში რისი თავი აქვს. აღმოჩნდა, რომ პუტინის არმია დემორალიზებულია, აქვს უსერიოზულესი პრობლემები და ვერ ახერხებს იმ დასახული მიზნის სწრაფად მიღწევას, რომელიც გენშტაბმა დაუსახა — 96 საათში დაეკავებინა კიევი და მთელი უკრაინა! პუტინი ახლა კუთხეშია მიმწყვდეული და სწორედ ამიტომაც არის ძალიან საშიში. მან ფეხი შედგა იქ, სადაც არ უნდა შეედგა და აღმოჩნდა ხაფანგში. როგორც ჩანს, მეორე ხაფანგი მისთვის დაგებული ჰქონდათ საქართველოში. სწორედ ამას ემსახურებოდა სააკაშვილის უკრაინიდან ჩამოყვანა და ზელენსკის ბოლოდროინდელი ქმედება, როცა მან უკრაინიდან ელჩი გაიწვია. ცნობისათვის: **უკრაინის ელჩი საქართველოში იგორ დოლგოვი ზელენსკის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის დავით არახამიას ახლობელია. ზელენსკიმ უკრაინის ელჩი დოლგოვი საქართველოში სწორედ დავით არახამიასა და პეტრე ცისკარიშვილის**



იგორ დოლგოვი

## „ზელენსკიმ უკრაინის ელჩი დოლგოვი საქართველოში დავით არახამიასა და პეტრე ცისკარიშვილის რჩევით დანიშნა!“



დავით არახამია



პეტრე ცისკარიშვილი

## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



ღმერთმა ნუ ქნას, თუ ჩვენ აღარ ვიქნებით, შემდეგი იქნება **ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, მერე საქართველო, მოლდოვა და პოლონეთი,** ასე მივლენ ისინი **ბერლინის კედლამდე,** დამიჯერეთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ვახტანგ კაპანაძე**
*გენერალ-მაიორი, სამხედრო ექსპერტი*



ყველაზე ცუდი იქნება, **აიძულონ კიევის ხელისუფლება, ხელი მოაწეროს მინსკის შეთანხმებას, რომ არასდროს გაწევრდება ნატოში** და, ამავე დროს, წაიღონ დონეცკი-ლუგანსკის მიმართულება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ შეიძლება მარიუპოლის მიმართულებაც წაიღონ. **თუ კიევმა კაპიტულაცია გამოაცხადა,** არა მგონია, ოდესა აიღონ, შავი ზღვიდან მოკვეთონ უკრაინა და მიიერთონ. მეორე სცენარით **შეიძლება კიევის დაკარგვის შემთხვევაში უკრაინამ გააგრძელოს პარტიზანული ბრძოლა.** რუსეთს არა აქვს იმდენი ძალა, ყველა ქალაქში თავისი გარნიზონი ჩააყენოს.

„კვირის პალიტრა“

**ოლესია იახნო**
*უკრაინელი პოლიტოლოგი*



**უკრაინა ჯერ კიდევ ელოდება დასავლეთის გამოღვიძებას.** ჩვენ საბოდიშო არაფერი გვაქვს, **21-ე საუკუნეში რუსეთმა შუაგულ ევროპაში ომი წამოიწყო** და ამაზე პასუხი უნდა აგოს!

„კვირის პალიტრა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



საქართველოს ბედი დღეს უკრაინაში წყდება. **ის, რაც საქართველოს მთავრობამ უპასუხა უკრაინას, არის სირცხვილი,** რომლის ჩამორეცხვა შეუძლებელია.

„ახალი თაობა“

**დმიტრო კულება**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



ჩვენ ერთად დავამარცხეთ **ჰიტლერი,** შესაბამისად, დავამარცხებთ **პუტინსაც!**

„რეზონანსი“




# „სააკაშვილიც და ზელენსკიც წარმოადგენენ ერთი დიდი გეგმის ნაწილს... ზელენსკის უკანასკნელი განცხადებები საქართველოსთან მიმართებაში თავიდან ბოლომდე ჯდება იმ პოლიტიკურ კონტექსტში, რასაც უკრაინაში ომის გაჩაღება ჰქვია!“

რჩევით დანიშნა!

**— რამ შეიძლება გააჩეროს პუტინი და რატომ არის გაჩერებული ის 64-კილომეტრიანი სამხედრო კოლონა, რომელიც კიევს უახლოვდებოდა?**

— პუტინი ახლა არის ძალიან დამცირებული, შერცხვენილი და მორალურად განადგურებული. წეღანაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: **სწორედ ამ სამარცხვინო მარცხისა და წარუმატებლობის გამო გახლავთ პუტინი საშიში და ყველაფერზე წამსვლელი.** პუტინს თავზე დაემხო მითი რუსეთის არმიის ძლევამოსილების შესახებ. არადა, ჩემი ინფორმაციით,

**რუსული სპეცსამსახურები პუტინს აფრთხილებდნენ, არ გადაედგა ეს ნაბიჯი და არ შეჭრილიყო უკრაინაში, სადაც მას იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელოდა.**

რაც შეეხება იმას, რამ შეიძლება გააჩეროს ვლადიმერ პუტინი? ეს გახლავთ ან შიდა გადატრიალება, რომლის საფრთხეც იზრდება, ან საკუთარი სახის შენარჩუნება და უკრაინაში წარმატების მიღწევა!

**— იმის გარდა, რასაც პუტინი ოფიციალურად აცხადებს, რეალურად რა არის კრემლის მიზანი უკრაინაში?**

— პუტინის მიზანია უკრაინაში ხელისუფლების შეცვლა და **ვიქტორ იანუკოვიჩის** გაპრეზიდენტება! თუ ამას მოახერხებს, მაშინ პუტინი რუსეთის მოსახლეობის თვალში შერყეული იმიჯის აღდგენას, ასე თუ ისე, შეძლებს და თავის დასამშვიდებლად განაცხადებს, რომ რუსეთმა დასახული სამხედრო ამოცანა შეასრულა. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ომი ასე უცბად არ დამთავრდება და კრემლს მართლაცდა ხაფანგში აქვს თავი გაყოფილი...

**— რაც შეეხება იმ 64-კილომეტრიან რუსულ სამხედრო კოლონას, რომელიც ერთ ადგილზე დგას და კიევისკენ არ იძვრის?**

— ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ეს კოლონა სინამდვილეში მოძრაობს თუ არა... ვიცი, რომ ამ მითიური კოლონის შესახებ სოციალური ქსელების საშუალებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება, მაგრამ ფეისბუქით საბრძოლო მოქმედებების შეფასება ყოვლად წარმოუდგენელია. **ფაქტია, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ძალიან აქტიურად მიმართავს საინფორმაციო ომს, რომელიც ჩვეულებრივი, სისხლიანი სამხედრო დაპირისპირების განუყოფელი ნაწილია.**

**— თქვენ ზემოთახსენეთ ზელენსკის უახლოესი მეგობარი და უკრაინის რადას უმრავლესობის ლიდერი დავით არახამია, რომელიც სააკაშვილის გულმხურვალე ფანი და ნაცაქტივისტია. დარწმუნებული ხართ, რომ ელჩი დოლგოვი სწორედ არახამიამ გააწვევინა ზელენსკის?**

— დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის სექტის თავგადაკლული წევრები — **გიზო უგლავა, გია გეწაძე, ზურაბ ადეიშვილი, გია ლორთქიფანიძე, კოხტა კოდუა, მეგის ქარდავა, ძმები ბეჟუაშვილები** და სხვები უკრაინაში წარმოადგენენ სააკაშვილის დესანტს, რომელიც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და საქართველოს მტრობს. აი, მაგალითად, სწორედ ამ ჯგუფის გავლენით სულ ახლახან ომში გახვეულმა ქვეყანამ მოიცალა და ჩვენმა „მეგობარმა“ უკრაინამ ადამიანების მწამებელი **ალექსანდრე მუხაძე,** ანუ იგივე „ქილერა“

## „უკრაინამ ადამიანების მწამებელი



## ალექსანდრე მუხაძე, იგივე „ქილერა“

## „პოლიტიკურ დევნილად“ გამოაცხადა!“

„პოლიტიკურ დევნილად“ გამოაცხადა! დიახ, უკრაინის სააპელაციო სასამართლომ ამ დღეებში სწორედ ასეთი სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის რეჟიმის ამ ჯალათის მიმართ, რომელიც საქართველოში ძებნილია, საექსტრადიციო პროცედურების წამოწყება, ფაქტობრივად, გამორიცხულია!

**— კი მაგრამ, სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება რის საფუძველზე მიიღო?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სასამართლომ იხელმძღვანელა **მუხაძის ჩვენებით, თითქოს ის სამშობლოში იდევნებოდა თავისი ანტირუსული შეხედულებების გამო,** ასევე ქართველი ოლიგარქებისა და კრიმინალების მხრიდან განიცდიდა ზეწოლას და გარდა ამისა, გადიოდა ფიგურანტად მის მიმართ „შეთითხნილ“ სისხლის სამართლის საქმეებში. ეს გახლავთ მორიგი „მეგობრული“ ნაბიჯი საქართველოსთან მიმართებაში უკრაინის ხელისუფლების მხრიდან. როგორც უკრაინის სააპელაციო სასამართლოს რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, „ქილერას“ საქმის განხილვა დაიწყო 2022 წლის 26 იანვარს, ხოლო **ალექსანდრე მუხაძისთვის** მინიჭებული „საქართველოდან პოლიტიკური ნიშნით დევნილის“ სტატუსი კანონიერ ძალაში შევიდა ერთი თვის შემდეგ — 25 თებერვალს, ანუ მაშინ, როცა პუტინის თვითმფრინავები უკვე მთელ უკრაინას ბომბავდნენ.

**— პრეზიდენტი ზელენსკი პარასკევს, 4 მარტს, თბილისის დროით 22.00 საათზე, უკრაინიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო და ევროპის ხუთ ქალაქს, მათ შორის, თბილისს მიესალმა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ჩემი ინფორმაციით, ეს არ გახლდათ პირდაპირი ეთერი და პრეზიდენტმა ზელენსკიმ თქვენ მიერ ხსენებული მიმართვა ერთი დღით ადრე, კერძოდ, 3 მარტს კიევის ბუნკერში ჩაწერა!

**— არსებობს თუ არა იმის მოლოდინი, რომ პუტინმა აფხაზეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები დანარჩენი საქართველოს წინააღმდეგ დაძრას?**

— თუ პუტინმა უკრაინაში ომი მალე დაასრულა და თავის მიზანს მიაღწია, მაშინ ამის საფრთხე ნაკლებია, მაგრამ, თუ მას ძალიან გაუჭირდა, კუთხეში მიმწყვდეული რუსეთის პრეზიდენტისგან გამორიცხული არაფერია. ყველაზე უფრო საშიში ამ მხრივ ცხინვალში მოკალათებული სეპარატისტული რეჟიმია, რომელმაც კარგა ხანია, განაცხადი შეიტანა რუსეთის ფედერაციასთან ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერთების შესახებ. ეს განცხადება რუსეთის დუმაში ჯერჯერობით „მძინარე“ მდგომარეობაშია და პუტინს როცა დასჭირდება, მაშინვე „გააღვიძებს“.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



სანამ **ზელენსკი** გამოჩნდებოდა, მე ვიყავი რეგიონში **ნომერ პირველი მტერი პუტინის,** ახლა ნამდვილად ვუთმობ ამ საპატიო ადგილს ჩვენს პრეზიდენტს. **ჩემი კაბინეტი არის პრეზიდენტ ზელენსკის კაბინეტის გვერდით.** მე იქ მელოდებიან. **მე უნდა ვიყო უკრაინაში,** ჩემი მოქალაქეობის ქვეყანაში და მე უნდა ვიყო ჩემს მთავარსარდალთან.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



მაქვს ერთადერთი მოთხოვნა, **ხელისუფლების ცვლილება,** რიგგარეშე არჩევნებით **მთავრობის გაშვება.**

„ახალი თაობა“

**ნიკა გვარამია**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



პირდაპირ ვამბობ, **უკრაინა მიხეილ სააკაშვილს მოითხოვს, როგორც საკუთარი მაღალი თანამდებობის პირს,** რომელიც სჭირდება მისი გამოცდილების გათვალისწინებით ამგვარი კრიზისების სამართავად.

„ახალი თაობა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის ფრთა,** მის ფლანგზე მყოფი თაღლითების პარტია **„ლელო“** რომ ანტისახელმწიფოებრივია, ყოველდღიურად ამტკიცებენ თავიანთი საჯარო განცხადებებით. 0 რეიტინგის მქონე **სალომე სამადაშვილსა** და მისნაირებს ურჩევნიათ, პოლიტიკას ჩამოშორდნენ და სხვა საქმიანობით დაკავდნენ. **დესტრუქციულები ხელისუფლებაში ვერასდროს მობრუნდებიან!**

„იმედინიუსი“

**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**მესამე მსოფლიო ომი** იქნება დამანგრეველი **ბირთვული ომი.**

„TV ალჯაზირა“



*მაშინ, როდესაც უკრაინა იბომბება და ჩვენი ქვეყანა ნახევრად საომარ მდგომარეობაშია, რუსთაველზე, უკრაინის მხარდასაჭერ მიტინგზე, საქართველოს პრემიერის გადაყენების მოთხოვნა გაისმა. როგორც სამოქალაქო აქტივისტი, ბლოგერი მანჩო გიორგობიანი ამბობს, ეს არამხოლოდ პრემიერის, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რასაც თავისი ახსნა აქვს და ახალგაზრდამ თაობამ უნდა იცოდეს:*

## მანჩო გიორგობიანი:

# კიდევ ერთხელ გავიმეტოთ და ჩავაწვინოთ მიწაში საჯიშე ბიჭები?!




— როდესაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, რამდენიმე წელი ნაციონალურ მოძრაობას არ ვახსენებდი. გავრილოვის ღამეს აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი თავიანთ მახინჯ იდეოლოგიაზე გადაჰყავდათ, ბევრი შეიყვანეს შეცდომაში. დღეს ჩვენი ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს მათთვის სიმართლის თქმა, მისაბაძი ის „მებრძოლები" რომ არ ეგონოთ, ვინც **შიშველი უკანალის ჩვენებით** ცდილობენ რუსეთზე გამარჯვებას!

საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალმა თაობამ, ერთი რამ უნდა იცოდეს, სოციალურ ქსელში და ტელეეთერებში ყველაზე მეტად ის ადამიანები იჭიმებიან და ბაქიბუქობენ, რომლებსაც 90-იან წლებში ასაკით უწევდათ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაცვა, მაგრამ ომში არავის უნახავს. სროლის ხმაზე სახლებიდან არ გამოდიოდნენ. **შეფასებების გაკეთებისას გაცილებით ფრთხილი და მოზომილია ის ხალხი, ვინც ნაომარია და ზუსტად იცი, მტერი რომ ქვეყანაში შემოვიდეს, დღესაც დაუფიქრებლად აიღებს იარაღს ხელში და იომებს.**

**— მოდით, სიმართლე ბოლომდე ვთქვათ, ვინ არიან ისინი, ვინც ომის დროს იმალებოდა და დღეს ბაქიბუქობს?!**

— **მიშა მშვილდაძე, ზურაბ ჯაფარიძე, გია ჟანტურია** და ბევრი სხვა... **ვინმეს ნახა ესენი აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ომში?!** მეტსაც გეტყვით, ამ პერიოდში **დავით ნებიერიძე და მამუკა ბამყრელიძე** რუსეთში ბიზნესებს აწყობდნენ. **მამუკა ხაზარაძემ** საერთოდ რუსებს მიჰყიდა „ბორჯომი". ჩრდილოელი მეზობელი ოკუპანტი გუშინ და დღეს არ გამხდარა, 90-იანი წლებიდან აქვს დაპყრობილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი.

მთელი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ახლა ყიჟინა აქვს ატეხილი, 2008 წელს ერთმანეთს ასწრებდნენ წითელი ხიდისკენ, რიგით მოქალაქეებს კი მოუწოდებდნენ, დანაჩანგლით ეომათ. **გიგი უგულავამ, გოკა გაბაშვილმა და გიგა ბოკერიამ** ჟურნალისტებს პირდაპირ ფრონტის ხაზზე გაუხსნეს პრესცენტრი. თვითონ კი პირველივე დაბომბვაზე უკანმოუხედავად გამოიქცნენ იქიდან და ყველა უპატრონოდ მიყარეს.

ახლანდელმა „მთავარმა არხმა", რომელიც მაშინ „რუსთავი-2" იყო, მტერს პირდაპირ ტელევიზიით ამცნო რეზერვისტების შეკრების ადგილი, რასაც გორის სკოლასთან დაბომბვა მოჰყვა და აბსოლუტურად გამოუცდელი ბავშვები დაზარალდნენ.

**2006-2007 წლებში თავდაცვის სამინისტროში სრული წმენდა ჩაატარეს და ნამდვილი მებრძოლი, ნაომარი, გამოცდილი ადამიანების 90 პროცენტი სამსახურიდან გამოუშვეს.** ამას გენერალი **ამირან სალუქვაძეც** დაადასტურებს. ეს ხომ შემთხვევით არ გაუკეთებიათ?! იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის გაძლიერებაზე და ღირსებაზე ეზრუნათ, სააკაშვილი და იუშჩენკო იარაღის ყიდვა-გაყიდვით იყვნენ დაკავებული. გაეროს ანგარიშში ეს ყველაფერი ზუსტად არის გაწერილი. ისიც ცნობილია, რომ ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დადგა იარაღის ფასები, რაზეც ტიმოშენკომაც ატეხა ერთი ამბავი — იარაღის „ატკატებში" დიდი ფული კეთდებაო. იყო ლაპარაკი, რომ გაფუჭებული იარაღი და ტექნიკაც მოგვყიდეს. ამ პროცესებში უშუალოდ იყო ჩართული სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანია.** მილიარდები აქვთ ნაშოვნი იარაღების გადაყიდვაში. პროკურატურამ, პირველ რიგში, ეს უნდა გამოიძიოს, მაგრამ როგორ გამოიძიებს, როცა ომით ჩამოწერეს?! აწყობდათ ის, რაც 2008 წელს მოხდა.

ომის დღეებში **ბორისოვი** სამი დღე ეძებდა გორის გუბერნატორს **ლადო ვარძელაშვილს,** ერთი სულიერი ადამიანი ვერ ნახა ხელისუფლებიდან, რომ დალაპარაკებოდა. სამარცხვინოდ დააყრევინეს ბიჭებს იარაღი და სავსე ბაზები დაუტოვეს რუსებს. აღარაფერს ვამბობ მაშინდელი მთავარსარდლის მიწაზე ფორთხვაზე.

**— სააკაშვილმა სულ ახლახან განმარტა სასამართლო პროცესიდან — კი არ ვფორთხავდი, ბრძოლის წინა ხაზზე ვიყავიო...**

— ჰალსტუხიც წინა ხაზზე ჭამა თუ ის, რაც პირდაპირ ეთერში იხილა ხალხმა, ფოტომონტაჟი იყო? სააკაშვილი გორში **კუშნერთან** ერთად იმყოფებოდა. როდესაც რამდენიმე კილომეტრის სიმაღლიდან სამხედრო თვითმფრინავის ხმა გაიგო, ისე მოწყდა ადგილიდან, რომ ვერ დაეწივნენ. კუშნერი გაკვირვებული კითხულობდა, სად გაიქცაო. იქ იმყოფებოდა უამრავი ჟურნალისტი, მათ შორის, ჩემი მეგობრებიც, რომლებმაც ეს საკუთარი თვალით ნახეს.

**— ამ ფაქტების გახსენებით რისი თქმა გსურთ?**

— **აი, ამ ხალხს აქვს დღეს საომარი ყიჟინა ატეხილი და აბიჟებს ახალგაზრდებს, რომლებიც 90-იან წლებში დაბადებულებიც არ იყვნენ, 2008 წელს კი პატარები გახლდნენ და არ ახსოვთ ომის დეტალები.** მათთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ შეიძლება ამხელა კაცისმაგვარები ასე უტიფრად იტყუებოდნენ. დაუჯერებელია ისიც, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის შემდგომ **გია ჟანტურია და მიშა მშვილდაძე** „კავეენში" პუტინს ართობდნენ. ამის კადრები ხომ არის?! ძალიან ბევრი რამ ვიცი, თუმცა, ვამბობ იმას, რაზეც უტყუარი ფაქტები არსებობს. **ყველა ჩემი წინადადება შემიძლია ფაქტებით დავადასტურო.**

**— ახალგაზრდები იმასაც ხედავენ, რომ ზელენსკიმ ხელისუფლების გამონათქვამების გამო საქართველოდან უკრაინის ელჩი გაიწვია...**

— ზელენსკი ოთხი-ხუთი წლის წინათ რუსეთის სცენაზე იდგა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით დასცინოდა ნაომარ, არაერთხელ სისხლდაღვრილ საქართველოს და თავის სამშობლოს, რომელსაც ყირიმი უკვე დაკარგული ჰქონდა. პირადად მე მიჭირს დაჯერება, რომ ის რადიკალურად შეიცვალა. უკრაინა ბრძოლის რეჟიმშია და არ მინდა ზელენსკიზე უარყოფით კონტექსტში ახლა ვილაპარაკო. მის ქცევას, თუ რა გააკეთა უკრაინისთვის, აუცილებლად მიეცემა მომავალში ისტორიული შეფასება. ერთი რამ კი ფაქტია, **ამ ეტაპზე ქართველებისა და უკრაინელების დაპირისპირება ორივე ქვეყნის მტერს აძლევს ხელს.**

მათ გასაგონად ვამბობ, ვინც







**„გიგი უგულავამ, გოკა გაბაშვილმა და გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებს პირდაპირ ფრონტის ხაზზე გაუხსნეს პრესცენტრი. თვითონ კი პირველივე დაბომბვაზე უკანმოუხედავად გამოიქცნენ იქიდან და ყველა უპატრონოდ მიყარეს!"**

# „ნაციონალური მოძრაობა ჩემი ქვეყნისთვის ბევრად უფრო დიდი მტერია, ვიდრე რუსეთი!“

დღეს უკრაინასთან მიმართებაში საქართველოს ადანაშაულებს, რას გვემართლებიან? რა დავაკელით? საერთაშორისო აქტივობებში ყველაგან რუსეთის წინააღმდეგ მივეცით ხმა, ჰუმანიტარული დახმარება ერთ-ერთმა პირველმა გავუგზავნეთ, 3 ათასი მოხალისე ქართველი იბრძვის, საქართველოს საელჩოს ევაკუაცია არ გამოუცხადებია და დღემდე მუშაობს, მსგავსად იაპონიისა, აქ დარჩენილი უკრაინელები ქვეყანამ შეიფარა, შევთავაზეთ უკრაინიდან ლტოლვილების მიღებაც. **ბოროტად არ გვიხსენებია, რომ 1992-94 წლებში ათასკაციანი უკრაინული ფორმირება სეპარატისტების მხარეს იბრძოდა რუსი კაზაკების მხარდამხარ, თუმცა, იმ უკრაინელების მადლობლები ვართ, რომლებიც ჩვენ მხარეს იბრძოდნენ და ხალხის ევაკუაციაში გვეხმარებოდნენ.** არც ის გაგვიხსენებია, რომ 2008 წელს თვითონ უკრაინაც მხოლოდ დაგვეხმარა და არანაირი სანქციები რუსეთისთვის არ დაუწესებია. დიპლომატიური ურთიერთობა 2022 წლამდე არ გაუწყვეტია. **წესით, ამორალური ვიდეოს მკადრებელი ზელენსკიც უნდა შეგვზიზღებოდა, მაგრამ ესეც გავატარეთ. უკრაინაში ნაცრეჟიმის კრიმინალები რომ შეიფარა და თანამდებობები დაურიგა, ამაზეც ვცდილობთ თვალის დახუჭვას... სხვა რა უნდა გაგვეკეთებინა?!**

ჩვენ ჯერაც არ მოგვშუშებია ჭრილობები, ვის ვედრებით უკრაინას, სადაც 40 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს?! კიდევ ერთხელ გავიმეტოთ და ჩავაწვინოთ მიწაში საჯიშე ბიჭები?! სამწუხაროდ, დასავლეთს განგაში 2008 წელს რომ აეტეხა, ფართოდ გაეხილათ თვალები, დაინახავდნენ, რაზეც იყო წამსვლელი ეს მონსტრი და დღეს შეიძლებოდა, სულ სხვა რეალობა ყოფილიყო.

**— რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს?**

— რადგან ნატოში არ გვიღებენ, უნდა ვცადოთ ფინეთისა და შვედეთის საგარეო პოლიტიკის მოდელი. მათაც ბევრჯერ აქვთ რუსეთთან ნაომარი, მაგრამ როგორღაც ახერხებენ მასთან მეზობლობას.

საკმარისი სისხლი გვაქვს დაღვრილი რუსებთან შეტაკებაში. ბოლო 30 წლის განმავლობაში ოთხჯერ დავეტაკეთ. ყველას მაგივრად ჩვენი ბიჭების სისხლი იქცეოდა, ნახევარ მილიონამდე დევნილი გვყავს. ასე რომ, არავისზე ნაკლებად არ ვიმსახურებთ დამოუკიდებლობასა და დასავლეთის მხარდაჭერას! მსოფლიოს წინაშე ვალი მოხდილი გვაქვს. ვისაც მოხალისედ წასვლა უნდა, ხელს არავინ უშლის.

მე თუ მკითხავთ, ნაციონალური მოძრაობა და მათი სატელიტი პარტიები დღეს ჩემი ქვეყნისთვის ბევრად უფრო დიდი მტერია, ვიდრე რუსეთი.

**9 აპრილზე ასჯერ უარესი გვიქნა ნაციონალურმა მოძრაობამ 7 ნოემბერს, 26 მაისს, ზოგადად, მათი რეჟიმის დროს ბევრად მეტი ახალგაზრდა მოუკლეს საქართველოს, ვიდრე რუსებმა. მათსავით არავის გავუმეტებივართ. დღესაც არ ისვენებენ.**





გია ჭანტურია და მიშა მშვილდაძე რუსულ „კავეენში“, მოსკოვი, 2000 წელი

**„მათთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ შეიძლება ამხელა კაცისმაგვარები ასე უტიფრად იტყუებოდნენ. დაუჯერებელია ისიც, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის შემდგომ გია ჭანტურია და მიშა მშვილდაძე „კავეენში“ პუტინს ართობდნენ!“**









**საპროტესტო ტალღის აგორება ახლა უკრაინის ხარჯზე უნდათ.**

**— ანუ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი ხელისუფლება შეშინებულია?**

— ჯონსონი და ბაიდენი ფრთხილობენ განცხადებების გაკეთებისას, მეტიც, შოლცმა ისიც კი თქვა — სწორად მოვიქეცით, უკრაინა და საქართველო ნატოში რომ არ მივიღეთო.

**გეკითხებით, ვის უნდა ჩავუვარდეთ ხახაში, პუტინს?! ან უკრაინა რას შეეწირა?!**

ღარიბაშვილს მტრული არაფერი უთქვამს, უბრალოდ, დიპლომატიას თავისი ენა აქვს და ნაციონალების თავდასხმების პირობებში თავისი სათქმელი უფრო მეტად უნდა შეეფუთოს ლამაზი სიტყვებით.

კიდევ ერთხელ ვამბობ — დღეს მიტინგებს ისეთი ადამიანები უდგანან სათავეში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის დროს თითიც რომ არ გაუნძრევიათ, მეტიც, ეროვნულ მოძრაობას ებრძოდნენ. **გია ბარამიძე, რომან გოცირიძე, მამუკა ხაზარაძე** მიტინგებზე დედას აგინებდნენ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას.

**— ხაზარაძის ეპიზოდი ცნობილია, მერაბ კოსტავასთვის ხელის მოქნევაში არაერთი ადანაშაულებს, მაგრამ ნაკლებად ცნობილია რომან გოცირიძისა და გია ბარამიძის ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირება.**

— ვიდეოებიც არსებობს არქივში, სადაც **გია ბარამიძე და რომან გოცირიძე** ზვიად გამსახურდიას საწინააღმდეგო მიტინგებზე გამოდიან. მაშინაც რუსეთის მიერ იყვნენ მართულები, რადგან, პირველ რიგში, სწორედ რუსეთის ინტერესებში შედიოდა ქართველი ხალხის დაპირისპირება და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოცილება.

**თემურ ალასანია** სააკაშვილთან ერთად ჯერ კიდევ 90-იან წლებში იბრძოდა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ამის ფაქტებიც არსებობს. კავკასიის ჰუსეინი — ასეთი სახელწოდებით მოიხსენიებდნენ მას ევროპულ პრესაში და როგორ შეიძლება ამ ხალხის მოსმენა?! როგორ უნდა დაიჯეროს ხალხმა **ირინა სარიშვილის,** რომელიც ჯერ ამბობდა, გია ჭანტურია იგორ გიორგაძემ მოაკვლევინაო და მერე თავად გახდა საქართველოში იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი?!

არასდროს მეშინოდა სიკვდილის, მითუმეტეს, ახლა. ვგიჟდები იარაღზე, გადასარევად ვისვრი, ისე არ მოვკვდები, ხუთი მომხდური მაინც არ გავიყოლო. რა წამსაც გადმოვა მტერი საზღვარზე, იმწუთას დავდგები ჩემი ქვეყნის სადარაჯოზე. კიდევ ვიმეორებ, იმის უფრო მეშინია, ახალმა თაობამ არ გამოიაროს ის, რაც ჩვენ გამოვიარეთ. **ეს ქვეყანა კიდევ ერთ ომს ვეღარ გაუძლებს!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

**„დღეს მიტინგებს ისეთი ადამიანები უდგანან სათავეში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის დროს თითიც რომ არ გაუნძრევიათ, მეტიც, ეროვნულ მოძრაობას ებრძოდნენ. გია ბარამიძე, რომან გოცირიძე, მამუკა ხაზარაძე მიტინგებზე დედას აგინებდნენ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას!“**

**„როგორ უნდა დაიჯეროს ხალხმა ირინა სარიშვილის, რომელიც ჯერ ამბობდა, გია ჭანტურია იგორ გიორგაძემ მოაკვლევინაო და მერე თავად გახდა საქართველოში იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი?!“**




# ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲒᲐᲬᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ!



***„იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე და 1993 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი ᲑᲔᲡᲝ ᲛᲘᲥᲐᲕᲐ ბოლო ხანს „ჭუტავიზიის“ ეთერში უკრაინაში გადახვეწილი სააკაშვილის ერთ-ერთი რაიხსმარშლის დავით საყვარელიძის გამოსვლას ეხმიანება და პრეზიდენტ ზელენსკის მოუწოდებს, პუტინის გარდა ჰააგაში აუცილებლად უჩივლოს შევარდნაძეს, ელცინს და უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკს, რომლებმაც საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მოუკლეს:***

— 2022 წლის 1 მარტს საქართველოდან უკრაინაში გადახვეწილმა **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲛ,** რომელიც სააკაშვილის კვაზიფაშისტური რეჟიმის ერთ-ერთი ჯალათი და შემოქმედია, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში, **ᲓᲘᲐᲜᲐ ᲢᲠᲐᲞᲐᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ** პირდაპირი ჩართვის დროს, ასეთი რამ განაცხადა — **1993 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲪ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡᲝ!** შევარდნაძე **ᲗᲝᲛᲐ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ** ინტერვიუში მართლაც ამბობს — **1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲙᲠᲐᲕᲩᲣᲙᲛᲐ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲮᲛᲐᲠᲐᲝ!** — მაგრამ შევარდნაძე მთავარს არ ლაპარაკობს, კერძოდ, იმას, რომ ბალტინი, რომელმაც მაშინ მისი ხუნტა სამარცხვინოდ განადგურებისგან იხსნა, იყო არა უკრაინელი, არამედ რუსი და გახლდათ არა ლეონიდ კრავჩუკის, არამედ რუსეთის პრეზიდენტის **ᲑᲝᲠᲘᲡ ᲔᲚᲪᲘᲜᲘᲡ** ვიცე-ადმირალი.

**— ბატონო ბესო, რისთვის დასჭირდა დავით საყვარელიძეს იმის თქმა, რომ თითქოს უკრაინამ 1993 წელს რუსეთისგან გვიხსნა?**

— რაკი ახლა უკრაინას მძიმე დღეები უდგას, ეს ყველაფერი სჭირდებათ იმისთვის, რათა ისტორია გაამრუდონ. გარდა ამისა, **ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲢᲕᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲠᲔᲪᲮᲝᲜ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲣᲛᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲣᲛᲢᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!**

**— მაინც რა მოხდა 1993 წლის შემოდგომაზე?**

— 1993 წლის შემოდგომაზე მოხდა ის, რომ რუსმა ადმირალმა **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲛᲐ,** რომლის სახელმწიფოც მთელ აფხაზეთსა და სოხუმს ბომბავდა, ედუარდ შევარდნაძე სიკვდილს ორჯერ გადაარჩინა. პირველად შევარდნაძე 1993 წლის 27 სექტემბერს გადაარჩინეს რუსებმა, როცა მან **ᲥᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐ** სოხუმში განგებ ჩატოვა და მერე აფსუა და რუს სპეცრაზმელებს მოაკვლევინა, რათა აფხაზეთის დაცემის შესახებ სიმართლე არ ეთქვა.

მაშინ სწორედ ედუარდ ბალტინის ბრძანებით შევარდნაძე ცეცხლწაკიდებული სოხუმიდან „ზუბრის“ საშუალებით გამოიყვანეს, რის შესახებაც ბალტინი თავის წიგნში დაწვრილებით წერს, ხოლო მეორეჯერ ბალტინმა შევარდნაძე 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იხსნა, როცა მთლიანად დემორალიზებულ და გაკოტრებულ ხუნტის ჯარს, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტის ერთგულ გვარდიას ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, სამხედრო კრეისერებით, ტანკებით, ჯავშანმანქანებითა და, რაც ყველაზე მთავარია, ცოცხალი ძალით გაუწია დახმარება.

უფრო მეტიც, უკრაინელი გენერალი **ᲘᲣᲠᲘ ᲐᲚᲔᲠᲝᲕᲘ,** რომელიც „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტმა 2014 წლის „მაიდნის“ ცნობილი მოვლენების შემდეგ მოინახულა, უკრაინულ სამხედრო ბაზაზე სიამაყით აცხადებდა, რომ მან თავის მებრძოლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ზვიად გამსახურდიას დამხობაში. ამის დამამტკიცებელი ვიდეოკადრები არსებობს... მოკლედ, **ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, 1993 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲙᲠᲐᲕᲩᲣᲙᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲔᲚᲪᲘᲜᲘ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲘᲧᲝ...** ერთი სიტყვით, შევარდნაძის თანახმად, ელცინის დასტურის გარეშე, **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲙᲠᲐᲕᲩᲣᲙᲛᲐ** რუსი ადმირალის **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲘᲡ** შავი ზღვის ფლოტი გადმოისროლა საქართველოს აკვატორიაში, 1993 წლის 4 ნოემბერს ჩაკეტა როგორც ჩვენი საზღვაო, ისე საჰაერო სივრცე და შევარდნაძეს მიეხმარა ზვიად გამსახურდიასა და მისი „ბანდების“ განადგურებაში! აი, ამ სიტუტუცეს იმეორებს ეს ნაძირალა ნაცსექტანტი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ,** რომელიც დღეს უკრაინაშია თავშეფარებული, როგორც ვირთხა. სწორედ საყვარელიძისა და მისთანა ვირთხების დამსახურებაა ის, რომ უკრაინის ხელისუფლებამ მოიცალა და ამ უმძიმეს დღეებში „პოლიტიკური დევნილის“ სტატუსი მიანიჭა ავადსახსენებელ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲣᲮᲐᲫᲔᲡ,** რომელიც ხალხს აწამებდა...

**— როგორც ვიცი, შავი ზღვის ფლოტი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ემორჩილებოდა რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს...**

— 1998 წლის 12 თებერვალს „ნეზავისიმაია გაზეტას“ 23-ე ნომერში გამოქვეყნდა უაღრესად საინტერესო წერილი, რომლის ავტორიც გახლავთ **ᲐᲚᲐᲜ ᲙᲐᲡᲐᲔᲕᲘ.** წერილის სათაურია — **„ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲨᲔᲛᲫᲚᲔᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ!“** წერილში ბევრ რამეს ფარდა აქვს ახდილი. კერძოდ, როგორც **ᲙᲐᲡᲐᲔᲕᲘ** ირწმუნება, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოება მეტ-




## ᲥᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



**ნაციონალური მოძრაობა არის ყველაფრის მკადრებელი, ბინძური პოლიტიკური ძალა,** რომელსაც აბსოლუტური უტიფრობით შეუძლია ამტკიცოს თეთრზე შავი და პირიქით. მათი მიზანია ნებისმიერი გზით **ხელისუფლებაში მობრუნება, სახელმწიფოს ჩამოშლა, ომში გახვევა.**

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ“

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ**
*პოლიტოლოგი*



**ᲞᲣᲢᲘᲜᲡ** უჭირს, **რა გარანტიაა, რომ საქართველოსკენ არ დაქოქავს ტანკებს,** საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ღიად და საჯაროდ საქართველოს მოქალაქეების ჩართვას სხვა ქვეყნის ომში.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი*



**გაუგებარია უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილება საქართველოდან ელჩის გაწვევის შესახებ.** მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, საქართველო აგრძელებს და კვლავაც გააგრძელებს **უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ჰუმანიტარულ დახმარებას** თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი*



**ნაცებით და მათი ლობისტებით სავსეა უკრაინის სახელისუფლო წრეები,** ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვისი „ჩაწყობილია“ უკრაინიდან თვითმფრინავის გამოგზავნა ქართველი მოხალისეების საბრძოლველად წასაყვანად.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ**
*ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი*



რუსეთს შეუძლია, **აფხაზები აგვიჯანყოს.** გააქტიუროს ქართული ურეიტინგო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები და **მიგვიყვანოს ახალ კრიზისამდე!**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“







## „ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲫᲘᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲔᲚᲪᲘᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲚ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ!“

ნაკლებად ნათელია. **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წლის 3 აგვისტოდან 1995 წლის 9 ივნისამდე, შავი ზღვის ფლოტი წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გაერთიანებულ ფლოტს. ამ ფლოტის სრული გაყოფა რუსეთსა და უკრაინას შორის 1997 წლის 28 მაისს მოხდა.

1993 წლის იანვრიდან 1996 წლის იანვრამდე შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ხელმძღვანელობდა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის მიერ ერთობლივად შერჩეული პირი — **ᲕᲘᲪᲔ-ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲘ,** რომელმაც 1993 წლის შემოდგომაზე საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. აღნიშნულმა ფლოტმა ედუარდ ბალტინის სარდლობით მოახდინა მთელი ქართული სანაპიროს ბლოკირება და დახურულად გამოაცხადა საჰაერო სივრცე. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე დესანტირება მოახდინა შავი ზღვის ფლოტის 810-ე ცალკეული საზღვაო ქვეითი ბრიგადის 888-ე სადაზვერვო ბატალიონმა. ბატალიონს მეთაურობდა მაიორი **Ვ.Ვ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ,** ხოლო პოლკოვნიკი იყო **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲛᲐᲚᲘᲐᲙᲘ.** ეს დესანტი გადმოისხა ფოთში და ეს მოხდა 1993 წლის 4 ნოემბერს.

**— ვინ დახვდა ბალტინის საზღვაო დესანტს საქართველოში?**

— 1993 წლის 4 ნოემბერს დესანტს ფოთში დახვდნენ **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ,** ფოთის მაშინდელი მერი **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲐ, ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ** და ხუნტის ხელისუფლების სხვა წევრები... ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების საბოლოოდ დამხობასა და განადგურებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ნაციონალური გასამხედროებული ორგანიზაციის „უნა-უნსოს“ წევრებმა, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, „უნა-უნსოს“ ხელმძღვანელი **ᲙᲐᲩᲘᲜᲡᲙᲘ** ვიდეოში პირდაპირ აცხადებს, რომ ზვიადისტების წინააღმდეგ ის და მისი ხალხი სამეგრელოში იბრძოდნენ. მართალია, „უნა-უნსოს“ ბიჭები აფხაზეთში ომობდნენ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ ბალტინმა როცა შემოგვიტია, სენაკი ბალტინის ავიაციამ დაბომბა, ხოლო ათეულობით ტანკი და ჯავშანმანქანა ჩვენ წინააღმდეგ დაიძრა, სწორედ ამ დროს უკრაინელი უნაუნსოელები თუ უნამუსოები რუსებთან ერთად გვიტევდნენ. უკრაინისა და რუსეთის გაერთიანებულ ჯარს, ანუ ბალტინის არმადას, შავი „ვოლგით“ წინ მიუძღოდნენ — **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲣᲐᲫᲔ!** 1998 წლის 20 ივნისს გაზეთ „ახალ თაობაში“ ავთანდილ მარგიანმა ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა...

**— კიდევ რომელი ცნობილი ადამიანები მონაწილეობდნენ საქართველოში ბალტინის ჯარის შემოყვანის პროცესში?**

— ამ საქმეში ჩართული იყვნენ: **ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲕᲐᲫᲔ** და სხვები... მოსკოვში, „მზიურში“, სადაც საქართველოს სათვისტომო იყო, საქართველოს მოღალატეებმა და მტრებმა ბალტინის ჯარის შემოსაყვანად შეაგროვეს დიდძალი ფული — 2 მილიარდი რუსული რუბლი, რომელიც გადასცეს **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲡ.** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1993 წელს უკრაინამ რუსეთისგან კი არ გვიხსნა და გადაგვარჩინა, როგორც ამის შესახებ ნაძირალა ნაცსექტანტი და უკრაინაში გადახვეწილი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ** ტელევიზიით აცხადებს, არამედ

**ᲠᲣᲡᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲘᲪᲔ-ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲐᲚᲢᲘᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.**

რომ ჰკითხო, ნაცები გიპასუხებენ, რომ შევარდნაძე სწორედ მათ დაამხეს, მაგრამ საყვარელიძის ლაპარაკიდან რა გამოდის? თურმე, შევარდნაძეს უკრაინელების დახმარებით საქართველო რუსებისგან გადაურჩენია! თუ შევარდნაძე ასეთი გადამრჩენელი და მესია იყო, მაშინ რატომ დაამხეს? მაგრამ საქართველოში სჯერა ვინმეს, რომ შევარდნაძე საakaშვილმა და მისმა ხროვამ დაამხო? სხვათაშორის, შევარდნაძეს რომ უნდა დახმარებოდა და მისთვის ბალტინის ფლოტი გაეგზავნა, ბორის ელცინს ამის შესახებ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ᲑᲘᲚ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲛᲐ** დაურეკა!

**— რატომ არ არის ეს სიმართლე დღეს საქვეყნოდ აფიშირებული და მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი?**

— ეს ყველაფერი შენიღბულია იმიტომ, რომ ყველაფერი, საბოლოო ჯამში, დაკავშირებულია ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან! **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲒᲐᲬᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ! ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲫᲘᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲔᲚᲪᲘᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲚ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ!** გამორიცხულია, შევარდნაძეს ზვიადი კლინტონისა და ელცინის თანხმობის გარეშე მოეკლა! ეს არის ერთი უბინძურესი ძალა... საქვეყნოდ ცნობილია, რომ ელცინის მემკვიდრის — პუტინის კარზე თავს არაჩვეულებრივად გრძნობს შევარდნაძის შვილიშვილი **ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ,** რომელიც პუტინის უახლოესი მეგობარია. მოგეხსენებათ, პრეზიდენტი ზელენსკი აპირებს, ჰააგაში უჩივლოს პუტინს... ბატონო ზელენსკი,

**ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲰᲐᲐᲒᲐᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲩᲘᲕᲚᲔᲗ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ, ᲔᲚᲪᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲙᲠᲐᲕᲩᲣᲙᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲣᲙᲚᲔᲡ!**

სხვათაშორის, რომ არა პანდემია, ვაპირებდი, საპროტესტო აქცია გამემართა უკრაინის საელჩოს წინ და მომეწოდებინა საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის, სისხლის სამართლის საქმე აღეძრა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის **ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲙᲠᲐᲕᲩᲣᲙᲘᲡ** წინააღმდეგ. სხვათაშორის, **ᲪᲝᲢᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲖᲔ** თავდასხმა შემთხვევით არ მომხდარა, ცოტნე ბოლომდე აპირებდა ბრძოლას, რათა ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გახსნილიყო!

**— მაინც რა მოხდა?**

— იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ძალიან გავლენიანი და მსოფლიოში ცნობილი პირები ფიგურირებენ, ბუნებრივია, ცოტნე გამსახურდიას აქტიურობა ბევრს მოსვენებას უკარგავდა და მოხდა ის, რაც მოხდა — ცოტნე, ფაქტობრივად, გაანეიტრალეს! **ᲐᲘ, ᲔᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲡᲔᲥᲢᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲜᲐᲩᲛᲐᲮᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲜ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲐᲠᲢᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲢᲝᲥᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲗᲔᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲐᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲚᲐ!**

*ესაუბრა*

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***



## „ᲔᲚᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲡ – ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ!“

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲦᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი*



მოვახდენ **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ** ციტირებას, რომელსაც დასავლელი ლიდერებისთვის ოფიციალურად თუ არაოფიციალურად არაერთხელ უთქვამს, **ყურადღება მიაქციეთ უკრაინის უსაფრთხოებას, რადგან, თუ რუსეთმა უკრაინა დაახრჩო, იცოდეთ, მეორე დღეს თქვენს კართან ახალი ბოროტების იმპერია დაიბადება.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲐᲚᲘ ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ**
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



**ᲜᲐᲜᲐ ᲚᲔᲟᲐᲕᲐᲛ** 2008 წლის ომის დღეებში ჩაწერა ქართველი ქალბატონი, რომელიც აზერბაიჯანში მუშაობდა და თავისი თვალით **ნახა ჩემოდნებით, ოჯახის წევრებთან ერთად კილომეტრიანი რიგი რომ ჰქონდათ გამართული ქართველი თანამდებობის პირებს წითელ ხიდთან. სასტუმროები რომ ჰქონდათ დაჯავშნილი ბელაქანში და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბევრ სასტუმროში,** თურქეთის საზღვარზეც დაფიქსირებულია მათი გადასვლის ფაქტები. მაშინ, როცა ჩემისთანები იმაზე ვფიქრობდით, როგორ დავხმარებოდით უწყალოდ დარჩენილ, მშიერ და დაუცველ ადამიანებს ატენის ხეობაში, გორსა და ახალგორში.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲝᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი*



**არაფრის მომტანი და უსარგებლო ღნავილი ისმის ოპოზიციის მხრიდან.** გასაკვირია, რას ედავება ხელისუფლებას ნაცხროვა, რომელმაც თავისი უგუნურობით **სამშობლოს 20 პროცენტი უმშვენიერესი ტერიტორიები დააკარგვინა** და განა მარტო ეს გვაკმარა?! **ამ უტიფრებმა ქვეყანა გაყვლიფეს და ხალხი გააღატაკეს!**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ**
*„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე*



თუ **უკრაინელი ხალხის** გმირობის და **პუტინის რუსეთის** დასუსტების ხარჯზე მივიღებთ ევროკავშირში გაწევრიანების შანსს, ეს არ იქნება **ივანიშვილის რეჟიმის** დამსახურება.

„ᲐᲘᲞᲠᲔᲡᲘ“

*ადვილია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების პრიმიტიულ დონეზე განხილვა, მაგრამ გაცილებით რთული ასახსნელია ის პოლიტიკა, რასაც მსოფლიო ლიდერები ტელეკამერების მიღმა აწარმოებენ. როგორც ანალიტიკოსი* **დემურ გიორხელიძე** *აცხადებს, ამ გლობალურ თამაშში უკრაინასა და მის ხალხს მსხვერპლის როლი არგუნეს:*





## დემურ გიორხელიძე:

# მსოფლიოში არსებული პოლიტიკური განლაგება იცვლება!

— მთავარი დაპირისპირება უკრაინა-რუსეთს შორის არ არის. ეს გახლავთ რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის არსებული კონფლიქტის გვერდითი ეფექტი. რთულ სიტუაციებში მსოფლიოს დიდი მოთამაშეები ისე იქცევიან, როგორც საჭიროდ თვლიან. ევროპის უდიდესი სახელმწიფო თავისი ფანტასტიკური პოტენციალით ლამის მიწასთან არის გასწორებული. უკრაინა მისმა გამყიდველმა პოლიტიკოსებმა დაღუპეს. ის უკრაინის სახელმწიფო, რომელიც 24 თებერვლამდე იყო, არსებობას შეწყვეტს!

**— თქვენს ამ მოსაზრებას უკვე მოჰყვა არაერთგვაროვანი რეაქცია, რუსულ პროპაგანდაშიც დაგადანაშაულეს...**

— ვამბობ იმას, რასაც ვხედავ, ჩემი შეფასებები ემოციურ ფონზე არ არის გაკეთებული. პროფესიულად ვაფასებ მოვლენებს. როცა ამხელა ქვეყნის ხელისუფალი ხარ, 46 მილიონამდე ადამიანი დგას შენ უკან და ასეთ გლობალურ პროცესში ებმები, უნდა იცოდე, რომ ძვირად დაგიჯდება. ისტორიამ, უბრალოდ, არ იცის სხვა მაგალითი. მსოფლიოში არსებული პოლიტიკური განლაგება იცვლება, ახალი სამყაროს კონტურები ისახება. ეს არის დასკვნითი ფაზა და ამიტომ არის ასეთი მტკივნეული.

**— და მაინც, საითკენ არის მიმართული გლობალური პოლიტიკა?**

— დღეს სამყარო მრავალპოლარულ რეჟიმში გადადის, ანუ წარმოიქმნება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა ცენტრები და ერთი სახელმწიფოს — შეერთებული შტატების დომინირება, რაც ბოლო 30 წლის მანძილზე ხელშეუხებელი იყო, აღარ იქნება.

სამწუხაროდ, 30-წლიანი პროპაგანდისტული შტურმის გამო არ ვსვამთ მთავარ შეკითხვას, კერძოდ, რა მიზეზით არ შედგა დიდი პოლიტიკური ხასიათის შეხვედრა, რათა საქმე საომარ მოქმედებამდე არ მისულიყო? 46-მილიონიანი ქვეყნის ტრაგედია სპორტულ აჟიოტაჟამდე დაგვყავს — ეს მოიგებს, ის წააგებს.

უნდა გავერკვეთ, რა უნდათ გლობალურ ასპექტში რუსეთს, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს, სად იკვეთება სამი მთავარი მოთამაშის ინტერესები. **გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტში ცნებები „კარგი-ცუდი“ არ არსებობს. პოლიტიკურ დონეზე არც ადამიანების მსხვერპლი ფასობს. მთავარი ინტერესებია!**

**— მივა თუ არა საქმე ბირთვულ დაპირისპირებამდე?**

— ჩემი გადასახედიდან, ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობა ნულის ტოლია. ასეთ რამეს გამორიცხავენ ამერიკელი პროფესიონალი სამხედროებიც. ამ სცენარის ამოქმედება ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე ადამიანების მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. კიდევ ერთხელ ვამბობ — **არ ვფიქრობ, რომ ამის საფრთხე არსებობს, მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ შესაძლოა, ლოკალურად რაიმე იქნას გამოყენებული.**

**— როგორ ფიქრობთ, შეაჩერებს თუ არა რუსეთს მსოფლიოს მიერ დაწესებული სანქციები?**

— დეტალურად გავაანალიზე სანქციებთან დაკავშირებული საკითხები და ერთი-ერთში ემთხვევა ორიოდე დღის წინ გამოქვეყნებულ ატლანტიკური კავშირისა და ახალი ამერიკული უსაფრთხოების ცენტრის ექსპერტთა ანალიზს. ცალმხრივი სანქციები არ არსებობს. **რუსეთისადმი სანქციების გავლენის სიმძიმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეზღუდვებზე, დანაკარგზე წამსვლელია შეერთებული შტატები და მთლიანობაში დასავლეთი.**

დეტალური ანალიზის შედეგად ვამბობ — რუსეთისთვის გათვალისწინებული შეზღუდვები თავისი სიმძიმით ახლოსაც ვერ მივა იმ სანქციებთან, რომლებიც ირანს აქვს დაწესებული, მაგრამ ქვეყანა არ ჩამოქცეულა. ე.ი. არც რუსეთს ემუქრება ჩამოქცევა. ემოციურად იმაზე ლაპარაკი, რომ რუბლი დაეცა და ა.შ. არ არის მართებული. რუბლის ვარდნას გარკვეულ ეტაპამდე აქვს მართვის მექანიზმები. **ვინც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები იცის და ერკვევა, რა სავალუტო რეზერვები აქვს რუსეთს, მიხვდება, რომ ეს არაფერია. იქ ფინანსური სექტორი ძალიან მაღალი სპეციალისტების მიერ იმართება.** ცხადია, ზიანი მიადგება, ისევე როგორც დასავლეთისა და შეერთებული შტატების ეკონომიკას, მაგრამ არ ჩამოიქცევა! **სულ რომ ჩაიკეტოს დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობები, ამ ქვეყნის რესურსები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ არსებობა გააგრძელოს.**

რაც შეეხება SWIFT-ს, ადამიანებს წარმოდგენა არა აქვთ, რაა სვიფტი და ასე ჰგონიათ, დაიქცა ქვეყანა. SWIFT მხოლოდ ბანკებს შორის ურთიერთობის სისტემაა და არა ბანკებს შორის ფულის გადაადგილების. სვიფტიდან ჩახსნილ ბანკთან დასავლურ ბანკებს მხოლოდ კომუნიკაციას ურთულებს, სხვა არაფერს. ჯერჯერობით არცერთ საერთაშორისო ბანკს არ ეკრძალება კომუნიკაცია რუსულ ბანკებთან, ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადარიცხვები კი საერთოდ შეუფერხებელია. ჩემს ამ შეფასებაზე ბევრი იტყვის, ალბათ, რუსული პროპაგანდააო და ა.შ. არ დაგიმალავთ, ასეთი იდიოტური შეფასებებისთვის მეცოდება ხალხი.

**— ანუ ეს არ არის ის თემა, რომლითაც შეიძლება რუსეთი შეაშინო და უკან დაახევინო?**

— რუსეთისთვის ერთადერთი საფრთხე არის მძიმე სოციალური ფონი, რამაც შეიძლება მომავალში მასიური უკმაყოფილება გამოიწვიოს, განსაკუთრებით პერიფერიებში, თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, **როგორც კი ეს ამბები დასრულდება, რუსეთის ხელისუფლება სცენიდან გავა.**

აღარ მოვყვები იმაზე საუბარს, რა პრობლემების წინაშე შეიძლება დადგეს შეერთებული შტატები და დასავლეთი. ინფლაციის საფრთხე ამერიკაში უკვე 7.5 პროცენტია, ასევე არის სტაგნაციის საშიშროებაც. რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა და რეპრესიული აპარატიც უფრო მძლავრი აქვს, ხოლო დასავლელ მოქალაქეს თუ ეკონომიკური სიტუაცია დაუმძიმდა, შეიძლება ამას არჩევნებზე ხელისუფლების ცვლილება მოჰყვეს.

**ყველა სანქცია, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ გატარდება, ამერიკელი და ევროპელი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, რაც მათთვის ყველაზე დიდი საფრთხეა.**

იმედია, ახლა მაინც ხდება გასაგები, რატომაც არ შევუერთდით სანქციებს. ეს წმინდა წყლის მატრაბაზობა იქნებოდა და უზარმაზარ დარტყმას მიაყენებდა ეკონომიკას, რომელიც თავიდან ბოლომდე იმპორტზეა დამოკიდებული. რუსეთი არის საქართველოს ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორი თურქეთის შემდეგ. უამრავი რამ, მათ შორის, ფულიც იქიდან შემოდის.

**— მაგრამ ამისთვის სერიოზული კრიტიკა დავიმსახურეთ ომში ჩართული უკრაინისგან. ზელენსკიმ ჩვენს გადაწყვეტილებას სანქციებთან დაკავშირებით ამორალურიც კი უწოდა...**

— ეს არის პროვოკატორული პოლიტიკური შეფასებები! მაშინ რატომ არ შეუერთდა სანქციებს ჩინეთი, ნატოს წევრი თურქეთი, ინდოეთი და ა.შ.? თავის დროზე ასეთი არასწორი თამაშები რომ ვითამაშეთ, ამიტომაც წაგვართვეს საქართველოს ტერიტორიები. ემოციური თავშეუკავებლობა ქართველების ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გლობალური კრიზის დროს არაგაწონასწორებულ და არაგონივრულ განცხადებებს აკეთებს, პროვოკატორად მიმაჩნია. უკრაინაში პოლიტიკოსები მაღალ დონეზე რომ ყოფილიყვნენ, არ მოხდებოდა ის, რაც ახლა ხდება. საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უფლება, სახელმწიფო — დარტყმის ქვეშ, ხოლო ხალხი მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენოს.

სად უნდა იბრძოლო, რა ომში შედიხარ ან რატომ შედიხარ?! სახელმწიფოს მოწყობა და განვითარება თუ გინდოდა, 30 წელი შეგიშალა ვინმემ ხელი?! აგიკრძალა დასავლეთთან ურთიერთობა? რა მივიღეთ შედეგად? — დანგრეული ქვეყანა და 2 მილიონი ქვეყნიდან გასული მოქალაქე. სახელმწიფოს მოწყობას ცოდნა, დღედაღამ შრომა სჭირდება და არა დემაგოგია! ვიღაცას თუ ომში უნდა წასვლა, ამას რად უნდა ყვირილი, წყნარად დაიხუროს ქუდი და წავიდეს!

**„სულ რომ ჩაიკეტოს დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობები, ამ ქვეყნის რესურსები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ არსებობა გააგრძელოს!“**

*ესაუბრა*
**ნატო ფოცხიშვილი**



# ზაქრო გიგაური: მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ თავიდანვე უზუსტესი დიაგნოზი დაუსვით და სამშობლო არ დაანებეთ წიწოლა სააკაშვილის სექტას!

> **„ამას ვამბობ მე, 88 წლის კაცი, საქართველოს იმ მრავალჭირნახული კუთხის შვილი, სადაც დაირწა ორი გმირის — არსენა ოძელაშვილისა და არსენა ჯორჯიაშვილის აკვანი, სადაც მდებარეობს ბირთვისის ციხე, ასევე უძველესი ციხე-ქალაქი სამშვილდე, ფარცხისი და სამღერეთში მურვან-ყრუსთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული სამი ქართველი ქალის — თამთას, რუსუდანისა და ხვარამზეს საერთო საფლავი!“**







***ღვაწლმოსილი ქართველი პედაგოგი, არაერთი წიგნისა და გამოკვლევის ავტორი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი ზაქრო გიგაური „ასავალ-დასავალს“ 30 წლის იუბილეს ულოცავს და იმ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება, რომელმაც უკანასკნელ ხანს მთელი მსოფლიო შეცვალა. განათლების სისტემის ამაგდარი, რომელმაც ნაცხროვას საგანგებო კაფია მიუძღვნა, აცხადებს, რომ სააკაშვილი ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირს — წიწოლას აგონებს, რომელმაც მოძმეებს უღალატა და ბრძოლის ველიდან გაიქცა:***

— უპირველესად, სულით და გულით მინდა, მოგილოცოთ იუბილე! მოგეხსენებათ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ცენტრში, იატაკზე, რკინის დისკოზე ასომთავრულით ამოტვიფრულია შემდეგი სიტყვები — **„დექით მტკიცედ და შეურყევლად!“** ვფიქრობ, დღევანდელ საქართველოში ეს მოწოდება ყველაზე უფრო მიესადაგება გაზეთ „ასავალ-დასავალს“, რომელსაც 30 წელი შეუსრულდა. **ოცდაათი წელია, თქვენი კოლექტივი საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგას და თავდაუზოგავად იბრძვის!** ამას ვამბობ მე, 88 წლის კაცი, საქართველოს იმ მრავალჭირნახული კუთხის შვილი, სადაც დაირწა ორი გმირის — არსენა ოძელაშვილისა და არსენა ჯორჯიაშვილის აკვანი, სადაც მდებარეობს ბირთვისის ციხე, ასევე უძველესი ციხე-ქალაქი სამშვილდე, ფარცხისი და სამღერეთში მურვან-ყრუსთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული სამი ქართველი ქალის — თამთას, რუსუდანისა და ხვარამზეს საერთო საფლავი. მინდა, გითხრათ, რომ სიძველის გამო ამ ქართველი ქალების სახელები საფლავის ქვაზე ძლივს იკითხება. აქვე ისიც მინდა, ვთქვა, რომ ამ სამი ქალის გმირობის ამბავი საქართველოს ისტორიაში მიჩქმალულია და აღნიშნული ფაქტის შესახებ არათუ მოსახლეობამ, არამედ ისტორიკოსებმაც კი არაფერი იციან. სწორედ თეთრიწყაროს რაიონში მდებარეობს თამარ მეფის მიწისქვეშა საზაფხულო საყინულე — ხორხებიც.

**— ბატონო ზაქრო, შექმნილ სიტუაციაში, როცა უკრაინაში ომი მძვინვარებს, ნაცსექტანტები საქართველოს აშკარად ომისკენ ექაჩებიან. რა რჯით სააკაშვილსა და მის ხროვას, ასე რომ იქცევიან?**

— სააკაშვილი ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გმირს — **წიწოლას** მაგონებს, რომელმაც მოძმეებს უღალატა და ბრძოლის ველიდან გამოიქცა. **წიწოლა** ღალატის გამო თემმა მოკვეთა, რის გამოც მან თავი ჩამოიხრჩო. **როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველას წიწოლას არავინ გამოესარჩლა, სამაგიეროდ, წიწოლა სააკაშვილს აღმოაჩნდა უამრავი გადია და დამცველი.** მართლაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ცნობილმა, მაგრამ უზნეო ქართველებმა **წიწოლა სააკაშვილის** გასათავისუფლებლად პეტიცია შეადგინეს. არადა, **სააკაშვილს წიწოლას გამბედაობაც კი არ აღმოაჩნდა და თავის თავს განაჩენი ვერ გამოუტანა, რადგან ლაჩარია...** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ფაქტია, **რომ სააკაშვილი და მთელი მისი ნაციონალური ხროვა ძალიან არიან მოწადინებული, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ!**

ამ ხალხს ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ და მათი გამოსწორება წარმოუდგენელია. მე ამ მოღალატეებს, რომლებმაც სამშობლო გამიყიდეს, ერთი ხევსურული კაფია მივუძღვენი, რომელიც ასე ჟღერს:

**ვერაგო ნაცმოელებო,**
**ჩავარდით განსაცდელშია,**
**დაბოღმილები დადიხართ**
**ხუთჯვრიან**
**დროშით ხელშია.**
**მოგაკლდათ**
**შობა-ახალ წელს**
**ინდაური და გოჭია,**
**მიდით და ახლა ციხეში**
**მიშას მობანეთ პ...ჭია**
*(ცენზურა ჩვენია. რედ.),*
**ან ტუალეტში**
**შებრძანდით**
**და იქ იღვაწეთ მიჯრითა,**
**წერეთ, ხატეთ და**
**იმღერეთ**
**შარდით, ფურთხით და**
**მიჯ...თა!**
*(ცენზურა ჩვენია. რედ.)*

ეს არის უზნეო ხალხი და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ თავიდანვე უზუსტესი დიაგნოზი დაუსვით და სამშობლო არ დაანებეთ **წიწოლა სააკაშვილის სექტას,** რომელმაც ჩვენი ქვეყანა კინაღამ შეიწირა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# სააკაშვილო, მადლობა თქვი, რომ კიევში კი არა, რუსთავში პარაშასთან ხარ... და შეირგე!



***სააკაშვილი აბა რისი სააკაშვილია, უკრაინაში დაწყებული ომის სათავისოდ გამოყენება რომ არ ეცადა და თავის სასამართლო პროცესზე მისულმა მორიგი იაფფასიანი კლოუნადაც გამართა! მან, არც მეტი, არც ნაკლები, ციხიდან გათავისუფლება და უკრაინაში საომრად გაშვება ითხოვა!***

სანამ უკრაინაში ომი დაიწყებოდა, სააკაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას ასეთი გარიგება შესთავაზა — **გამიშვით უცხოეთში სამკურნალოდ და პირობას გაძლევთ, სანამ ვიმკურნალებ, საქართველოში ნაცოპოზიციის საპროტესტო გამოსვლებზე მორატორიუმი გამოცხადდებაო!** ანუ სააკაშვილმა, ჯერ ერთი, რომ მთლად თავის „ჯიბის ოპოზიციად“ გამოაცხადა მთელი ეს **ნაცლელოგირჩები** და მეორეც, პირდაპირ აღიარა, რომ სულ არ აინტერესებს „რუსული ოცნების რეჟიმის ქვეშ მგმინავი“ ქართველი ხალხი, ოღონდ თვითონ გამოძვრეს ციხიდან და მოქუსლოს საზღვარგარეთ!

ეს ტრიუკი რომ არ გაუვიდა, **სააკაშვილმა ისევ უვადო შიმშილობა გამოაცხადა,** მაგრამ არც ამ „თავგანწირვას“ მოჰყოლია ქუჩებში ხალხის გამოვარდნა — ჩვენი ფიურერი შიმშილობს, სამშობლოსათვის თავს სწირავსო!

ჰოდა, სწორედ ამ დროს დაიწყო ომი უკრაინაში, რაშიც **ფუჭად მოშიმშილე სააკაშვილმა** თავისი შანსი დალანდა! კერძოდ, სასამართლო დარბაზში მყოფი ტელეკამერების წინ ყელი მოიღერა და გმირული სახით განაცხადა — **მე უკრაინის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი ვარ და გამიშვით ჩემს მეგობართან და ჩემს მთავარსარდალთან მსოფლიოში ყველაზე საშიშ ადგილას — კიევშიო!**

სააკაშვილო, ჯერ ერთი, შენი მთავარსარდალი **ვოლოდიმირ ზელენსკი** კი არა, რუსთავის საპყრობილის ბადრაგია! კიევში გამიშვითო, რომ იხვეწები, წარმოიდგინე, **ყოველ დაბომბვაზე კურდღელივით ცხვირით მიწის თხრას რომ დაიწყებ, როგორც გორში 2008 წლის 10 აგვისტოს,** რამდენ კილომეტრს გათხრიდი უკვე და რამდენ პამპერსს გააფუჭებდი!

**კიევში რომ გაგიშვან, ყოველ დაბომბვაზე რამდენ ჰალსტუხს შეჭამ?!** ჰოდა, რომელიმე რომ გადაგცდეს და დაიხრჩო, მერე რა პასუხი გავცეთ შენ იმედად მყოფ სანაცეთს აქ და „დემოკრატიულ სამყაროს“ — იქ?! ამიტომ, **მადლობა თქვი, რომ კიევში კი არა, რუსთავში ხარ, პარაშასთან... და შეირგე!**

თუმცა, **სააკაშვილმა** ზემოხსენებულ სასამართლო პროცესზე უკრაინაში საომრად (ანუ ჰალსტუხის საჭმელად) გაშვების თხოვნა არ იკმარა და შეგვაშინა — **ხომ იცით, როგორ ვეზიზღები პუტინს და ჩემი საქართველოში ყოფნა ქვეყნისთვის საშიშია, პუტინმა არ დაგარტყათო!**

ძვირფასო მკითხველო, **სააკაშვილის** ლოგიკას დაუკვირდითო, როგორ გკადროთ, მაგრამ აქამდე ეს უბედური არ გაიძახოდა თუთიყუშივით, მე პუტინის დავალებით დაჭერილი და მისი პირადი პატიმარი ვარო?! **თუ პუტინის პატიმარი ხარ, მაშინ რატომ უნდა დაგბომბოს პუტინმა** და შენზე ბალისტიკური რაკეტები ხარჯოს, როდესაც კამერაში ჰყოლიხარ გამოკეტილი და რასაც უნდა, იმას გიზამს?! სადაა მიშიკო, ლოგიკა?!

მოკლედ, სააკაშვილის ამ დაბრეხვებულზე — **გამიშვით, თორემ პუტინი დაგარტყამთო** — თვით **ბოკერიას ჩერგოლეიშვილიც** კი გამოვიდა „წყობილებიდან“ — **სააკაშვილი ყველანაირი ღირსებისგან დაიცალა და უკვე პუტინით გვემუქრება, თუ ციხიდან არ გაუშვებენო!**

მოკლედ, ნაცებო, აი, ეს არის თქვენი ფიურერი — **აბსოლუტური არარაობა,** რომელიც რუსული რაკეტებით გვაშინებს, მაგრამ თქვენც **არარაობების ხროვა** ხართ, ასეთი **არარაობა** ფიურერად რომ გიზით!

## სააკაშვილო, შენი მთავარსარდალი ზელენსკი კი არა, რუსთავის ციხის ბადრაგია!

***გიორგი გიგაური***



დასაწყისი იხილეთ „ა-დ“. 2022 წლის №9,10



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 მარტი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 56 (15269)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

# ედუარდ შევარდნაძე:

# „Постановление по Тбилисскому горкому“ საქართველოს განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა!

***გთავაზობთ ნაწყვეტს ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუდან, რომელიც მას „პოსტანოვლენიე პო გორკომუ“-ს 40 წლისთავზე, 2012 წლის თებერვლის მიწურულს, „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა ნონა ბენდელიანმა ჩამოართვა.***

**— ბატონო ედუარდ, ზუსტად 40 წლის წინათ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო — 1972 წლის 22 თებერვალს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება („Постановление ЦК КПСС о работе Тбилисского горкома партии“), რომელმაც სათავე დაუდო საქართველოში შევარდნაძის ეპოქას...**

— ეს დადგენილება მოსკოვში დაიწერა და შემიძლია გითხრათ, რომ იგი საქართველოს განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა... კომკავშირიდან მცხეთის რაიკომის მდივნად გადამიყვანეს. მაშინ ცკ-ის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში იყო **ჟანუყვაძე.** დიდი ოდენობით მარცვლეული მომცა იქაური მცხოვრებლებისთვის. შეიძლება ითქვას, მცხეთელებმა მარცვლეულით შემიყვარეს. მოგვიანებით **თბილისის პირველი მაისის რაიკომის მდივნად** გადმომიყვანეს. მახსოვს, კონფერენციაზე კენჭისყრისას ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის წინააღმდეგ 60 კაცი წავიდა, რაც კატასტროფა იყო. კომუნისტურ პარტიაში ორი კაციც რომ ყოფილიყო რაიმე იდეის წინააღმდეგი, ესეც ბევრს ნიშნავდა და წარმოიდგინეთ, 60 წინააღმდეგი, ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა. მიუხედავად ამისა, მაინც დამამტკიცეს.

**— ბატონო ედუარდ, თემას გადავუხვიეთ, ჩვენ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე ვსაუბრობდით.**

— ამ ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ ნათელი გახდეს საზოგადოებისთვის, რატომ დააყენეს მაინცდამაინც ჩემი კანდიდატურა **მჟავანაძის** შემდეგ. როგორც გითხარით, მიუხედავად ამდენი კაცის წინააღმდეგობისა, მაინც ამირჩიეს.

**— რატომ იყვნენ ის ადამიანები წინააღმდეგი?**

— იმიტომ, რომ არსებობდა ბევრი იატაკქვეშა ქარხანა და საწარმო და, რა თქმა უნდა, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს შევარდნაძე არ აწყობდათ.

**— ბატონო ედუარდ, საზოგადოება თვლის, რომ ცეკას პირველ მდივნობამდე სწორედ იმ ცნობილი „პოსტანოვლენიე პო ტბილისსკომუ გორკომუ“-ს წყალობით მოხვედით. ამიტომ, მოდით, ამ დადგენილებაზე ვისაუბროთ. ეს დოკუმენტი პირდაპირი დარტყმა იყო ცკ-ის მაშინდელ პირველ მდივანზე ვასილ მჟავანაძეზე...**

— როგორც ადამიანი, ვასილ მჟავანაძე კარგი კაცი იყო, კეთილი, პატიოსანი. მე ჩემს მემუარებშიც აღვნიშნე მისი ეს თვისებები.

**— როგორც ხელმძღვანელი?**

— თვითონ კი იყო სუფთა და პატიოსანი, მაგრამ ნელ-ნელა მოექცა არცთუ პატიოსან გარემოცვაში, რამაც გავლენა იქონია მის მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, თუნდაც მეტრო, რესპუბლიკაში მართლაც რთული ვითარება იყო. მექრთამეობა, გამომძალველობა, მკვლელობები. ძალიან ცუდი სიტუაცია იყო თეატრსა და კინოში, მდგომარეობით შეშფოთებული იყო ინტელიგენცია.

**— თქვენ მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით. როგორი ურთიერთობა გქონდათ მჟავანაძესთან?**

— მე ყოველთვის კარგად მექცეოდა. ამიტომ სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ვეუბნებოდი ხოლმე. თუ ამის საშუალება არ იყო — **ინაურის** მეშვეობით. ამიტომაც და, ალბათ, სხვა გარემოებების გამოც, შინაგან საქმეთა მინისტრად დამნიშნა. თუმცა, მანამდე, ჩემივე თხოვნით, მინისტრის პირველ მოადგილედ დავინიშნე, რადგან ვფიქრობდი, რომ მინისტრობამდე რაღაც გზა უნდა გამევლო, გამოცდილება შემეძინა.

**— სხვა გარემოებებში რას გულისხმობთ, მჟავანაძე გენდობოდათ, ბატონო ედუარდ?**

— პრინციპში, მენდობოდა. ამის საფუძველიც ჰქონდა. მაგალითად, სტადიონთან დაკავშირებულ ამბებზე მე მივაწოდე ინფორმაცია. როგორც იცით, „დინამოს“ სტადიონის გადატანა უნდოდათ იქ, სადაც ახლა ზოოპარკია. ზოოპარკი კი, სადღაც წყნეთში უნდა გადაეტანათ. ამ ინიციატივის უკან **ძმები ლაზიშვილები** იდგნენ. მჟავანაძეს ვუთხარი — სტადიონი ახალი აშენებულია, ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს და რა საჭიროა მისი გადატანა-მეთქი. მკითხა — ვინ დგას ამ ინიციატივის უკანო? ვუთხარი, რომ ინიციატორები **ძმები ლაზიშვილები** იყვნენ. მერე რატომ არ დაიჭეროო? — მითხრა. ავუხსენი, რომ მტკიცებულებები არ მქონდა, ამის გარეშე მათი დაჭერა კი იოლი არ იყო.

**— მერე როგორ დაიჭირეთ, მტკიცებულებები გაგიჩნდათ?**

— **ლაზიშვილებს** ნავთლუღში ჰქონდათ საწარმო. ერთ დღეს მივიღე ცნობა, რომ ერთი ტრაილერი პროდუქციის გატანას აპირებდნენ, არ ვიცი, სად. მივიღე თუ არა ეს ცნობა, მაშინვე გავეცი დაჭერის განკარგულება. ჯერ **ოთარ ლაზიშვილი** დავიჭირეთ, ის იყო მთავარი. დასაკითხად ჩემს კაბინეტში შემოიყვანეს. ვუთხარი — თუ თავის დაღუპვა არ გინდა, ყველაფერი უნდა მომიყვე-მეთქი. ბევრი არ უვაჭრია, ყველაფერი აღიარა. ის და მისი ძმა დავიჭირეთ.

**— მაინც რა აღიარა ოთარ ლაზიშვილმა?**

— პროდუქცია, რომელიც მისი ფაბრიკიდან გამოიტანეს, იყო აღურიცხავი. როგორც ზემოთ გითხარით, როცა **მჟავანაძემ** გაიგო, რომ სტადიონის გადატანის ინიციატივის უკან ლაზიშვილები იდგნენ, შენიშვნა მომცა — მერე რატომ არ დაიჭეროო. ოთარ ლაზიშვილი რომ დავიჭირე, დავურეკე და ვუთხარი — თქვენი შენიშვნა გავითვალისწინე და ლაზიშვილი ჩემს ხელშია-მეთქი. ამის მეტად მჟავანაძეს ჩემთან ეს გვარი აღარ უხსენებია. სხვათაშორის, **ლაზიშვილმა** ორგანიზატორული თვისება კოლონიაშიც გამოამჟღავნა და იქ ხელფასსაც იღებდა.

**— სტადიონის გადატანა რომ უნდოდათ, მხოლოდ ამისთვის**





## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ქართველ ხალხს, რომ **ის არის ნამდვილი ეროვნული მოღვაწე,** ნამდვილი პატრიოტი, რომლისთვისაც მთავარი ქართული სახელმწიფოს ინტერესებია.

„საერთო გაზეთი“

**იუნა შაფთაევა**
*აშშ-ში მცხოვრები მსახიობი*



ირაკლის რატომ ლანძღავთ, **თქვენი უკრაინის მოქალაქე ბელადიანად ყველა ნაცმა აისხით დანა-ჩანგალი, ქვაბები, 2008-ში რომ შეგვატოვეს ისე და გაეშურეთ უკრაინის საზღვრისკენ,** მიშას საყვარლებიან, მომღერალ-პრომებიანად, გვარამია „ადვოკატებიანად“, ცრუ ჟურნალისტებიანად, მართლა ბნელებო! **ბრძოლა გინდათ? ვინ გიჭერთ?**

„ალია“

**ალექსანდრე თამაზაშვილი**
*ირაკლი ღარიბაშვილის ცოლისძმა*



**ყველა იმ არაადამიანის დედა ვატირე,** რომლებიც უკრაინაში მიმდინარე ოკუპაციას მშვიდად უყურებენ და ერთი სული აქვთ — **საბჭოთა კავშირში დაბრუნდნენ!**

„ალია“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*კონფლიქტოლოგი*



მინდა ოპოზიციას ვკითხო, ახლა **სალომე ზურაბიშვილი** არ არის კრემლის აგენტი?!

„ახალი თაობა“






# ვლადიმერ ტაბაღუა:

# ვასილ მჟავანაძის მიერ შექმნილი საიდუმლო კომისიის საქმიანობაზე შევარდნაძისთვის ამბის მიმტანი დღეს ბერად არის აღკვეცილი!



სანდრო კავსაძე

*„ედუარდ შევარდნაძეს ვასილ მჟავანაძის მიერ შექმნილი საიდუმლო კომისიის მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა* ***სანდრო კავსაძემ,*** *რომელიც დღეს მონასტერში ბერად არის აღკვეცილი“,* ***— აცხადებს ცნობილი იურისტი, ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა და 50 წლის წინათ, 1972 წლის 22 თებერვალს, თბილისის პარტიის ქალაქკომის საქმიანობის შესახებ მოსკოვში მიღებული დადგენილების კულისებზე საუბრობს:***

— 1972 წლის 7 მარტს, როდესაც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ცნობილი დადგენილება — **„სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“,** ედუარდ შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. მანამდე მას უკვე გამოცდილი ჰქონდა კარიერული დაქვეითების გზა, როცა პარტიის პირველი მაისის რაიკომის მდივნობიდან ჯერ მცხეთაში გადაიყვანეს, შემდეგ კი უმუშევრად დატოვეს, ამიტომ ყოველ ღონეს მიმართავდა, კარიერა მოეწყო და უკან აღარ მიეხედა.

მცხეთაში მუშაობის პერიოდში და შემდგომშიც შევარდნაძის უკმაყოფილონი იყვნენ მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელები, მასზე საჩივრები მიდიოდა ცეკაში, ურეკავდნენ და ლანძღავდნენ, სახელმწიფო მოღვაწე კი არა, პარტიული ძაღლი ხარ და მალე ძაღლის „პაგონებს“ დაგაკერებთო... შევარდნაძემ ყველა მათგანი დაიმახსოვრა — ვინ რა უთხრა და ვინ დაემუქრა... აი, ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც თავის კომკავშირელ მეგობარს გაახსენდა, რომელიც უკვე სსრ კავშირის კომპარტიის ცენ-

გაგრძელება მე-20 გვერდზე

**გაწირეთ საციხედ?**

— ბევრი სხვა მიზეზიც იყო, ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ.

**— ისევ დადგენილებას დავუბრუნდეთ. გეცოდინებათ, რომ „პოსტანოვლენიე პო ტბილისსკომუ გორკომუ პარტიი“-ს ინიციატორად დღემდე თქვენ გთვლიან. მოსკოვში სერიოზული კავშირები გქონდათ და ფიქრობენ, რომ რესპუბლიკაში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციას მათ სწორედ თქვენ აწვდიდით.**

— სისულელეა. აბა, უშიშროება რაღას აკეთებდა? შესაძლოა, მოსკოვში მართლაც ბევრი ნაცნობი მყავდა, მაგრამ ინფორმაციებს ნამდვილად არ ვაწვდიდი. **ინაური** აწვდიდა. თუმცა, თანამდებობრივად ის ვალდებულიც იყო, ეს გაეკეთებინა.

**— კონკრეტულად ეს დადგენილებაც ინაურის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა?**

— ახლა რასაც გიამბობთ, ეს, როგორც ახლა ამბობენ, „ექსკლუზივი“ იქნება, რადგან ჯერ არსად მითქვამს და დამიწერია. **ინაური მოსკოვში გაფრინდა. შეხვდა ანდროპოვს, რომელიც მაშინ უშიშროების ხელმძღვანელი იყო. მოუყვა მას აქაური ამბები. ანდროპოვმა უთხრა — რა ვქნა, მე არაფერი შემიძლია, ბრეჟნევთან მოგიწევთ შეხვედრაო. ინაურმა ჰკითხა — მაძლევთ გარანტიას, რომ ჩემი და ბრეჟნევის შეხვედრა საიდუმლოდ დარჩებაო. ამის გარანტია ვერ მიიღო, მაგრამ ბრეჟნევთან შეხვედრა მაინც შედგა.**

**— ამ პერიოდში მჟავანაძის გაშვება უკვე იგეგმებოდა?**

— ამ პერიოდში მჟავანაძეს უკვე ამზადებდნენ პენსიაზე გასაშვებად.

**— კარგით, დავუბრუნდეთ ინაურისა და ბრეჟნევის შეხვედრას...**

— **ინაურმა** მოახსენა მას აქაური მდგომარეობა. **ბრეჟნევმა** გამოსავალი ჰკითხა. ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი პიროვნება, რომელსაც არსებული სიტუაციის შეცვლა შეუძლია, არის **ედუარდ შევარდნაძე,** მაგრამ ის ძალიან ახალგაზრდაა და სანამ წამოიზრდება, ერთი-ორი წელი მე შემიძლია, ხელმძღვანელობა ჩავიბაროო. მაშინ ცკ-ის მდივანი საორგანიზაციო საკითხებში იყო **კაპიტონოვი.** დაურეკა მას ბრეჟნევმა. უთხრა ყველაფერი, რაც ინაურმა უამბო და ბოლოს დაამატა — ამას თავისთვის ნდომებია ეს ადგილიო.

**— მჟავანაძის ადგილს გულისხმობდა?**

— დიახ. როგორც გითხარით, მან **ბრეჟნევს** ჩემი კანდიდატურა კი შესთავაზა, მაგრამ იქვე მიაყოლა — ის ძალიან ახალგაზრდაა და ვიდრე წამოიზრდება, ხელმძღვანელობას ერთი-ორი წელი მე ჩავიბარებო.

**— ბატონო ედუარდ, როგორც თქვით, ეს შეხვედრა გასაიდუმლოებული იყო. თქვენ საიდან იცით მათი საუბრის ასეთი დეტალები?**

— **ინაური** თვითონ მომიყვა ყველაფერს.

**— როდის, მოსკოვიდან რომ დაბრუნდა?**

— არა, მოგვიანებით. **ინაურის** მოსკოვში ვიზიტიდან მალევე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ეს ცნობილი დადგენილება. სიტუაციის ადგილზე შესასწავლად საქართველოში გამოგზავნეს ორი ახალგაზრდა კაცი, ცკ-ის თანამშრომლები **ნაიდიონოვი** და **ვასილიევი.** ორივეს კარგად ვიცნობდი. ერთხელ სახლშიც კი დავპატიჟე.

**— ცკ-ის მეთვალყურეებთან ასეთი ურთიერთობა რომ გქონდათ, ამაზე მჟავანაძეს, რომელიც, როგორც ამბობთ, გენდობოდათ, რა რეაქცია ჰქონდა?**

— ცოტ-ცოტას ეჭვიანობდა.

**— მაინც რაზე ეჭვიანობდა?**

— იმაზე, რომ საქართველოში უკვე ძალიან პოპულარული ვიყავი. მახსოვს, პირველი სექტემბერია, სწავლა იწყება. მე და მეორე მდივანი **ჩურკინი** სკოლებში დავდივართ. ეს გადასცა ტელევიზიამ. მჟავანაძეს უთქვამს, როცა ეს კადრები უნახავს — ასეთი რამ **როდიონოვსაც** (ჩურკინის წინამორბედი) კი არ გაუკეთებიაო.

**— ეს თქვენზე უთქვამს თუ ჩურკინზე?**

— ორივე გვიგულისხმა.

**— რა იგულისხმა, როცა თქვენი მისამართით თქვა — ასეთი რამ როდიონოვსაც კი არ გაუკეთებიაო? ხომ არ ეჭვობდა, რომ ცკ-ის დადგენილებაში თქვენი ხელი ერია?**

— როგორც გითხარით, ეს სისულელეა. მოსკოვს ინფორმაციის ჩემგან მიწოდება რაში სჭირდებოდა, ისედაც ბევრი რამ იცოდნენ რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციაზეც და პირადად ჩემზეც.

**— ისე, როგორც ჩანს, არც თქვენ აკლებდით მცდელობას, რომ მოსკოვისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატი ყოფილიყავით — მათ მიერ გამოგზავნილ მეთვალყურეებთან ისეთი ურთიერთობა გქონდათ, სახლშიც კი დაპატიჟეთ, მეორე მდივანთან ერთად საზოგადოებრივ ადგილებში დადიოდით...**

— არ გეთანხმებით. ნამდვილად არ მჭირდებოდა ზედმეტი მცდელობები იმისთვის, რომ ვინმეს თვალში გამოვჩენილიყავი. საქართველოში პოპულარული ჯერ კიდევ კომკავშირის მდივნობის, შემდგომ შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდიდან გავხდი. ახალგაზრდა, უკომპრომისო იდეალისტი ვიყავი. გარშემო შემოკრებილი მყავდა ახალგაზრდები, მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომელთაც ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა სურდათ. ისინი ჩემში ლიდერს ხედავდნენ და გვერდში ამომიდგნენ. ჩემთან დადგნენ უფროსი თაობის ცნობილი ადამიანებიც, მათ შორის, **ნიკო მუსხელიშვილი.** ალბათ, დიდწილად სწორედ ასეთი ადამიანების მხარდაჭერამ იქონია გავლენა ჩემს პოპულარობაზე ქართველ საზოგადოებაში. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მჟავანაძის შემდეგ პირველი მდივანი მე გავხდებოდი. უფრო მეტიც, ჩემი მოსვლისთვის მზად იყვნენ.

**— ბატონო ედუარდ, შეიტანეთ თუ არა პირადად წვლილი 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების მიღებაში, რომელმაც მჟავანაძის პოსტი შეიწირა?**

— მჟავანაძეს მაინც პენსიაზე უშვებდნენ და შემცვლელი სჭირდებოდათ.

**— და მაინცდამაინც თქვენ?**

— მერწმუნეთ, მოსკოვში კანდიდატებს ასე იოლად არ ირჩევდნენ. იქ მთელი სისტემა არსებობდა კადრების შესწავლის.

**— განიხილებოდა კი თქვენ გარდა სხვა კანდიდატურა?**

— სხვა კანდიდატი მართლაც არ იყო.

**— თქვენ როდის აგირჩიეს პირველ მდივნად?**

— ივლისში ჯერ პარტიის თბილისის ქალაქკომის პირველ მდივნად ამირჩიეს, შემდგომ, 29 სექტემბერს — რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად. მანამდე, თუ არ ვცდები, ზაფხულში, მჟავანაძე დააჯილდოვეს და პენსიაზე გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება უკვე მიღებული იყო, ვიდრე პენსიაზე არ გაუშვეს, ის თავის მოვალეობას ასრულებდა.

**— თქვენთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი ახლოვდება. 7 მარტს საქართველოში შევარდნაძის მეორედ ჩამოსვლიდან 20 წელი სრულდება.**

— რისთვისაც ჩამოვედი, ყველაფერი გავაკეთე. მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ მერე ეს ბიჭები წამოიზარდნენ — **ჟვანია, სააკაშვილი,** თანამდებობას გემო გაუგეს და შევარდნაძეს შეთქმულება მოუწყვეს!

**— ახლა თქვენი სიტყვები გამახსენდა, ზემოთ რომ მითხარით — ახალგაზრდა, უკომპრომისო იდეალისტი ვიყავი, გარშემო ახალგაზრდები შემოვიკრიბე, რომელთაც უკეთესი ცხოვრება უნდოდათ და რომლებიც ლიდერად მთვლიდნენო. რევოლუციის დღეებში სააკაშვილმა თქვენი თავი ხომ არ გაგახსენათ და თანამდებობა ამიტომ ხომ არ დაუთმეთ?**

— მე სულ სხვანაირი საქართველო წარმომედგინა და არა ისეთი, რომლითაც სააკაშვილი ასე ამაყობს.

*ესაუბრა*
***ნონა ბენდელიანი***

## კვირგვინოსნები



**დავით ახრახაძე**
*ომის ვეტერანი, 7 ნოემბრის დაზარალებული*

7 ნოემბერს **შეგვდგნენ და გვცემეს,** სანამ შეეძლოთ. ზედმეტი არაფერი გვითქვამს, **ორი ინვალიდი ვიდექით და რობოკოპები იყვნენ რკინის ჯოხებით.** მერე ქალი მოვარდა და გადაგვეფარა. უკვე ხმას ვეღარ ვიღებდით, **ისე ვიყავით დალეწილი, რომ მკვდრები ვეგონეთ.** თან ეს გოგო გადაგვეფარა და დაგვანებეს თავი და წავიდნენ. **ეს იყო გავეშებული ბრბო.**

„ახალი თაობა“



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*

დიახ, ჩვენი სისხლით ვიცავდით რუსული ურდოებისგან ევროპას — **გაგვიღეთ კარი უძველეს ევროპელებს.** ევროკავშირის დაჩქარებული განაცხადი არის ძალიან კარგი — **ახლა ბეწვის ხიდზე გავდივართ და ერთმანეთის „ჭამას“ მოვეშვათ.**

„აიპრესი“



**ოთო აბესაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*

ომის დაწყებიდან **8 საათში საქართველოში 27 თეთრით გაუფასურდა ვალუტა.** ვფიქრობ, აქ რაღაც მაქინაციებთან გვაქვს საქმე.

„ახალი თაობა“

# ПОСТАНОВЛЕНИЕ ПО ГОРЬКОМУ

დასაწყისი მე-19 გვერდზე

ტრალურ კომიტეტში მუშაობდა და შევარდნაძეზე თქვა — ამ კაცს ერთი პარტიული საყვედური არ მიუღია, არაფერი დაუშავებია და უმუშევარი რატომ უნდა იყოსო?! საქართველოს ცეკას მაშინდელმა პირველმა პირმა **ვასილ მჟავანაძემ** შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

**— ამ პერიოდიდან იწყებს შევარდნაძე ვასილ მჟავანაძესთან დაპირისპირებას...**

— შევარდნაძე დაუახლოვდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს **ნიკოლოზ შჩოლოკოვს,** დაწინაურდა მისი ხელშეწყობით, ზემოხსენებული დადგენილების გამოქვეყნებამ კი მისი კარიერა მთლად გააბრწყინა. საბოლოოდ შევარდნაძემ ვასილ მჟავანაძე გვერდით გასწია და რეპრესიებისა და შურისძიების ფონზე საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყო.

**— ვინ იყო საქართველოში ედუარდ შევარდნაძის მთავარი დასაყრდენი?**

— შევარდნაძის ხელში თავი მოიყარა დიდძალმა მასალამ საწარმოებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის შესახებ. ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ბრძოლა დაიწყო ყველა მიმართულებით. სახელმწიფო ქონების დატაცების გამოსავლენად შექმნა კომისიები, შეიყვანა წარმოება-დაწესებულებებში, გამოაცხადა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ყველა გადადგმული ნაბიჯის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვში **შჩოლოკოვს.**

რაც შეეხება ვასილ მჟავანაძეს, რომელიც აღმშენებლობით იყო დაკავებული, როცა შევარდნაძის განზრახვების შესახებ უთხრეს, ცეკაში კომისია შექმნა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის შესწავლა დაავალა. კომისიას საიდუმლოდ უნდა ემუშავა, თუმცა, ეს ამბავი გასცა ორგანიზაციულ განყოფილებაში მომუშავე პიროვნებამ **სანდრო კავსაძემ,** რომელიც შემდეგ ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, შემდეგ — საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ახლა ბერად არის აღკვეცილი. დიახ, **სწორედ კავსაძემ შეატყობინა შევარდნაძეს მჟავანაძის ჩანაფიქრის შესახებ, შევარდნაძე კი შჩოლოკოვს დაუკავშირდა, ნეგატიურ მოვლენებს ვებრძვი, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაა, ჩემი მოშორება უნდათო.** აი, ეს ყველაფერი უძღოდა წინ ამ 50 წლის წინათ მიღებულ დადგენილებას, ე.წ. „პოსტანოვლენიე პო გორკომუ ტბილისი", რაც შემდეგ გამოიყენეს შევარდნაძის მოსასვლელად და მჟავანაძის გასასტუმრებლად.

**— შევარდნაძემ მჟავანაძის კადრების გათავისუფლებაც ადვილად განახორციელა?**

— მაშინდელ საქართველოში, ფაქტობრივად, შევარდნაძემ რევოლუცია თოფის გასროლის გარეშე მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია, არავინ დაუზოგავს. 1972 წლის შემოდგომაზე მჟავანაძე მოსკოვში დაიბარეს და უთხრეს, რომ თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. მჟავანაძემ ძველი თაობიდან თავის მემკვიდრედ დაასახელა მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილი,** ხოლო ახალგაზრდებიდან — **როინ მეტრეველი.** ორივე კანდიდატი დაიწუნეს და **შჩოლოკოვის** ზეგავლენით **ლეონიდ ბრეჟნევმა** შევარდნაძეზე გააკეთა არჩევანი. არ დაგავიწყდეთ, თავიდან ის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნეს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა რესპუბლიკის პირველი პირი. როგორც კი ქალაქის თავი გახდა, თბილისელების გული რომ მოეგო, რაიკომის მდივნებს დაავალა, თბილისში რაც შეიძლება მეტი პროდუქტი შემოეტანათ. ამ საკითხის გადაწყვეტაზე ვინც უხეშად უპასუხა — შენი ბრძანება არაფერში მჭირდებაო — ყველა დაიმახსოვრა.

**— როგორ შეხვდა ხალხი 50 წლის წინანდელ დადგენილებას?**

— ხალხმა დასკვნა მაშინ გამოიტანა, როდესაც შევარდნაძემ 1973 წლის სექტემბერში გამოსცა დადგენილება კერძო პირების ხელში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით. ეს იყო ერთგვარი რეპრესიები, დაიწყო მასობრივი დაჭერები, ცხვარიჭამიაში ხალხს სააგარაკე სახლები ჩამოართვეს. ხალხს 37 წელი ახსენდებოდა.

შევარდნაძე სრულიად განსხვავებული იყო მჟავანაძისაგან, რომელიც ბუნებით გულკეთილი კაცი იყო. მარტო ის რად ღირდა, ქართველები რომ სამშობლოდან გადასახლებას გადაგვარჩინა. ხრუშჩოვის გარემოცვიდან გავრცელდა — თურმე, მჟავანაძისათვის უთქვამს, აღარაფერი მითხრა, ქართველების გადასახლება გადაწყვეტილია, ეს ამბავი უკვე პოლიტბიუროში გამოვაცხადეო... ხრუშჩოვის ცოლს **ნინა კუხარჩუკს** გასცინებია — ნიკიტა, რა სულელი კაცი ხარ, გადათქვი, პოლიტბიუროში მიდი და განაცხადე — როცა ქართველების გადასახლებაზე ვლაპარაკობდი, მთვრალი ვიყავიო...

**— შევარდნაძის მოსვლის მერე მექრთამეობა შესუსტდა?**

— გასამმაგდა, სამსახურში მოსაწყობად ადრე თუ 5 ათას მანეთს ითხოვდნენ, შევარდნაძის დროს 15 ათასი უნდა გადაგეხადა. ასე მუშაობდა სისტემა. სწორედ ამ სისტემის ფორმულა გაახმოვანა **იუზა კობახიძემ,** რომელიც შევარდნაძემ ქრთამის აღების გამო დახვრიტა. სწორედ კობახიძემ თქვა — მაღალჩინოსნები ჩემგან ფულს რომ ითხოვდით, ქრთამი რომ არ ამეღო, თქვენთვის ფული საიდან მომეტანაო?! ასეთი იყო სისტემა, რასაც ვერაფერი შეცვლიდა, შევარდნაძემ კი აქ არსებული ხარვეზები კარგად გამოიყენა.

●

ედუარდ შევარდნაძის მიერ რეპრესირებული პირები: **მიხეილ ბაბუნაშვილი** — თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის დირექტორი, დაპატიმრებულ იქნა 15 წლით; **ავთანდილ მელუა** — მეღვინე, „სამტრესტის" მმართველი, მისჯილი ჰქონდა 15 წელი. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს **პეტრე გელბახიანს** მისჯილი ჰქონდა 15 წელი; დაპატიმრებულ იქნენ ჩაის მრეწველობის ცნობილი სპეციალისტი **ოთარ აბესაძე;** აწყურის მეხილეობის მეურნეობის დირექტორი **ნოდარ სარჯველაძე;** დაიხვრიტა თელავის რაიონში საკონსერვო ქარხნის დირექტორი — **გვარად ნემსაძე.**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***



> **„შევარდნაძის უკმაყოფილონი იყვნენ მეწარმეები და საწარმოთა ხელმძღვანელები, მასზე საჩივრები მიდიოდა ცეკაში, ურეკავდნენ და ლანძღავდნენ, სახელმწიფო მოღვაწე კი არა, პარტიული ძაღლი ხარ და მალე ძაღლის „პაგონებს" დაგაკერებთო... შევარდნაძემ ყველა მათგანი დაიმახსოვრა – ვინ რა უთხრა და ვინ დაემუქრა!"**

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი




14 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VII პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეული იყვნენ სამინისტროების, რესპუბლიკური უწყებების, მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოების, მშენებლობების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ხელმძღვანელები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ჩურკინი, რ. ვ. მეტრეველი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ნ. პუგაჩოვი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ს... თველოს კომპარტიის თბილისის ... კომიტეტის პირველი მდივნის ... შვილის მოხსენება „სკკპ X... გადაწყვეტილებათა შესასრ... ქართველოს კომპარტიის თბ... ლაქო კომიტეტის ორგანიზატ... პოლიტიკური მუშაობის შესა... ცენტრალური კომიტეტის დადგ...ლების შესასრულებლად ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები".

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი ს. მ. მიქაძე, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. ვ. ლომიძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პ. გ. გელბახიანი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშა პ. ზ. ტენიშჩევი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ს. ტ. რიგვავა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი მ. ე. ჯაფარიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. გ. აბაშიძე, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტ...ი კომიტეტის მდივანი ე. გ. აფციაუ... ...ესპუბლიკის მშენებლობის მინ... ...გილე, „მთავართბილ... ...ი გ. ა. ზატუაშვილი ... კომპარტიის ცენტ... ...ნ არსებული პარ... ...ისტიტუტის დირექტორ... ... ჟ. ნ. მერკვილაძე და სა... ...ა ალკკ თბილისის საქალაქო კო... ...ის პირველი მდივანი ვ. ი. ალავი...

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომ განხორციელდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

პლენუმის ანგარიში გამოქვეყნდება.

(საქინფორმი).




1966 წელი, ლეონიდე თბილისში

...და მაინც, ბრეჟნევისათვის შევარდნაძე მჟავანაძეზე უფრო ახლობელი აღმოჩნდა!

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფოფხაძე**
*საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი*



პრინციპში ახლა ვზივარ და ვფიქრობ, **რა სანქციები შეგვიძლია გამოვუცხადოთ რუსეთს, ატამი არ შევიტანოთ, გორის ვაშლი თუ მარნეულის მწვანილი, აბა, ბორჯომი ისედაც მაგათია და...** ნუ, ბოლო-ბოლო „თელმიკოს" არ გადავუხადოთ და თუ ჩაგვიჭრიან, „მანტიორი" გავლახოთ...

„ალია"

**ამირან ამირანაშვილი**
*მსახიობი*



ვიღაც უკრაინელი ს...ი (ცენზურა ჩვენია. რედ.) ტელევიზორში იძახის, **საქართველოს არ რცხვენიაო?** და შენ? შე დედა აფეთქებულო, **მთელი საქართველოს მტრები, კრიმინალები და კაცის მწამებელი მკვლელები რომ შემოიკრიბე გარშემო** და იქიდან არევინებ ჩემს ქვეყანაში სიტუაციას, 10 წელია, არ გრცხვენია?

„ალია"

**მაკო ჯაფარიძე**
*ჟურნალისტი*



ახლა ვინმეს სჯერა, რომ 2008-ში თბილისში ჩვენ არ შემოვუშვით? შევაშინეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ? **ახლა უფრო ვრწმუნდები, რომ პუტინსა და სააკაშვილს შორის მაშინ შედგა გარიგება. პუტინმა წაიღო კოდორი და სამაჩაბლო და სააკაშვილი დარჩა ხელმწიფედ განახევრებულ ქვეყანაში.**

„ალია"

**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**ჩვენი და უკრაინის ნატოში გაწევრების გარდა,** სხვა რამ, რაც ომს და პუტინს შეაჩერებდა, უბრალოდ, არ არსებობდა და დღეს ეს დადასტურდა. **კიევი რუსეთს გააჩერებს და ამ ომში პუტინის ხელისუფლება დამთავრდება.**

„კვირის პალიტრა"



# პოლონეთის ლენჩო, პატარა გორი დიდია!

*პუტინი უკრაინაში რომ შევარდა და მთელი ნატო და ევროკავშირი ისე ამოატრიალა, როგორც ბაკულას ღორებმა — ზენაისა და გალაქტიონის მიერ სიმწრით გაშლილი სუფრა, სად იყო და სად არა გამოვიდა პოლონეთის ელჩი მარიუშ მაშკიევიჩი და ქართველებს ჭკუა დაგვარიგა — მესმის, რომ ძალიან რთულ მდგომარეობაში ხართ, არ შეგიძლიათ რუსეთის წინააღმდეგ საუბარი, მაგრამ გთხოვთ, გააკეთეთ ერთი სიმბოლური ჟესტი და სტალინის მუზეუმი გორში დახურეთო!*

**ჰენრიკ სენკევიჩისა** და **ადამ მიცკევიჩის** გამო ბავშვობიდან მიყვარდა და მიყვარს მამაცი და ულამაზესი პოლონელები, რომლებმაც მე-17 საუკუნის დასაწყისში რუსები ისე დაამცირეს და მოაღორეს, რომ მოსკოვის დასაქცევად რვა ცრუდიმიტრი გამოიგონეს...

დიახ, რუსული ისტორიოგრაფია სირცხვილის გამო მხოლოდ ორ ცრუდიმიტრის აღიარებს, მაგრამ სინამდვილეში რვა ცრუდიმიტრი იყო, რომლებმაც რიურიკოვიჩების მიერ შექმნილი კიევის რუსეთი კინაღამ გადაიყოლეს!

მოკლედ, პოლონელი ერისადმი ჩემი დიდი სიმპათიების მიუხედავად, პატივცემული ელჩის, პან მაშკიევიჩის გამოსვლა ორი რამის გამო საშინლად არ მომწონს. პირველ რიგში, ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მიუღებელია ელჩის ტონი და ფრაზა — **მესმის, რომ არ შეგიძლიათ რუსების წინააღმდეგ საუბარიო!** მეორე და ყველაზე მთავარი — **ვინ ეკითხება პოლონეთის ელჩს საქართველოში სტალინის მუზეუმი უნდა დაიხუროს თუ ელისტრაკო კილაძის ნიფხვების გამოფენა გაიხსნას?**

კარგი, გასაგებია, რომ პუტინის მიერ ჰაერში „აწეული“ პრეზიდენტ **ლეხ კაჩინსკის** ძმაკაცის — გარყვნილი სააკაშვილის გამო საქართველოს დღეს, იმპოტენტისა არ იყოს, მართლაც არაფერი შეუძლია, მაგრამ საინტერესოა, პოლონეთს ძალუძს? ან რა შეეძლო პოლონეთს მაშინ, როცა „ევროპელი ონავრების“ მიერ ოთხად გაგლეჯილი უბედური ქვეყნის ბედი ოდენ ულამაზესი გრაფინია **მარია ვალევსკასა** და **ნაპოლეონ ბონაპარტის** ვნებიან ღამეებზე იყო ჩამოკიდებული?

**ცნობისათვის:**

## თვალწარმტაცი გრაფინია ვალევსკა ეშმაკმა პოლონელებმა ფაფარაშლილ იმპერატორს 1807 წლის 1 იანვარს პატარა ქალაქ ბლონიეს სადგურზე შეახვედრეს და სულ მალე საწოლშიც შეუკოტრიალეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ვალევსკა პატრიოტი იყო და სამშობლოს ინტერესებს საფრანგეთის ბრწყინვალე იმპერატორის საძინებელშიც თავგამოდებით იცავდა. სწორედ ის ჩასჩურჩულებდა მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე კუროს გამუდმებით — **„ხომ აღადგენთ პოლონეთის სამეფოს? ხომ აღადგენთ პოლონეთის სამეფოს?“**

მოკლედ, მაშინ, როცა მთელ პოლონეთს არაფერი შეეძლო, პოლონელმა **მარია ვალევსკამ** ნაპოლეონს ისეთი თავბრუ დაახვია, რომ 1807 წელს, მათი შეხვედრიდან ცოტა ხანში, იმპერატორმა **ვარშავის საჰერცოგოც** შექმნა და მის მმართველად სწორედ ის **პრინცი პონიატოვსკი** დანიშნა, რომელმაც მრისხანე და ყოვლისშემძლე ბონაპარტეს ულამაზესი პოლონელი ბანოვანი, ფაქტობრივად, საძინებელში მიჰგვარა!



სტალინის სახლ–მუზეუმი გორში



პაბლო პიკასო

## დავიჯერო, გაბედავს პოლონეთის ელჩი და ფრანგებს ეტყვის – ინვალიდების სასახლე, სადაც ნაპოლეონის ნეშტი განისვენებს, დაკეტეთო?

თუ დამარცხებული ნაპოლეონი, რომელმაც ევროპა სისხლისგან დაწრიტა, ფრანგი ერის ეროვნული სიამაყეა, რატომ ჰგონია პან მარიუშ მაშკიევიჩს, რომ ქართველ კაცს მთელ მსოფლიოზე გამარჯვებული გენერალისიმუსი სტალინის სახელის ხსენება არ ეამაყება?

რუმინელები **გრაფ დრაკულათი** ამაყობენ და ჩვენ რატომ უნდა დავკეტოთ იმ სტალინის სახლ-მუზეუმი, რომელმაც კაცობრიობა ფაშისტური ყვითელი ჭირისგან იხსნა? პოლონელი ერის დიდი შვილი და საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მარშალი **კონსტანტინე როკოსოვსკი** სტალინს განსაკუთრებით უყვარდა. სწორედ როკოსოვსკის ანდო სტალინმა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი სამხედრო ოპერაციის — **„ბაგრატიონის“** დაგეგმვა, რომელსაც 1944 წლის ივნის-აგვისტოში ბელორუსიის, ლიტვისა და პოლონეთის აღმოსავლეთის ფაშიზმისგან გათავისუფლება მოჰყვა.



**პან მარიუშ მაშკიევიჩ, სტალინს ტყუილად ერჩით და კარგად ჩაიხედეთ მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში! განა ინგლისი და საფრანგეთი არ გპირდებოდათ პოლონელებს, თუ შემოიჭრებიან, ფაშისტურ გერმანიას მაშინვე ომს გამოვუცხადებთ და ჰიტლერისგან დაგიცავთო?** 1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი სწორედ ჰიტლერის პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო და, შესაბამისად, ინგლისმაც და საფრანგეთმაც ჰიტლერს ომი გამოუცხადეს, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებულ გერმანიასთან ბრძოლას არც ერთი აპირებდა და არც მეორე... ამ ომს ისტორიკოსებმა **„უცნაური ომი“** უწოდეს!

**პან მაშკიევიჩ,** ევროპაში დღესაც **„უცნაური ომია“** — საცოდავი უკრაინა გაწირეთ, რათა პუტინისთვის ხაფანგი დაგეგოთ და რუსეთისთვის პალო გაგერჭოთ! **ახლა, როცა უკრაინაში ბავშვები იღუპებიან და ქალაქები ნადგურდება, თქვენ გაუთავებელ კონგრესებსა და მინისტერიალებს მართავთ და ელოდებით, როდის ჩამოიმხობა და ჩამოიქცევა ჩრდილოეთის ყინულოვანი იმპერია, რადგან იცით, რომ თავისი სიბრიყვის წყალობით პუტინი უკვე წინა თათებით გაბმულია!** ცხადია, დასაქცევი უნდა დაიქცეს, მაგრამ, თუ მაგრები ხართ, რატომ ვერ უკეტავთ რუსეთს საჰაერო სივრცეს უკრაინაში? რას ელოდებით? **გგონიათ, გორში სტალინის მუზეუმს რომ დაკეტავთ, ამით ვაჟკაცობა მოგემატებათ და რუსეთთან ომს შეძლებთ?**

საქართველომ ყველაზე უკეთ იცის რუსული ჩექმის სიმყრალე და სიმწარე... მაგრამ საქართველომ ისიც იცის, რომ 1807 წლის მაისში აღმოსავლეთ პრუსიაში, ფინკენშტაინის ბრწყინვალე სასახლეში, სადაც ნაპოლეონი თავის პოლონელ საყვარელთან ნეტარებას ეძლეოდა და პოლონეთის სამეფოს აღსადგენად ძალ-ღონეს არ იშურებდა, მეორე ოთახში წყეული აღა-მაჰმად-ხანის ძმისშვილისა და ირანის მმართველის ფათალი-შაჰის ელჩებს ემუსაიფებოდა და აღმოსავლეთ საქართველოს ისევ ირანელებს უთმობდა საჯიჯგნად, ოღონდაც ერთი პირობით — ირანს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი უნდა გაეხსნა!

**კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი საოცრება პიკასო ამბობს** — „იყო სტალინი, ჩემი წარმოდგენით, ძალიან ბევრს ნიშნავს მსოფლიოში. ის გენიალური ადამიანი გახლდათ... მასში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველების დამაჯერებლობა და აზრთა გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა. მასში არიან ისინი!“

**პან მაშკიევიჩ, სტალინში ქართველებს სწორედ ის მოგვწონს, რაც მასში პიკასომ დაინახა და დააფასა... ამიტომაც გვეამაყება სტალინი, როგორც ქართველი და ქართველი დედისა და მამის ნაშობი, რომელიც პოლიტიკოსი და მხედართმთავარი რომ არ ყოფილიყო, ბრწყინვალე ქართველი პოეტი უსათუოდ იქნებოდა...**

**პან მაშკიევიჩ, სტალინში ქართველებს სწორედ ის მოგვწონს, რაც მასში პიკასომ დაინახა და დააფასა!**



ნაპოლეონის საფლავი ინვალიდების სასახლეში. პარიზი.



**თუ დამარცხებული ნაპოლეონი, რომელმაც ევროპა სისხლისგან დაწრიტა, ფრანგი ერის ეროვნული სიამაყეა, რატომ ჰგონია პან მარიუშ მაშკიევიჩს, რომ ქართველ კაცს მთელ მსოფლიოზე გამარჯვებული გენერალისიმუსი სტალინის სახელის ხსენება არ ეამაყება?**

## პან მაშკიევიჩ, გამოზარდეთ პოლონელებმა სტალინის მასშტაბის კაცი და ჩვენ, ქართველები, თავს არ მოვიჭრით და თქვენთან საუბარში მუზეუმის შესახებ კრინტს არასოდეს დავძრავთ!

*დიტო ჩუბინიძე*

*თემის გაგრძელება 23-ე გვერდზე*

*ბოლო დროს უკრაინაში დატრიალებული მოვლენების ფონზე პროფესორი* ***სვიმონ მასხარაშვილი*** *სტალინისა და პუტინის პოლიტიკის შეპირისპირებას ახდენს და აცხადებს, რომ დღევანდელი რუსეთი არსით ძალიან ჰგავს „ნეპის“ დროინდელს, როცა ქვეყანას ლენინისა და ტროცკის ხროვა მართავდა:*






# სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინმა, პუტინის მსგავსად, მეგობრები მტრებად კი არ აქცია, არამედ მტრებთან და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან მეგობრობა დაიწყო!

— უკრაინაში გაჩაღებული ომის კამპანია ადასტურებს, რომ რუსეთმა მსოფლიო მასშტაბით დაიმსახურა ისეთივე სიძულვილი, როგორიც ლენინის, ტროცკისა და მათი ხროვის ერთპიროვნული მმართველობის დროს. მაშინ რუსეთისადმი დანარჩენი ხალხების სიძულვილის საფუძველს წარმოადგენდა ლენინისა და ტროცკის აკვიატებული იდეა, თითქოს „რევოლუციის იმპორტი“ რუმინელების, გერმანელების, ბულგარელებისა და მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის იყო ცხოვრების მიზანი და სანუკვარი ოცნება. აი, ასე შექმნა, მაგალითად, ტროცკიმ 1919 წლის აპრილ-მაისში **„ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა“,** სადაც ძალაუფლება კომუნისტებმა აიღეს ხელში. 1920 წელს იმავე ძალებს ჰქონდათ მცდელობა, შეექმნათ **საქსონიის, ანუ დრეზდენის რესპუბლიკა.** ტროცკი და მისი ბანდა უნგრეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზეც ცდილობდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას. **ეს დაახლოებით ისეთივე მავნებლური ჩანაფიქრი გახლდათ, როგორც ე.წ. „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული რესპუბლიკების დაფუძნება დღევანდელი საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიებზე.** მთელი ამ მარაზმის რეალური მიზანი ის იყო, რომ ლენინი და ტროცკი რევოლუციის იმპორტს სინამდვილეში წითელი არმიის ექსპანსიის განსაახლებლად და გასაძლიერებლად იყენებდნენ. ტროცკის „წითელი ბონაპარტიც“ კი შეარქვეს...

**— ბატონო სვიმონ, რა დაუპირისპირა ლენინისა და ტროცკის „რევოლუციის ექსპორტს“ სტალინმა?**

— როგორც კი პოლიტბიუროში პოზიციები განიმტკიცა, სტალინმა მაშინვე განაცხადა, რომ „რევოლუციის ექსპორტი“ იყო აბსურდი და რუსეთს, პირველ რიგში, პოლიტიკურ სტაბილიზაციასა და ეკონომიკის განვითარებაზე უნდა ეზრუნა. 1927 წელს სტალინმა მოახერხა „ცხელი თავების“ განეიტრალება და 1930 წელს კავშირი დაამყარა ირანში მოღვაწე ცნობილ ფინანსისტთან და ნავთობმაგნატთან **გალუსტ გიულბეკიანთან,** რომელსაც „ნავთობის ტალეირანსა“ და „მისტერ 5 პროცენტს“ ეძახდნენ... მას უამრავ ნავთობკომპანიაში ჰქონდა წილი და მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახლდათ. ბელადმა გიულბეკიანთან ბრწყინვალე ურთიერთობა დაამყარა და ბაქოს ნავთობისთვის ევროპული ბაზარი გაახსნევინა. სწორედ ამ ფულით დაიწყო სტალინმა მანქანა-დანადგარების შეძენა, რასაც შედეგად მოჰყვა ინდუსტრიალიზაციის პროცესი.

1927 წელს საბჭოთა კავშირში მოქმედებდა ე.წ. ნეპი. **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ლენინური „ნეპის“ დროინდელი რუსეთი ძალიან წააგავს პუტინის რუსეთს. მართლაც, რუსეთიდან „ნეპის“ ხანაში საზღვარგარეთ გადიოდა მხოლოდ და მხოლოდ ნედლეული და რაც მთავარია, ეს ნედლეული გაჰქონდა არა საბჭოთა სახელმწიფოს, არამედ კერძო, უცხოურ კომპანიებს.** რუსეთში, ფაქტობრივად, არაფერი იქმნებოდა, ქვეყანა არაფერს აწარმოებდა და ეს ეხებოდა განსაკუთრებით მძიმე მრეწველობას, რომელიც, შეიძლება ითქვას, არც არსებობდა. სამაგიეროდ, უცხოეთიდან შემოჰქონდათ აბსოლუტურად ყველაფერი — ავტომანქანები, ტრაქტორები, საკერავი მანქანები, ფუფუნების საგნები და ა.შ. მართალია, სავსე იყო რესტორნები, გასართობი სახლები და დაწესებულებები, მაგრამ ქვეყანა დარჩენილი გახლდათ მძიმე მრეწველობის გარეშე.

აი, სწორედ ასეთი სიტუაციაა დღეს რუსეთში — ქვეყანა არაფერს აწარმოებს და როგორც ირკვევა, ამხელა დერჟავა სამოქალაქო თვითმფრინავების გარეშე არის დარჩენილი. 1927 წელს, როცა სტალინმა „ნეპი“ აღკვეთა და უცხოურ კომპანიებს ქვეყნიდან წასვლა მოუწიათ, ბელადი სწორედ ამის შემდეგ დაუკავშირდა **გალუსტ გიულბეკიანს** და ბაქოს ნავთობი სახელმწიფოს სახელით საზღვარგარეთ გაიტანა. მოკლედ, 1927 წელს სტალინმა დაასრულა „ნეპი“ და გააკეთა ისტორიული განცხადება — უახლოეს ათ წელიწადში თუ ჩვენ არ გვექნება საკუთარი მძიმე ინდუსტრია, რომლის შექმნასაც სინამდვილეში ოცი-ოცდაათი წელი სჭირდება, მაშინ ჩვენ კონკურენციას ვერ გავუძლებთ, რადგან ათი წლის შემდეგ მსოფლიო უმძიმესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებაო!

**— სტალინმა 1927 წელს უკვე იცოდა, რომ კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის ზღურბლს უახლოვდებოდა?**

— დიახ, სტალინმა ეს იცოდა და 1929 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყების ზუსტი თარიღიც კი დაასახელა, როცა თქვა — ათ წელიწადში მეორე მსოფლიო ომის დაწყება გარდაუვალიაო. ამის წინაპირობაა **ვერსალის საზავო ხელშეკრულება** და ის რევანშისტული განწყობები მზარდია გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ამიტომ ათი წლის შემდეგ ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს თვითკმარი ეკონომიკა და გამართული მძიმე მრეწველობა... ყველა სხვა შემთხვევაში გავნადგურდებით! აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ სტალინმა 1929 წლიდან, და განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან, დაიწყო ტოტალური ინდუსტრიალიზაცია. უმოკლეს ვადებში საბჭოთა კავშირმა შეძლო თავისი მანქანების, ტრაქტორების, იარაღის, თვითმფრინავებისა და ტანკების წარმოება. რომ არა სტალინური ინდუსტრიალიზაცია, ჰიტლერთან ომში საბჭოთა კავშირი განწირული იყო. გარდა ამისა, **სტალინმა, პუტინის მსგავსად, მეგობრები მტრებად კი არ აქცია, არამედ მტრებთან და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან მეგობრობა დაიწყო!**

**— დააკონკრეტეთ!**

— მაგალითად, 1933 წელს მოვიდა თუ არა ამერიკის ხელისუფლებაში **ფრანკლინ რუზველტი,** სტალინმა მასთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა, რაც დროთა განმავლობაში პიროვნულ ურთიერთპატივისცემაში გადაიზარდა. რუზველტმა სტალინს თავისი უსაყვარლესი ავტომობილი „პაკარდი“ აჩუქა, რომელიც დაჯავშნილი იყო. სტალინისადმი გამოგზავნილი ჯავშნოსანი „პაკარდი“ თეთრი გახლდათ... პრეზიდენტმა რუზველტმა ჩათვალა, რომ თეთრი ფერის „პაკარდი“ სტალინს უფრო შეეფერებოდა, მაგრამ სტალინმა თეთრი ფერი არ მოიწონა და „პაკარდი“ შავად გადაალებინა. სტალინს ეს მანქანა ისე უყვარდა, რომ სწორედ ამერიკული „პაკარდი“ გახდა სტალინური „ზის“-ის შექმნის მთავარი მოტივატორი.

მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვითარება ძალიან დაიძაბა, სტალინი რუზველტის მიერ ნაჩუქარ „პაკარდს“ არ იშორებდა და ყოველთვის პატივისცემითა და დიდი სიყვარულით იხსენებდა, რომ ეს მანქანა მისმა მეგობარმა, პრეზიდენტმა **ფრანკლინ რუზველტმა** აჩუქა. სტალინი სნობი არ ყოფილა და არასდროს რცხვენოდა, ესარგებლა ამერიკული „პაკარდით“ და გამოეყენებინა ამერიკული ჩიბუხი!

**— ბელადი ამერიკულ ჩიბუხს ხმარობდა?**

— რა თქმა უნდა! როცა პრეზიდენტმა რუზველტმა 1941 წლის მარტში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 18 თვის შემდეგ, ხელი მოაწერა კანონს „ლენდ ლიზის“ შესახებ, საბჭოთა კავშირში ამ დახმარებას თან მოჰყვებოდა პირადად პრეზიდენტ რუზველტის მიერ სტალინისათვის გამოგზავნილი ჩიბუხების საუკეთესო კოლექციაა. რაც შეეხება თამბაქოს, მისი უსაყვარლესი თამბაქო გახლდათ „ჰერცეგოვინა ფლორი.“ სხვათაშორის, 1942 წელს ჩერჩილმა სტალინს რუზველტისთვის გაგზავნილი კონიაკი დაულია და შემოუთვალა — თითო ბოთლი კიდევ გამოგვიგზავნეო!

**— რომელი კონიაკი გაუგზავნა?**

— ცხადია, დავით სარაჯიშვილის კონიაკი გაუგზავნა, რომელსაც დღეს რატომღაც „სომხურ კონიაკს“ უწოდებენ! არადა, ეს გახლავთ დიდი ქართველი მეწარმის, მილიონერისა და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის მიერ სომხეთში დაარსებული კონიაკის ქარხნების მიერ ჩამოსხმული და დამზადებული პროდუქცია. ამ ყველაფრით იმის თქმა მსურს, რომ სტალინი ყველაზე ექსტრემალურ ვითარებაშიც კი, როცა საქმე ლამის ომამდე იყო მისული, ჩერჩილთან და რუზველტთან კონტაქტს არ კარგავდა. რუზველტის „ახალი კურსის“ ერთ-ერთი თანაავტორი და ამერიკის ვაჭრობის მინისტრი **ჰენრი ჰოპკინსი** იმდენად ახლოს და ზუ-

## „რუზველტმა სტალინს თავისი უსაყვარლესი ავტომობილი „პაკარდი“ აჩუქა, რომელიც დაჯავშნილი იყო!“



## „სტალინმა 1929 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყების ზუსტი თარიღი დაასახელა!“



სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი

# „სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩერჩილმა პოლიტიკისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა!“

რად იყო სტალინთან, რომ მერე ხმები გავრცელდა — ჰოპკინსი სტალინის აგენტი ხომ არ იყოო?! აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, როცა ბირთვული იარაღის შესახებ ჯერ ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ამერიკული ატომური ბომბის მამა **რობერტ ოპენჰაიმერი** 1940 წელს ბერიას სახლში ცხოვრობდა, რის შესახებაც თავის მოგონებებში უტყუარ ინფორმაციას გვაწვდის ლავრენტი ბერიას ვაჟი **სერგო ბერია.**

**— რამდენადაც ცნობილია, სტალინმა საბჭოთა კავშირის პოპულარიზაციის მიზნით ამერიკაში ლევ მეხლისი მიავლინა, რომლის კისერზეც ქერჩსა და სევასტოპოლში დაღუპული ქართველი ბიჭების სიცოცხლეა.**

— ამავე მიზანს ემსახურებოდა ამერიკაში **ვლადიმერ მაიაკოვსკის** ჩასვლაც და ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტებისა და მოღვაწეების საბჭოთა კავშირში ჩამოყვანა. სწორედ სტალინის დროს გახდა საბჭოთა კავშირში პოპულარული ამერიკული ვესტერნები და ჩარლი ჩაპლინის ფილმები, რომელთა ჩვენებასაც ბელადი არ ზღუდავდა... ამით იმის თქმა მინდა, რომ **დღევანდელი რუსეთის პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით სტალინს განსხვავებულ ცივილიზაციებთან და კულტურებთან ურთიერთობის არ ეშინოდა.** აი, მაგალითად, ავიღოთ საახალწლო ნაძვის ხე, რომელიც წმინდა წყლის ამერიკული კულტურაა... სტალინმა უპრობლემოდ მიიღო ეს კულტურა და 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში დანერგა.

სტალინმა თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ისეთი ურთიერთობა დაამყარა ჰიტლერთან, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს **მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე** ხელმოწერით თავად ორჯერ მეტი ტერიტორია წაიღო, ვიდრე ჰიტლერმა, მაგრამ მთელმა მსოფლიომ ომი ჰიტლერს გამოუცხადა და არა — სტალინს!

**— როგორ შეძლო სტალინმა ჩერჩილის მოხიბვლა?**

— ეს მართლაც მისტიკაა იმდენად, რამდენადაც ჩერჩილი, რომელიც 1940 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, ყველაზე დიდ საფრთხეს სტალინში ხედავდა და არა — ჰიტლერში. ჩვენ ვიცით მისი ცნობილი განცხადება თემთა პალატაში — ჩვენი მთავარი მტერი ჰიტლერი კი არა, სტალინია... მთავარია, სტალინს მოვერიოთ, თორემ ჰიტლერი ჯოჯოხეთშიც რომ დამემალოს, მოვალ თქვენთან თემთა პალატაში, გთხოვთ მივლინებას, ჩავალ ჯოჯოხეთში, სადაც ჰიტლერს ამოვშანთავ და დავბრუნდებიო! აი, ასეთი დაპირისპირება იყო სტალინსა და ჩერჩილს შორის.

**მიუხედავად იმისა, რომ ფინეთთან 1939 წლის ომის გამო საბჭოთა კავშირი „ერთა ლიგიდან“ გარიცხული იყო, სტალინმა იმდენი მოახერხა, რომ რუზველტმაც და ჩერჩილმაც 1940 წელს მთავარ პარტნიორად აღიარეს!** ეს პარტნიორობა საბოლოოდ დამტკიცდა და განმტკიცდა 1942 წლის აგვისტოში, როცა სტალინგრადის ჯოჯოხეთის დროს კრემლში ჩერჩილი ჩამოვიდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაშინ მოსკოვში რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩა და ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დანარჩენი სიცოცხლის მანძილზე ოდესღაც სტალინის დაუძინებელ მტერს ყოველ თავის გამოსვლაში ბელადი მხოლოდ ამ სიტყვებით ეხსენებინა — **„ჩემი საბრძოლო მეგობარი, მარშალი სტალინი“.**

თვით 1946 წლის 5 მარტს ამერიკაში, ქალაქ ფულტონში, გამოსვლის დროსაც კი, როცა საფუძველი ჩაეყარა „ცივ ომს“, ჩერჩილმა სტალინი სწორედ ასე მოიხსენია — **„ჩემი საბრძოლო მეგობარი, მარშალი სტალინი!“** ანუ ჩერჩილი არ მალავდა, რომ სტალინი მისი მტერი იყო, მაგრამ ამავე დროს გახლდათ მისი საბრძოლო მეგობარიც! სტალინს ყველაზე დაუძინებელ მტერთანაც კი შეეძლო ურთიერთობის დამყარება და მისი დიადი გამარჯვების თანაზიარად ქცევა. უფრო მეტიც, როცა სტალინი გარდაიცვალა, ჩერჩილი ერთ-ერთი პირველი მივიდა საბჭოთა კავშირის საელჩოში და ქვეყანას სამძიმარი გამოუცხადა, ხოლო ორი წლის შემდეგ ოფიციალურად წავიდა პოლიტიკიდან, რადგან სტალინის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა!



გალუსტ გიულბენკიანი

**— მოახერხებდა თუ არა სტალინი დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ჰიტლერის დამარცხებას?**

— დავიწყოთ იმით, რომ პირადად სტალინისა და ბერიას გარეშე მსოფლიო ჰიტლერს ომს ვერ მოუგებდა, მაგრამ დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე საბჭოთა კავშირიც ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდებოდა. რომ არა ის დახმარება, რომელიც ამერიკიდან „ლენდ ლიზის“ სახით მოდიოდა, შესაძლოა, საბჭოთა კავშირი 1942 წელს იძულებული გამხდარიყო, ჰიტლერს დაზავებოდა. არადა, „ლენდ ლიზით“ შემოსული დახმარება იყო რუზველტთან სტალინის პერსონალური ურთიერთობის შედეგი. ისიც ფაქტია, რომ დიდ ბრიტანეთს ჰქონდა თავისი სტრატეგიული მიზანი — დესანტის გადმოსხმა და მეორე ფრონტის გახსნა თუნდაც უფრო ადრე, მაგრამ არა ნორმანდიაში, არამედ საბერძნეთში. მართლაც, მეორე ფრონტის გახსნა საბერძნეთსა და ბალკანეთში, სადაც 1941 წლიდან ტიტოს მეთაურობით მთელი იუგოსლავია აჯანყებული იყო და ჰიტლერს სისხლს უშრობდნენ, ბევრად მარტივი გახლდათ, ვიდრე აბსოლუტურად დამშვიდებულ და დაწყნარებულ საფრანგეთში, სადაც 1944 წლამდე არავითარი წინააღმდეგობის მოძრაობა არ ყოფილა და ჰიტლერი ყველაფერს აკონტროლებდა... მაგრამ, თუ მეორე ფრონტი საბერძნეთიდან გაიხსნებოდა, მაშინ პოლონეთი, ბულგარეთი და რუმინეთი უსათუოდ აღმოჩნდებოდნენ ამერიკული გავლენის ზონაში. შესაბამისად, არსებობდა დიდი შანსი, რომ საბჭოთა კავშირი დეოკუპაციას რომ დაასრულებდა, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ამერიკული არმია აღმოჩენილიყო. აი, ასეთ შემთხვევაში გერმანიის გადანაწილებისა და აღმოსავლეთ ევროპის ბედზე სულ სხვა ლაპარაკი წავიდოდა. ყველა ხვდებოდა, რომ ეს დასავლეთისთვის მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ სტალინი დაზარალდებოდა. **სწორედ სტალინის პერსონალურმა ურთიერთობამ რუზველტთან გადაწყვიტა ის ამბავი, რომ, ჩერჩილის საშინელი წინააღმდეგობის მიუხედავად, მეორე ფრონტი 1944 წლის 6 ივნისს გაიხსნა არა საბერძნეთსა და ბალკანეთში, არამედ — ნორმანდიაში!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

# ელჩობა და ლენჩობა სულ სხვადასხვა რამ არის!



პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი

## პოლონეთის ელჩო, სტალინი რომ არა, არც პოლონეთი იარსებებდა და არც — პოლონელი ერი!

თემის დასაწყისი 21-ე გვერდზე

***აი, ამასაც მოვესწარით: აგერ უკვე საქართველოში პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩიც კი გვასწავლის, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ ევროპული ინტეგრაციის გზაზე და როგორ მოვიქცეთ რუსეთთან დასაპირისპირებლად!***

საქმე ის არის, რომ პოლონეთის ელჩმა საქართველოში **მარიუშ მაშკიევიჩმა** 4 მარტს თბილისში, „რონდელის ფონდის“ ორგანიზებულ დისკუსიაზე, სახელწოდებით **„რუსეთის შეჭრა უკრაინაში“** თავისი გამოსვლის ბოლოს სიტყვასიტყვით განაცხადა: ***„მესმის, რომ თქვენ ძალიან რთულ სიტუაციაში ხართ — ხართ პატარა ქვეყანა უზარმაზარი მეზობლით, რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ხართ და არ შეგიძლიათ, ხმამაღლა გამოხვიდეთ რუსეთის წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროთ სანქციებს. კეთილი, მაგრამ გთხოვთ, ერთი სიმბოლური ჟესტი მაინც გააკეთეთ: დახურეთ სტალინის მუზეუმი გორში!“***

**პან მაშკიევიჩ!** თუ ისტორიის გარჩევაზე მიდგა საქმე, თქვენს პოლონეთს მთლად სახარბიელოდაც არ უნდა ჰქონდეს საქმე! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **პოლონეთი სულაც არ იყო ანტიჰიტლერული ქვეყანა!** პირიქით — 1934 წლის 26 იანვარს სწორედ **პოლონეთი იყო პირველი ევროპულ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც ხელი მოაწერა ჰიტლერთან ე.წ. თავდაუსხმელობის პაქტს!**

შეგახსენოთ, რა მიზნით?! პოლონეთი გერმანიასთან ერთად ემზადებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიისთვის! **სწორედ ამიტომ აშენდა პოლონეთის ყველა სამხედრო სიმაგრე საბჭოთა კავშირთან საზღვარზე და არა — გერმანიის საზღვარზე!** და ეს ძალიან დაეხმარა გერმანელებს პოლონეთის არმიის დამარცხებაში 1939 წლის შემოდგომაზე, როდესაც თავდაუსხმელობის პაქტი სანაგვეში მოისროლეს და რამდენიმე კვირაში, პრაქტიკულად, უბრძოლველად დაიპყრეს პოლონეთი!

გარდა ამისა, მიუნხენის შეთანხმების შემდეგ პოლონეთმა ისარგებლა ჩეხეთის გეოპოლიტიკურ დახლზე გამოტანით და მესამე რაიხის მსგავსად მიიტაცა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი! **ჰიტლერმა სუდეტის ოლქი გადაყლაპა, პოლონეთმა — ტეშინის რეგიონი!** რა ვქნათ ახლა, მოგთხოვოთ ჰიტლერთან გარიგებული თქვენი **პილსუდსკის** მტაცებლური პოლიტიკის დაგმობა და მისი სახლ-მუზეუმების გაუქმება?!

**აქვე, შეიძლება, კიდევ უფრო შორსაც წავიდეთ ისტორიაში და ისიც გავიხსენოთ, 1918 წელს ომით როგორ წაართვა პოლონეთმა მეფის რუსეთის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობაგამოცხადებულ უკრაინას მთელი გალიციის რაიონი!**

**პოლონეთის ელჩო პან მაშკიევიჩ!** სტალინი შეიძლება, ნამდვილად არ არის პოლიტიკოსის იდეალი — მითუმეტეს, 21-ე საუკუნეში, მაგრამ: ჯერ ერთი, **ვის რა სახლ-მუზეუმი ექნება თავის ქვეყანაში, ეგ თქვენი საქმე არ არის და ასეთი როყიო განცხადებების ფრქვევა რომ არანაირად არ ჯდება დიპლომატიის ანბანაში, ეს, წესით, კი უნდა იცოდეთ!** და მეორე, მოგვწონს თუ არა, **სტალინი რომ არა, დღესავით ნათელია, რომ არც პოლონეთი იარსებებდა და არც — პოლონელი ერი!**

ასე რომ, სჯობს, ყველამ თავის ისტორიას მიხედოს და ენას — კბილი, ტვინს კი წყალი დააჭიროს!

***გიორგი გიგაური***

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

სააკაშვილი უკრაინული ეპოპეის მიმოხილვის შემდეგ თავის მემუარებს ოჯახური ამბების გახსენებით აგრძელებს — წიგნის ამ ნაწილს პირდაპირ ასე ჰქვია: **„ჩემი ოჯახი, პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში“.**

ვგონებ, დიდი ფსიქოლოგობა არ სჭირდება იმის გააზრებას და დასკვნას, თუ რამხელა ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს ავტორს განცდილი **მშობლების გაყრისა და არასრულფასოვან ოჯახურ გარემოში აღზრდის გამო.** აი, როგორ იწყებს ამ ამბის მოყოლას:

***„დავიბადე სამოცდაშვიდში, 21 დეკემბერს. როდესაც ორი წლის ვიყავი, ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. მე და დედა დიდ ბაბუასთან და დიდ ბებიასთან გადავედით. მათ ოთხოთახიანი ბინა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ოთხის გარდა, იქ კიდევ ბებიაჩემი და ბაბუაჩემი ცხოვრობდნენ. ბავშვობის უმეტესი ნაწილი „ლეჟანკაზე“ მეძინა. თორმეტი წლის ასაკამდე, სანამ დედა მეორედ გათხოვდებოდა, ისიც ჩემ გვერდით „ლეჟანკაზე“ იწვა. მას შემდეგ, რაც დედა ქმართან გადავიდა, ოთახში მარტო დავრჩი, დივანიც კი მიყიდეს...“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 35).*

ალბათ, დამწყები ფსიქოლოგიც კი მიხვდება, როგორ მწარედ იხსენებს სააკაშვილი „ლეჟანკაზე“ გატარებულ წლებს! მეტიც, როდესაც ის ხაზგასმით აღნიშნავს, თორმეტი წლისა ვიყავი, როდესაც დედაჩემი მეორედ გათხოვდა, საცხოვრებლად ქმართან გადავიდა და მე მარტო დავრჩი ჩემს ოთახშიო — ესეც იმ ტკივილის გამოძახილია, როდესაც გარდატეხის ასაკში მყოფი 12 წლის ბიჭი უდედოდ მარტო რჩება!

სააკაშვილი, როდესაც ამ „ლეჟანკაზე“ ასე ხაზგასმით ლაპარაკობს თავის მემუარებში, ამით, რა თქმა უნდა, „კეთილშობილურ სიღარიბეში აღზრდილი“ პოლიტიკოსის იმიჯის მორგებას ცდილობს, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც ვერ მალავს და მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარებს მთავარს — მარტო, უდედოდ დარჩენას!

და დიდწილად სწორედ **სააკაშვილის ბავშვობის დროინდელი ფსიქოლოგიური ტრავმითაც** აიხსნება ის დაუნდობლობა, სისასტიკე და, საერთოდ, სოციოპათობა და კაცთმოძულეობა, რაც მთელმა ქართველმა ხალხმა იწვნია საკუთარ თავზე, როდესაც ამ ბიჭმა ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელი და შეუზღუდავი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში!

როგორც სააკაშვილისნაირი ფანტაზიორები იქცევიან ხოლმე, მასაც თავის მემუარებში საინტერესო და სახალისო ზღაპრები აქვს მოყოლილი! მაგალითად, როგორ გადაარჩინა მისმა ბებიამ (არც მეტი, არც ნაკლები, 7 წლის ასაკში) სტალინი დაპატიმრებას:

***„ჩემი ბებიის ბაბუას ჭიათურაში, დასავლეთ საქართველოში, დიდი სახლი ჰქონდა. იქ ძალიან ლამაზი ხეობაა. სტალინი დროდადრო იქ ემალებოდა და ცარისტულ მთავრობას. ერთხელ ჟანდარმებმა ალყაში მოაქციეს სახლი. ჩემმა დიდმა ბებიამ, რომელიც მაშინ 7 წლისა იყო, ხელი მოჰკიდა მომავალ ბელადს და საიდუმლო ბილიკებით მთაში გაიყვანა. დიდი ბებია მიყვებოდა, რომ სტალინს ოფლიანი ხელი ჰქონდა და შიშისგან უკანკალებდა“*** *(იქვე, გვ. 35).*

ანუ სააკაშვილი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ სტალინი 7 წლის გოგონამ გადაარჩინა და თანაც ეს გოგონა ასე ხელჩაკიდებული ატარებდა გამობრძმედილ იატაკქვეშელ „აკანკალებულ“ სტალინს ჭიათურის მთებში!

თან იმაზე აღარაფერს წერს, რა პასუხი მოსთხოვა მისი დიდი ბაბუის ოჯახს ჟანდარმერიამ, რომელმაც სტალინის დასაპატიმრებლად, მემუარისტის მტკიცებით, მათ სახლს ალყაც კი შემოარტყა!

არადა, **ძალიან რბილად რომ ითქვას, ცოტა უხერხულია აკანკალებულ სტალინზე სააკაშვილის ბებიის ზღაპრების კითხვა მაშინ, როდესაც მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა „მამაცი მიშა“ ცალკე საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვისას და კიდევ გორში მიწაზე ფორთხვისას...**

## 3 სააკაშვილის ზღაპარი იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა 7 წლის ასაკში მისმა ბებიამ იოსებ სტალინი!



სტალინის ძეგლის დემონტაჟი გორში სააკაშვილის რეჟიმის მიერ

მემუარისტმა სტალინი ხომ 7 წლის ბებიამისის გადარჩენილ მშიშარად გამოაჭენა, იქვე საბჭოთა ბელადის განქიქების დაუოკებელ ჟინსაც ავლენს და ასეთ ფსიქოლოგიურ პორტრეტს თხზავს:

***„სტალინს ძალიან არ უნდოდა, ქართველად ეღიარებინათ. ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ რუსი იყო, თუმცა, მძიმე აქცენტით საუბრობდა. მიაჩნდა, რომ სამშობლოში არ დააფასეს. საქართველოში თავს მუდამ წარუმატებელ ადამიანად თვლიდა“*** *(იქვე, გვ. 37).*

სააკაშვილი იხსენებს ვიღაც გორელის (რომლის სახელსა და გვარს არ ასახელებს) მონათხრობს, როდესაც თითქოს ის, დედის მიერ სადგურზე საყიდლებისთვის გაგზავნილი პატარა ბიჭი, შემთხვევით შეესწრო სტალინის მატარებლის ჩავლას გორში და აქაოდა, ბელადი მატარებლიდანაც კი არ ჩამოვიდა მშობლიური ქალაქის სანახავადო! ჰოდა, ამ „თვითმხილველის“ მონათხრობის საფუძველზე, სააკაშვილი ასკვნის — აი, ყოველივე ეს მკაფიოდ გამოხატავს სტალინის დამოკიდებულებას საქართველოსადმიო!

ამას მოსდევს სააკაშვილის „საკონტროლო გასროლასავით“ შეუბრალებელი დასკვნა სტალინზე:

***„საქართველოს სტალინისგან კარგი არაფერი მიუღია. მან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი აზერბაიჯანს გადასცა. საქართველოს შიგნით ხელოვნურად ორი ავტონომია შექმნა.*** *სამხრეთ ოსეთის ავტონომია საერთოდ „თითიდან გამოწოვილი“ იყო...* ***ასევე ხელოვნურად შექმნა აფხაზეთის ავტონომია და რუკა ისე მიჭრა-მოჭრა, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტის კერები აემუშავებინათ“*** *(იქვე, გვ. 38).*

და ამას ამბობს არსება, რომელმაც თავისი პრეზიდენტობისას ცალკე აზერბაიჯანს დავითგარეჯი მიჰყიდა, შემდეგ კი, ჯერ ზვიად გამსახურდიას მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღადგინა, ახალგორის რაიონიც მიუერთა და ასე უფეშქაშა რუსეთს კოდორის ხეობის „ზემო აფხაზეთად“ გამოცხადებული მიწებით გამდიდრებულ აფხაზეთთან ერთად!

სააკაშვილი აშკარად ვერ ეშვება სტალინს, გეგონება, მასთან ბრძოლის აღწერით სურს, თავი ისტორიულ პირად წარმოაჩინოსო:

***„გორში სტალინის ძეგლი ავაღებინე. ეს აბსოლუტურად ტაბუირებულ თემად ითვლებოდა, თუმცა, ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოვაშორეთ იქიდან, რაშიც განსაკუთრებულია ნიკა რურუას დამსახურება“*** *(იქვე, გვ. 39).*

მემუარისტი, რა თქმა უნდა, შეგნებულად არ იხსენებს, რომ ეს „ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოვაშორეთ იქიდან“, გორში ღამით ჩუმად, ტურებივით მიპარვა და სტალინის ძეგლის მოპარვა იყო! აბა, ხალხის შიშით ეს დღისით-მზისით გაეკეთებინა და მერე ნახავდა „ყოველგვარი პრობლემების გარეშე“ მოშორებას!

სააკაშვილი, რა თქმა უნდა, არც იმას იხსენებს, როგორ სთავაზობდა დიდ ფულს მისი ხელისბიჭი **გივი თარგამაძე** 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოჭრილი რუსეთის საოკუპაციო ჯარის **გენერალ ბორისოვს,** გორში სტალინის ძეგლი დაბომბეთო!

და ეს ცრუჭაჭუნა მემუარისტი სტალინის განქიქებაში ისე გაერთო, ვერც კი მიხვდა, რომ უკვე ქართველი ხალხის აშკარა დაცინვაზეც გადავიდა:

***„თბილისში შევქმენით ოკუპაციის მუზეუმი და სტალინის სახლ-მუზეუმის გადაკეთებასაც ვაპირებდით, გეგმაც კი შევიმუშავეთ, მაგრამ არჩევნების გამო*** *(იგულისხმება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგებითაც ქართველმა ხალხმა სამარცხვინოდ გააპანღურა ნაცრეჟიმი! — გ.გ.)* ***ის ვერ განვახორციელეთ. იქ იმდენად ანეკდოტური ტიპები მუშაობდნენ გიდებად, რომ თავად ისინი უნდა გეჩვენებინათ ტურისტებისთვის, რომელთაც სურდათ, გაეგოთ, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირში“*** *(იქვე, გვ. 39).*

დიახ, სააკაშვილი ასე ცინიკურად დასცინის სტალინის სახლ-მუზეუმში გიდებად მომუშავე დედისტოლა ქალბატონებს!

აბა, მემუარებში მთელი მსოფლიოს წასაკითხად „ანეკდოტურ ტიპებად“ რომ გამოაცხადებ დედისტოლა ქალბატონებს, ამის შემდეგ კაცი გქვია თუ კაცის პროვოკაცია!

აი, ამიტომაც გავამახვილეთ ყურადღება ამ სტატიის დასაწყისშივე, **რამხელა ფსიქოლოგიური დაღი დაასვა არასრულფასოვან ოჯახურ გარემოში აღზრდამ პატარა სააკაშვილს, შეჯაღარავებამაც ვერ გაათავისებინა, რომ ხალხი ასე არ უნდა გძულდეს და დედისტოლა ქალბატონები მთელი მსოფლიოს წინაშე ასე არ უნდა შეურაცხყო!**

თუმცა, ეს ხომ სააკაშვილია!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

აქ ყველა პოლიტიკურ საკითხს წყვეტს **მხოლოდ ის კაცი,** პოლიტიკიდან წასულად რომ აქვს თავი გამოცხადებული და **როგორ წარმოგიდგენიათ, ვინმემ მას შეპასუხება გაუბედოს ამ მარიონეტთა გუნდიდან?** ქუთაისელი ებრაელების ძველი ანეკდოტისა არ იყოს, **იმ კაცმა** რომ თქვას, მტკვარი აღმა მიდისო, ესენი მყისვე დაუდასტურებენ, სულ შხუილ-შხუილითო.

„ალია“



**ბადრი ჯაფარიძე**
*პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*

**მივიღე გადაწყვეტილება, შევაჩერო ჩემი მონაწილეობა რუსთავის შუალედურ არჩევნებში** და მოვუწოდებ ხელისუფლებას, გადადოს 2 აპრილის არჩევნები, რადგან **ასეთ მდგომარეობაში, პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობაში შეუძლებელია ნორმალური საარჩევნო პროცესების წარმართვა.**

„ახალი თაობა“



**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*

**სალომე სამადაშვილს:** ნაცი ხარ და **ჯალათივით იქცევი,** ვერასოდეს გადაეჩვევით სიების შედგენას, ადამიანების აღრიცხვასა და შემდეგ მათ განადგურებას.

„იმედინიუსი“



**სალომე სამადაშვილი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**სია უნდა შედგეს** ამ ხელისუფლების ყველა სამარცხვინო ნაბიჯის, რაც უკრაინაში დაძაბული ვითარების ფონზე გადაიდგა.

„აიპრესი“

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ როგორც კი სააკაშვილის რეჟიმი მოვიდა, ცხოვრების წესი უყოყმანოდ შეცვალა, ხელისუფლებას სასწრაფოდ გაემიჯნა და მოღვაწეობა ეკლესიაში განაგრძო. როგორც თავად ამბობს, წინასწარ იცოდა, რა შედეგი დადგებოდა, როცა ნაცები თავისუფლების ცნების ეგიდით ფსევდოლიბერალური იდეების გავრცელებას შეუდგნენ.** *— „დღეს მსოფლიოში თავისუფლებისთვის კი არა, თავისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან, რადგან მხოლოდ მართლმადიდებლობა ეწინააღმდეგება ფსევდოთავისუფლების სუბკულტურას, მას მთელმა მსოფლიომ ომი გამოუცხადა და ისიც მოახერხეს, რომ უკრაინა და რუსეთი — ორი მართლმადიდებელი ქვეყანა ძმათამკვლელ ომში ჩაითრიეს!“* **— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ბოლნისის რაიონის სოფელ აკაურთას სიონის წინამძღვარმა, დეკანოზმა ბასილ ახვლედიანმა:**



მამა ბასილი (ახვლედიანი):

# დაიმახსოვრეთ სიტყვა «კიბერპანდემია», იგი დაასრულებს სამყაროს!

— ზოგადად, კაცობრიობის არსებობა **ესქატოლოგიაა,** რომელიც **აპოკალიფსით** უნდა დამთავრდეს. ესქატოლოგია კი იმ მომენტიდან იწყება, როცა ევამ და ადამმა დაარღვიეს საღვთო კანონი და საკუთარ თავს დაუპირისპირდნენ. აპოკალიფსის დაწყებას უკვე ძალზე ბევრი მაგალითი მოწმობს, მათ შორის ის, რომ მსოფლიო ერთ პატარა ქვეყნად გადაიქცა, სადაც ყველა გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება მყისიერად ხდება. უღმერთოდ დარჩენილ მსოფლიოს იმდენი იარაღის მარაგი გააჩნია, რომ შეუძლია, ორბიტიდან დედამიწა რამდენჯერმე მოწყვიტოს. ნათქვამია — თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი კიდია, ის აუცილებლად გაისვრისო... ამგვარად, მსოფლიოში აუცილებლად მოხდება ისეთი ტრაგედია, რომელიც დაგროვებულ იარაღს მოქმედებაში მოიყვანს. ღმერთს დაცილებული ადამიანი ყოველთვის ველური წესებით მოქმედებს და სწორედ აპოკალიფსის ნაწილი აღმოჩნდა ის სასჯელი, რომელიც ახლახან უკრაინას დაატყდა თავს.

***— რით დაიმსახურა ეს სასჯელი უკრაინამ?***

— აშშ, ფაქტობრივად, წარმოადგენს მსოფლიოს სამართავ ოფისს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში შედის ფულით, სხვადასხვა დახმარებით, ხოლო, როდესაც ვალს ვეღარ აბრუნებენ, სხვადასხვა დათმობაზე წასვლას აიძულებენ. სწორედ ასეთი ბერკეტით ხორციელდება თანამედროვე დამპყრობლური პოლიტიკა და შემდეგ კონკრეტულ სახელმწიფოებში ფსევდოლიბერალური ექსპერიმენტების განხორციელება.

მოსახლეობის უმრავლესობა — განსაკუთრებით ახალგაზრდობა — მხარს უჭერს ასეთ „თავისუფლებას“, რისი მსხვერპლიც საქართველოს კვალდაკვალ უკრაინაც გახდა.

**უკრაინის ეკლესია, მოგეხსენებათ, რუსეთის ეკლესიის ნაწილია. მათ ერთი პატრიარქი ჰყავთ, ხოლო სარწმუნოებაში არსებობს წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთის უფლებაც არავის აქვს. სწორედ ეს ხაზები გადააკვეთინეს უკრაინელებს, როცა უკრაინის ეკლესიის უკანონო დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად წააქეზეს.**

ლიბერალური სიბნელით წაქეზებული უკრაინელების ერთმა ნაწილმა კანონიკური ეკლესიების დარბევა დაიწყო, რომლებიც სრულიად კანონზომიერად რჩებოდა რუსეთის პატრიარქის მორჩილებაში. ამ პროცესს რიგითი ადამიანები და სასულიერო პირებიც ემსხვერპლნენ. ამას გარდა, უკრაინაშიც მომრავლდა სოდომ-გომორული ცოდვა. უპრიანია, გავიხსენოთ უფლის მიმართვა ისრაელის მიმართ, სადაც ერს ეუბნება — თუ ცოდვაში იქნები, ჩემკენ არ მოიქცევი და არ შეინანებ, პირველ სასჯელად მიწას ჩამოგართმევ, შემდგომი სასჯელი კი უკვე შიმშილია. ამის შემდეგ, თუ სინანული არ გექნებათ, სათავეში ბიჭბუჭებს მოგივლენთ და ჭაღარა შეურაცხყოფილი დარჩებაო. **მართლაც ასე მოხდა. თუმცა, უფალი იმ მიმართვაში კიდევ მრავალი უწნეობის შესაბამის სასჯელებს ჩამოუთვლის ისრაელ ერს....** — ბოლოს მაინც თუ მოიქცევით ჩემკენ, გულში ჩაგიხუტებთ უძღებ შვილებს, ვით მოსიყვარულე მამა და ყველაფერს გაპატიებთო!



**უფალი ამას ელოდება, მაგრამ, როცა ერი ყურს არ იბერტყავს, ცოდვაში ცხოვრებას აგრძელებს, მას სასჯელის სახით უგზავნის მიწისძვრებს, ეპიდემიებს და ომებს. სწორედ ასე მოხდა უკრაინაშიც!**

**— ვიდრე უკრაინის კრიზისი გადამწყვეტ ფაზაში შევიდოდა, გვახსოვს, როგორ გვაშანტაჟებდნენ კოვიდის პანდემიით. დღეს რა ხდება? სად დაიკარგა კოვიდით გამოწვეული საფრთხე?**

— როგორც ამერიკელი დიდმოღვაწე ბერი იტყოდა, **აპოკალიფსი მთელ მსოფლიოშია გადაშლილი, მას მხოლოდ წაკითხვა სჭირდებაო.** პანდემიად წოდებულმა საფრთხემ კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვა მსოფლიო. ყველაფერი იღონეს მოსახლეობის პანიკაში ჩასაგდებად და იმუნიტეტის დასაქვეითებლად, რადგან პანდემიის შიშით ერთ ოჯახად გაერთიანებულ მსოფლიოში გაცილებით მარტივია საერთო აზრის შექმნა. მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ ხალხებს შთააგონონ: **— რა საჭიროა სახელმწიფოები? დაე, ერთ ოჯახად გაერთიანებული კაცობრიობა ერთმა პირმა მართოს!** სწორედ იმ ერთს ამზადებენ.

**მას ზოგი პრეზიდენტს დაუძახებს, ზოგი – მეფეს, ზოგი – ღმერთს. თუმცა, მართლმადიდებლური სწავლებით ვიცით, რომ სწორედ მსოფლიოს ერთპიროვნული მბრძანებელი იქნება ანტიქრისტე!**

მერწმუნეთ, ის თავის ჟამს ელოდება!

**— მაგრამ უფალი ამბობს, რომ ანტიქრისტეს გამეფების ზუსტი დრო არავინ იცის.**

— გეთანხმებით, მაგრამ სხვა ციტატებიც არსებობს წმინდა წერილიდან: — უგუნურნო და ორგულნო, რით ვერ შეიცანით ჟამი ჩემი მოსვლისა? — და განუმარტავს: როცა ლეღვი აყვავდება, გაზაფხულიც მაშინ მოვაო და ჩამოთვლის ნიშნებს, რომელთა მიხედვით ადამიანებმა ანტიქრისტეს მოსვლის ჟამი უნდა ამოიცნონ!

**ღვთივ განბრძნობილი მამების აზრით, ანტიქრისტე უკვე დაბადებულია. ჩვენმა პატრიარქმაც 2 წლის წინათ, პანდემიის აფეთქებამდე 2 კვირით ადრე, განაცხადა — შესაძლოა, ანტიქრისტეს გამოცხადებამდე რამდენიმე დღე რჩებაო...** წმინდა ბერ გაბრიელსაც აქვს ნაწინასწარმეტყველები, რომ თანამედროვე თაობა ქრისტეს მეორედ მოსვლას მოესწრება. ნებისმიერი მორწმუნე ადამიანი თვალნათლივ ამჩნევს, რომ წმინდა წერილში გადმოცემული ნიშნები ერთმანეთის მიყოლებით სრულდება. **კაცობრიობა შევიდა დიდი ხნის წინ დაგეგმილ დეპოპულაციისა და კოლაფსის პროგრამულ ფაზაში. დაწყებულია და თავის პიკს ახლო მომავალში მიაღწევს ე.წ. „კიბერპანდემია“.**

***— რას ნიშნავს „კიბერპანდემია“?***

— მეცნიერებს უკვე დადგენილი აქვთ, რომ ადამიანს გააჩნია ბიოლოგიური ენერგია, რომლის გარედან მართვაც დღეს სრულიად შესაძლებელია. მაგალითად, შეიძლება ადამიანს სიხარული დარდით შეუცვალონ და პირიქით. შესაძლებელია გულის რიტმის რეგულაცია და ორგანიზმის სხვა პარამეტრებზე ზემოქმედებაც. ამასთან, მსოფლიოში ადამიანების მართვის საუკეთესო ბერკეტია ინტერნეტი, რაც საშუალებას იძლევა, მისი ნებისმიერი მომხმარებლის პირად მონაცემებზე წვდომისათვის. დღეს ხშირად ლაპარაკობენ ადამიანის სხეულში ჩასანერგ მინიატიურულ მოწყობილობებზეც, რომლებიც თავდაპირველად ისეთ უწყინარ და მარტივ ამოცანებს შეასრულებს, როგორიცაა საბანკო ტრანზაქციის შესრულება ან ბინის კარის გაღება, მაგრამ უახლოეს მომავალში გაცილებით მეტი დანიშნულება მიეცემა.

დიახ, დღემდე განხორციელებული მსოფლიო პროცესები იყო მომზადება მომდევნო ფაზისთვის... დაიმახსოვრეთ ეს სიტყვა — **„კიბერპანდემია“.** იგი დაასრულებს სამყაროს... მოვასწროთ სინანული, ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# „მოვასწროთ სინანული, ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია!“

## კვირგვინოსნები

**ივა ჭყონია**
*დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



**„სვიფტის“ სისტემიდან რუსეთის გათიშვის გამო** დღეს პრობლემა არ დგას, მაგრამ ხვალ უკვე იქნება და **პროდუქციის შემოტანაც გაჭირდება.** ახლა აქტიურად ვმუშაობთ, რომ გადავეწყოთ სხვა ბაზრებზე, რაც რადიკალურად გაზრდის ფასებს და ეს არ იქნება 5-10 პროცენტით მატება, არამედ ბევრად მეტით.

„რეზონანსი“

**მიშა მშვილდაძე**
*პოლიტოლოგი, რუსთაველის გამზირზე აქციის აქტივისტი*



**პოლიციელებო,** დღეს არის წყალგამყოფი, ჩვენ შეგვიძლია გაპატიოთ ყველაფერი, რაც აქამდე დაგიშავებიათ და ბევრი დაგიშავებიათ, ბიჭო! ბევრი დაგიშავებიათ! **დღეიდან თუ გააგრძელებთ ჩვენს დაპატიმრებას, თუ გააგრძელებთ ძალადობას, დედას გიტირებთ, დედას გიტირებთ, ბიჭო!**

„იმედინიუსი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



ამ ხელისუფლების ხელში **ევროკავშირში გაწევრიანებისთვის** ვერც **2024 წელს** ვიქნებით მზად, ვერც — **2028**-ში და ვერც — **2032**-ში — მიმართვა დარჩება ფარატინა ფურცლად.

„პალიტრანიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



პოლიტიკურად გაკოტრებული **ნინო ბურჯანაძე** ხელისუფლების შეცვლისა და კოალიციური მმართველობის შექმნისკენ მოუწოდებს, ვინ ეპატიჟება ამ კოალიციაში მის **0,85-პროცენტიან პარტიას?**

„იმედინიუსი“

# კახა საბახტარიშვილი:

# თუ ორივე ლოყაზე სიმეტრიულ სიწითლეს შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ კარდიოლოგს!



***„ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულმა უკანასკნელმა ინტერვიუმ, რომელიც მთლიანად გულის პრობლემებს მიეძღვნა, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ქართველი მეცნიერი და ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი, რომელიც წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუშიც გულის დაავადებების შესახებ გვესაუბრება, აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხზე სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა:***

— არსებობს გულის უამრავი პათოლოგია, რომლის შესახებაც წარმოდგენა არ გვაქვს, მაგრამ ყოველგვარი გამოკვლევების გარეშეც აშკარაა, რომ ადამიანს გული აწუხებს, კერძოდ, გულის მანკი აქვს. სამედიცინო ტერმინოლოგიით გულის მანკს სარქვლის უკმარისობასაც უწოდებენ და, როგორც წესი, ქირურგიული ჩარევით იკურნება, თუმცა, ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში არაერთხელ მომხდარა, როცა ასეთი ავადმყოფები ჰომეოპათიური პრეპარატებითაც გამომიჯანმრთელებია. ერთ-ერთმა ასეთმა პაციენტმა ამ რამდენიმე წლის წინათ თქვენს გაზეთს ინტერვიუც კი მისცა. იგი 75 წლისაა და დღემდე ჩემთან დადის კონსულტაციებზე. **1950 წლამდე დაბადებულ ადამიანებს შორის არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ზოგიერთ მათგანს ორივე ლოყაზე სიმეტრიულად აღენიშნება უჩვეულო სიწითლე.** ამავე დროს ასეთი ადამიანები ხშირად უჩივიან ადვილად დაღლასა და ქოშინს კიბის ორი-სამი საფეხურის ავლის შემთხვევაშიც კი. ბევრ მათგანს აღენიშნება **ვარდისფერი ნახველიც...** ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ფილტვის პათოლოგია, მათ შორის სიმსივნეც კი, რაც არასწორია. სინამდვილეში ყველა ზემოხსენებული ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა გულის **მიტრალური სარქვლის სტენოზი,** ანუ შევიწროება.

**— ბატონო კახა, გულის მიტრალურ სტენოზთან 1950 წელი რა შუაშია?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩირქოვანი ანგინა, რომელიც სტრეპტოკოკით არის გამოწვეული, ცუდად მკურნალობის ან საერთოდ უწამლობის შედეგად ხშირად რთულდება რევმატიზმით, რომელიც არამარტო სახსრებს, არამედ, პირველ რიგში, გულის სარქვლებს აზიანებს, მათ შორის, მიტრალურ სარქველს და იწვევს მის დეფორმაციასა და შევიწროებას. როგორც წესი, სტრეპტოკოკის საწინააღმდეგოდ ანტიბიოტიკებს იყენებენ, მაგრამ საბჭოთა კავშირში ანტიბიოტიკების გამოყენება მხოლოდ 1950 წლიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, ვინც 1950 წლამდე დაიბადა და ჩირქოვანი ანგინა გადაიტანა, თითქმის ყველას გულის მიტრალური სარქვლის სტენოზი აქვს.

**— მაინც რას წარმოადგენს გულის მიტრალური სარქველი და რა როლს ასრულებს ის ადამიანის ჯანმრთელობაში?**

— მოგეხსენებათ, გული მარჯვენა და მარცხენა ნახევრებისაგან შედგება. მარჯვენაში ვენური სისხლი მოძრაობს, რომელიც შეიცავს ნახშირორჟანგს და ცხოველქმედების შედეგად გამოყოფილ პროდუქტებს, ხოლო მარცხენა ნახევარში არტერიული სისხლია, რომელიც მდიდარია ჟანგბადით და იმ საკვები ნივთიერებებით, რომელიც სისხლმა ყველა ორგანოს თითეულ უჯრედთან უნდა მიიტანოს.

გულის ორივე ნახევარი შედგება წინა გულისა და პარკუჭისგან. ე.ი. არსებობს მარცხენა წინა გული და მარცხენა პარკუჭი და მარჯვენა წინა გული და მარჯვენა პარკუჭი. წინა გულებსა და პარკუჭებს შორის არის სარქვლები, რომლის ფუნქციაც სისხლის მხოლოდ ერთი მიმართულებით გატარებაა, ანუ სარქვლები სისხლს ატარებენ წინა გულებიდან პარკუჭებისკენ და არა პირიქით. მიტრალური სარქველი მარცხენა წინა გულსა




და მარცხენა პარკუჭს აკავშირებს... როდესაც მარცხენა წინა გული სისხლისით აივსება, მიტრალური სარქველი იხსნება და სისხლი მარცხენა პარკუჭში გადადის. მარცხენა პარკუჭის ავსების შემდეგ ეს სარქველი იხურება და ჟანგბადით მდიდარი სისხლი გადადის ყველაზე მსხვილ არტერიაში, რომელსაც აორტა ეწოდება. აორტისა და მისი განშტოებების — არტერიებისა და კაპილარების მეშვეობით ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები მიდის ყველა უჯრედთან... აი, ასე მუშაობს ჯანმრთელი გული, მაგრამ რევმატიზმით გამოწვეული მიტრალური სტენოზის დროს სისხლს წინა გულიდან პარკუჭში გადასვლა უჭირს, უკან, ფილტვებში ბრუნდება, იწვევს ფილტვის შეშუპებას და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, მას აუცილებლად მოჰყვება მძიმე ქოშინი და თუ პრობლემა ვერ გადაიჭრა, ადამიანი დაიხრჩობა. ასე რომ, ჩემი რჩევაა: **თუ ორივე ლოყაზე სიმეტრიულ სიწითლეს შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ კარდიოლოგს!**

**— ამ ბოლო დროს გახშირდა ფეხბურთელების, ჰოკეისტებისა და, საერთოდ, სპორტსმენების სათამაშო მოედანზე უეცარი სიკვდილი, რაც ძირითადად გულის პრობლემებით არის განპირობებული. რა ხდება ასეთ დროს?**

— არსებობს გულის ერთი ვერაგი დაავადება — **ჰიპერტროფირებული კარდიომიოპათია,** რომელიც, ფაქტობრივად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მარცხენა პარკუჭის კედლები სქელდება, გულის კუნთის იმპულსაცია ირღვევა, მარცხენა პარკუჭის ღრუ მცირდება, გულს სისხლის გადასროლა უჭირს და ადამიანი შესაძლოა, არითმიის გამო უეცრად დაიღუპოს. სწორედ ეს იყო იმ სპორტსმენების უეცარი დაღუპვის მიზეზი, რომლებსაც ამ ვერაგი დაავადების შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა: **ვინც ფიზიკური დატვირთვისას უეცრად გონებას დაკარგავს და ქოშინი და არითმია დაეწყება, სასწრაფოდ მიმართოს კარდიოლოგს და, პირველ რიგში, ამ მართლაცდა ვერაგი და სასიკვდილო სენის — კარდიომიოპათიის არსებობა გამორიცხოს!**

**— ხშირად გამიგია, რომ ბავშვებს კარდიოლოგიურ გამოკვლევებზე მიტრალური სარქვლის პროლაფსის დიაგნოზს უსვამენ. ეს საშიში დაავადებაა?**

— შეიძლება ითქვას, რომ ამ დიაგნოზს ხშირად უდგენენ ბავშვებს ან მოზარდებს, რომლებიც მაღლები და ზედმეტად მოქნილები არიან. ასეთი ბავშვების მყესები ზომაზე მეტად იჭიმება და ელასტიკურია... იგივე მყესები, ანუ დამჭერი ქორდები ამაგრებენ მიტრალურ სარქველს. როდესაც მარცხენა პარკუჭი სისხლით აივსება და, წესით და რიგით, მიტრალური სარქველი ბოლომდე უნდა იხურებოდეს, რათა სისხლი მარცხენა პარკუჭიდან წინა გულში არ დაბრუნდეს, დამჭერი მყესების ელასტიკურობის გამო სისხლი მიაწვება რა სარქველს, იგი ნაწილობრივ იხსნება და სისხლი გადადის პარკუჭიდან წინა გულში, რაც დაუშვებელია. სწორედ ამიტომ ყველა ბავშვი, რომელიც მაღალი და ძალიან მოქნილია, აუცილებლად გულზე უნდა შევამოწმოთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„ვინც ფიზიკური დატვირთვისას უეცრად გონებას დაკარგავს და ქოშინი და არითმია დაეწყება, სასწრაფოდ მიმართოს კარდიოლოგს და, პირველ რიგში, ამ მართლაცდა ვერაგი და სასიკვდილო სენის – კარდიომიოპათიის არსებობა გამორიცხოს!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი სუხიტაშვილი**
*მომღერალი*



**ვიდრე ქართულად საუბარს არ აგიკრძალავენ, ვერ ხვდებით, სად შევედით?!** გაიღვიძე, ერო! აი, დაიმახსოვრეთ ეს დღე! ამ ხმამაღალი საუბრის გამო ან დამიჭერენ, ან ნარკომანობას შემტენიან, ან იარაღს ჩამიდებენ, **ან გამაგდებენ, ან დამაშანტაჟებენ, ან ჩემსას ვინმეს დაიჭერენ,** ან... ამ ქვეყანაში ასეა!

„ახალი თაობა“

**კახა კინწურაშვილი**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**არც ღირსება, არც გონიერება, არც დიპლომატია** და **არც მომავლის რწმენა** არ ამოძრავებს ჩვენს მთავრობას. **ახალმა თუ ძველმა ოპოზიციამ იმდენჯერ გატეხა სიტყვა, იმდენჯერ დაარღვია პირობა,** რომ ჩემთვის მათ მიმართ ნდობა აღარ არსებობს.

„ახალი თაობა“

**ლევა ბასლანიძე**
*პროდიუსერი*



**ბერა ივანიშვილთან** ძალიან კარგი მეგობრობა მაკავშირებს და ამას თუ წაიკითხავს, ალბათ, თვითონაც გაეცინება, **პირველმა საჩუქარი მას მე ვაჩუქე და არა პირიქით.**

„თბილისელები“

**ბაჩო ახალაია**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**პოლიტიკოსობას არ ვაპირებ** ნამდვილად, ეს არ არის ჩემი საქმე.

„ახალი თაობა“

*საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისა და ცნობილი მორაგბის ნიკა ამაშუკელის დედა* ***ელი ამაშუკელი*** *17 წელია, რაც ბუნებრივი კომპონენტების გამოყენებითა და საგვარეულო რეცეპტის მიხედვით ძვალსახსროვანი სისტემის უმძიმეს დაავადებებს მკურნალობს. იმ ფონზე, როცა ძვალსახსროვან დაავადებათა გაახალგაზრდავების ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა, „ელის კრემი და მალამო“ მართლაც სასწაულებს ახდენს... მისმა პაციენტებმა დაამარცხეს ძვლის ვერაგი დაავადებები, თავიდან აიცილეს ოპერაციები და ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობა:*



# ელი ამაშუკელი:
# პროტრუზია, ართროზი და კორქსართროზი...
# დიახ, მე ამ დაავადებებს ვაჩერებ!

— ხმამაღლა და ხაზგასმით ვაცხადებ — **ვისაც ძვლის სისტემის ურთულესი დაავადებები აქვთ, მათთვის ჩემი მალამოთი მკურნალობა ერთადერთი და ბოლო შანსია, რათა თავი დააღწიონ დაავადებას, პროცესი შეაჩერონ და მტანჯველი ტკივილებისგან გათავისუფლდნენ.** წლების განმავლობაში სხვადასხვა ბუნებრივი ინგრედიენტისგან შევქმენი აბსოლუტურად უსაფრთხო მალამო, რომელიც სახსრების, წელის, კუნთების, ვენების, ყელის ტკივილისა და ყურის ანთების უებარი სამკურნალო საშუალებაა. 12 წლის მანძილზე ვეწეოდი ქველმოქმედებას. კერძოდ, ჩემს ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებსაც სხვადასხვა ჩივილი ჰქონდათ, მალამოს უანგაროდ ვჩუქნიდი.

**— ქალბატონო ელი, მაინც რომელ დაავადებებს კურნავს „ელის კრემი და მალამო“?**

— „ელის მალამო“ პირდაპირ მისწრებაა ძვალსახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ, რასაც ოფიციალური მედიცინა ვერ შველის და პაციენტებს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელსა და ჰორმონებით გატენილ პრეპარატებს სთავაზობს! სამწუხაროდ, არსებობს მძიმე და გაუსაძლისი ტკივილებით მიმდინარე ისეთი დაავადებები, როგორიცაა **პროტრუზია, ართროზი და კორქსართროზი.** დიახ, მე ამ დაავადებებს ვაჩერებ! რაც შეეხება ყელის ტკივილსა და ყურის ანთებას, ამას ჩემი მალამო ადვილად, უშუალოდ ყურის ნიჟარისა და ყელის გარედან შეზელით ამარცხებს. ჩემი მალამოთი მესამე, მეოთხე სტადიის კორქსართროზს ვაჩერებ, როცა ხრტილი უკვე გალეულია, ძვალი ძვალს ედება, ადამიანი საშინელი ტკივილებით იტანჯება და უკვე ოპერაციისა და იმპლანტის გადანერგვისათვის არის განწირული. **უნიკალური შედეგები მაქვს ხერხემლის თიაქრის მკურნალობაშიც. არადა, ხერხემლის თიაქრით გამოწვეულ ნერვის ანთებას ოფიციალური მედიცინა ვერ შველის და მხოლოდ ოპერაციას უპირისპირებს,** თუმცა, არც ეს არის გამოსავალი, რადგან ასეთი პაციენტები ოპერაციის შემდეგაც კი უძლიერესი წელის ტკივილით მომმართავენ!

**— რისგან მზადდება თქვენი მალამო?**

— მალამოს ვამზადებ თაფლის პროდუქტებისგან... მის შემადგენლობაშია: დინდგელი, თაფლის სანთელი, ფიჭვის ფისი. თუკი ვინმეს ალერგია აქვს თაფლის პროდუქტებზე ან ფიჭვის ფისზე, შეიძლება კანზე გამოაყაროს. ამ შემთხვევაში პაციენტმა მალამოთი მკურნალობა უნდა შეწყვიტოს!

**— სახსრების ანთებას მალამო როგორი ეფექტურობით ებრძვის?**

— მალამო კურნავს სახსრის, მუხლის ძვლოვან ანთებას, ართროზს, ართრიტსა და გონართროზს, როცა უკვე მუხლში წყალია ჩამდგარი. იგივე შემიძლია, ვთქვა კოჭის, ტერფისა და ვენების გაგანიერების, ასევე ვენების ტკივილის შესახებაც... **მალამო ამშვიდებს პოდაგრის მარილოვან წამონაზარდს, ფეხიდან ანთება გამოაქვს და გაუსაძლის ტკივილს აცხრობს.**

**— ეს ყველაფერი მტკივნეული ადგილის მალამოთი შეზელით მიიღწევა?**

— დიახ, მხოლოდ შეზელით. **მინდა, იცოდეთ, რომ უმძიმესი პაციენტები მყავს, რომლებიც წლების განმავლობაში ვერ დადიოდნენ და ჩემი მალამოს მოხმარების შემდეგ გაიარეს!** „ელის მალამო“ ასევე იდეალურია ოსტეოქონდროზის, კისრის ტკივილის, რადიკულიტისა და მხრის ანთების დროს.

**— პაციენტმა მტკივნეული ადგილი დღეში რამდენჯერ და რა ინტენსივობით უნდა შეიზილოს?**

— შეზელისთვის 2 წუთი აბსოლუტურად საკმარისია, ხოლო დღის განმავლობაში პროცედურა ხუთ-ექვსჯერ უნდა გავიმეოროთ!

**— ყველაზე მძიმე პაციენტზე „ელის კრემმა და მალამომ“ რამდენ ხანში იმოქმედა?**

— ხომ გეუბნებით, ადამიანი, რომელიც ორი წლის განმავლობაში იჯდა და ვერ დადიოდა, ათ დღეში ფეხზე დავაყენე! ყელის ტკივილის დროს მალამო გარედან უნდა შეიზილოთ, მალამო კურნავს ბრონქების ანთებას, ყურის ანთებას, თავის ტკივილს, ვენოზურ დაავადებებს, მაგრამ არა სარისკო თრომბოზულ ვენებს. **ასპროცენტიანი გარანტიით შლის ცელულიტს — ოღონდ მასაჟის ფონზე.** შველის დაჟეჟილობას, ნაღრძობს, არჩენს ტრავმის გამო გამოწვეულ ტკივილს, ხსნის შესიებას, აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას.

ჩემი შვილი ნიკა ამაშუკელი 10 წლის ასაკიდან მორაგბეა და ტრავმები მისთვის უცხო არ არის; ამიტომ მალამოს ყოველთვის თან ვატანდი, რომელსაც თვითონაც მოიხმარდა, მისი მეგობრებიც მოიხმარდნენ და წლების განმავლობაში ტკივილებს იმსუბუქებდნენ. წარმოიდგინეთ, ამ მალამოს ჭამაც კი შეიძლება და თუ ღრძილის ანთება გაქვთ, აუცილებლად გიშველით.

**— მტკივნეულ ადგილს მალამოთი შეზელის შემდეგ რამე უნდა შემოვახვიოთ?**

— არაფრის შემოხვევა არ არის საჭირო!

**— აქვს თუ არა მალამოს გვერდითი მოვლენები?**

— არანაირი გვერდითი მოვლენა მალამოს არა აქვს! თუ პაციენტი ფიჭვის ფისს, ფუტკრის დინდგელს ან სანთელს ვერ იტანს, აი, მაშინ მას ნამდვილად ექნება მალამოს წასმისას დისკომფორტი, თორემ სხვა მხრივ იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა! ჩემი მალამო, რომელიც სახსარში კანიდან აღწევს, მას კალციით ამარაგებს და რეგენერაციას ახდენს. მალამოს კეთილმოქმედების მეცნიერული საფუძველი მარტივად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს — **„ელის მალამო“ სახსრებისა და ძვლების კალციითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით კვებას უზრუნველყოფს!** ვთქვათ, მანქანის კარში ხელი მოგვყვა, მალამო აუცილებლად გიშველით... აბსოლუტურად დასახიჩრებული ხელი ჩემს მალამოს ერთი წასმით მოურჩენია!

**— რა პირობებში და რამდენ ხანს ინახება თქვენი მალამო?**

— მალამო ისეთი კომპონენტებისგან შედგება, რომ არასოდეს ფუჭდება. ამიტომ, სადაც ვცხოვრობთ, ნებისმიერ ადგილას შეგვიძლია, შევინახოთ!



**„ჩემი შვილი ნიკა ამაშუკელი 10 წლის ასაკიდან მორაგბეა და ტრავმები მისთვის უცხო არ არის; ამიტომ მალამოს ყოველთვის თან ვატანდი, რომელსაც თვითონაც მოიხმარდა, მისი მეგობრებიც მოიხმარდნენ და წლების განმავლობაში ტკივილებს იმსუბუქებდნენ!“**

## „ამ მალამოს ჭამაც კი შეიძლება და თუ ღრძილის ანთება გაქვთ, აუცილებლად გიშველით!“

**— თქვენი მალამოს შეძენა სად შეიძლება?**

— მალამოს შეძენა შეიძლება **ვაკეში, ფალიაშვილის 81-ში. პაციენტებს ვიღებ მკაცრად განსაზღვრულ დროს — 12.00-დან 19.00 საათამდე.**

*ესაუბრა* **დიტო ჩუბინიძე**

## კვირგვინოსნები

**მარინე კაკვი**
*ჯგუფ „მგზავრების“ ლიდერის გიგი დედალამაზიშვილის მეუღლე*



ქართული ტრადიცები ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. **ძალიან მომწონს თქვენი ოჯახური ტრადიციები, მშობლების მიმართ დამოკიდებულება.** საქართველოში ქალის კულტია, დედა თქვენთვის ყველაფერია. **უკრაინაშიც დიდ პატივს სცემენ დედას, მაგრამ არა ისე, როგორც აქ.**

„სარკე“

**გიგა კვენეტაძე**
*რუსეთში მცხოვრები მომღერალი*



მითხარით, რა ვქნათ იმ ადამიანებმა, რომლებსაც გვინდა, რაღაცას მივაღწიოთ ცხოვრებაში და თუნდაც ვიარსებოთ. **ჩვენს სახელმწიფოში მიტინგები არ დამთავრდა. ხალხი ქვეყნიდან გარბის. უკრაინაშიც ბევრი მეგობარი მყავს, რუსეთშიც და რომელ თითს ვუკბინო,** არ ვიცი. ბევრჯერ მიფიქრია, რომ ავმდგარიყავი და წავსულიყავი საქართველოში. სამწუხაროდ, მე მანდ ვერაფერს გავაკეთებ.

„სარკე“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



მოხალისეებს რომ არ ვუშვებთ, **რატომ ეწყინა ზელენსკისო,** საწყენი იყო და იმიტომ.

„ახალი თაობა“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**გადაუარეს ძირითად ღირებულებებს,** რითიც ამაყად ვამბობდით, რომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, რომელსაც თავი არასდროს დაუხრია — **არავითარი თანამშრომლობა, გარდა ერთი მოთხოვნისა: წავიდნენ!**

„ინტერპრესნიუსი“

**გია ნოდია**
*პოლიტოლოგი*



ელჩის გაწვევა ნიშნავს, რომ **უკრაინა მეგობრად აღარ გვთვლის.** სერიოზული შესაძლებლობაა, რომ **ევროპაში ფანჯარა გაიღოს,** ოღონდ დიდხანს არ იქნება ღია... **ვეჭვობ, „ოცნების“ პირობებში პროგრესს მივაღწიოთ.**

„ახალი თაობა“

თარაზულად: 2. ისრაელის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ქალი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი 1969-74 წ.წ. 6. საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი, სხვადასხვა დროს მუშაობდა შარლ დე გოლის სამდივნოში, როტშილდის ბანკის დირექტორად, დე გოლის კაბინეტის დირექტორად, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად; 8. დემეტრე I-ის ასული, თამარ მეფის აღმზრდელი; 10. პროვინცია ან ოლქი ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც ფაშა განაგებდა; 11. გერმანიის მეფეების და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორების სახელი; 12. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ჩეხოსლოვაკიის სამგზის და საბჭოთა კავშირის გმირი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი 1968-75 წ.წ. 14. მეფეებისა და იმპერატორების დინასტია კორეაში; 15. საფრანგეთის პრეზიდენტი 1981 წლიდან; 17. შუა საუკუნეების ქართული ციხე-ქალაქი ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე; 18. ტახტის მემკვიდრის ტიტული ესპანეთში; 20. რომის იმპერატორი I საუკუნეში, რომლის მმართველობის პერიოდშიც ვეზუვის ამოფრქვევამ სამი ქალაქი: პომპეი, ჰერკულანუმი და სტაბიუმი გაანადგურა; 24. ირანის ვიცე-პრეზიდენტი; 25. კონგოს (ახლანდელი ზაირის) რესპუბლიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე; 27. პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი; 28. ავღანეთის პრეზიდენტი; 29. ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ფილოსოფოს ეპიქტეტეს მოწაფე, კაპადოკიის მმართველი 131-137 წ.წ.

შვეულად: 1. აშშ-ის პრეზიდენტი კენედის მკვლელობის შემდეგ 1963 წლიდან; 2. ეგვიპტის მამლუქი გამგებელი, წარმოშობით ქართველი, განაგებდა ეგვიპტეს 23 წლის განმავლობაში; 3. კიევის დიდი მთავარი XI საუკუნეში, ზედწოდებით ბრძენი; 4. იმერეთის მეფე 1590-1605 წ.წ. კონსტანტინე ბატონიშვილის ძე; 5. სამხედრო-დიქტატორული რეჟიმი, რომელიც დამყარდა ჩილეში გენერალ პინოჩეტის მმართველობის დროს; 7. ესპანური ვერცხლის მონეტა მე-15-17 საუკუნეებში; 9. რომის იმპერატორი, დაამკვიდრა ახალი პოლიტიკური სისტემა დომინატი; 13. მეფის რაზმეულის წევრი ანგლოსაქსურ ინგლისში; 14. ფრანგთა იმპერატორის კარლოს დიდის ვაჟი, ზედწოდებით — ღვთისმოსავი; 16. ამერიკელი ფინანსისტი, რომელიც I მსოფლიო ომში ხელმძღვანელობდა სარეპარაციო გეგმის შემუშავებას, რომელმაც შეცვალა დაუესის გეგმა; 19. რომის იმპერატორი, ანტონინების დინასტიის ფუძემდებელი; 21. ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი თბილისში; 22. ურარტუს მეფე, სარდურ II-ის შვილი; 23. კიევის დიდმთავარი, ვლადიმერ მონომახის შვილი; 26. დინასტია და ფეოდალური სახელმწიფო სამხრეთ ჩინეთში IV-VI საუკუნეში.

# სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის ძველებური იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9) და მათგან 9-ში უკვე ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი უჯრის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 2 | 7 | 8 | | 9 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 1 | 3 | | 2 | | |
| 9 | | 8 | | | | 3 | 1 | 7 |
| 8 | | | 6 | 4 | | 1 | | 3 |
| 2 | 7 | | | 1 | 3 | | 4 | 9 |
| | 1 | | 9 | 5 | | | 7 | 6 |
| 1 | | | 4 | 2 | 6 | 9 | | |
| | 9 | 4 | 3 | | 1 | | 6 | |
| 6 | 8 | 2 | | | 5 | | 3 | 1 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | 3 | | | 2 |
| 5 | 4 | | | | | 6 | 1 | 3 |
| | 3 | 8 | 9 | | 6 | | | 4 |
| | 7 | 6 | 5 | | 4 | | | |
| | 5 | 4 | | 2 | 1 | 9 | | |
| | 1 | | | | 8 | | 4 | |
| 4 | | 3 | 2 | | | 1 | 7 | |
| | | | 1 | 4 | | | | 5 |
| 1 | | | 3 | | | 4 | 6 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 7 | 5 | 9 | | | |
| | 3 | | | | | | 4 | 7 |
| 5 | | 7 | | | | | 1 | 9 |
| | 9 | | | 8 | 1 | | | 6 |
| 4 | | 5 | | | | 7 | | |
| 6 | | | | 2 | 7 | | | 5 |
| | | 4 | | 7 | | | 5 | |
| 8 | | | | | 5 | 6 | 9 | |
| | | 9 | 1 | | | | | |

თარაზულად: 1. მორიგეობა გემზე; 6. ვაზის ნასხლავი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. ი. კალმანის ოპერეტა; 11. ქართული ზღაპარი; 12. ტემპერატურის საზომი ერთეული; 13. ჰიგიენური დაწესებულება; 16. ბრეჟნევის სახელი; 17. ფრანგი მსახიობი ქალი; 20. იაპონური თეატრი; 22. ამბის ერთ-ერთი ახსნა; 23. ალექსანდრე ყაზბეგი — „... მკვლელი“; 25. სლოვენიური ფირმა (საყოფაცხოვრებო ტექნიკა); 26. თამბაქოს ნაწარმი; 27. იგივეა, რაც ბლანდი.

შვეულად: 1. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 2. ტყავის პარკი, ტომარა; 3. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია; 4. თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც გადაღებულია პირი; 5. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. გველის ნაშიერი; 7. რძის შაქარი; 8. ერთგვარი კოქტეილი; 14. ფილმი ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით; 15. იტალიელი ფეხბურთელი; 17. ახალი ვენახი; 18. ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწე; 19. აგრეთვე შენ, ანუ; 21. აღმოსავლეთი; 23. მსახიობი ... გიბსონი; 24. მიმართვა ქალისადმი ინგლისში.



ბობოლა · ვატერპასი · მანძილი ეკვატორიდან პოლუსისაკენ · მცირე აზიის ძველი სახელმწიფო · შინაგანი კანონზომიერება · იტალიელი რეჟისორი · მხარე ავსტრიაში

ბორის საკონსერვო ქარხანა · ძველი ბერძნული სიმებიანი საკრავი · ზოგ ადგილას, აქა-იქ · ტრიბუნის თანაშემწე ძველ რომში · საუბარი ორ პირს შორის · კედელზე გასაკრავი თიხის ფილები · სინათლის სიკაშკაშის ერთეული · კინო-სახეობა

თარაზულად: 1. სამხრეთამერიკული ტროპიკული ბუჩქი საკვები ფესვებით; 6. ქვეყანა აფრიკაში; 9 ნახატის რელიეფური პირი დასაბეჭდად; 10. მდინარე მიანმაში; 11. ალჟირის ფული; 12. სოფელი კასპის რაიონში; 13. ხალხური კომედიის ჟანრი ძველ რომში; 17. დიდი მნიშვნელობის ამბები; 21. გადაშენებული გიგანტური ფრინველი; 23. ტბა სამხრეთ ამერიკაში; 24. ტბა ციმბირში; 25. თუთიყუშის სახეობა; 26. ვენესუელის დედაქალაქი; 30. დედალოსის ვაჟი; 35. ერთგვარი სურნელოვანი წყალი; 36. სევდიანი წყობა მუსიკაში; 37. მოულოდნელი რევიზია; 38. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 42. განუხორციელებელი ფანტაზია; 46. ნუსხა, ჩამონათვალი; 48. მეცნიერება მცენარეთა შესახებ; 49. კოსმოსური მანძილის ერთეული; 50. ფრანგული ყვავილი; 51. სომალის დედაქალაქი; 52. აშშ-ის შტატი.

შვეულად: 1. წვრილი თევზი ცქიმურასებრთა ოჯახიდან; 2. ფრანგი კინომსახიობი; 3. ქალაქი კანადაში; 4. სახალხო პოეტი შუა აზიაში; 5. უმაღლესი წოდება ძვ. იაპონიაში; 6. ადმინისტრაციული ერთეული უნგრეთში; 7. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ის დასავლეთში; 8. ფრანგი ფერმწერი; 14. წიწვოვანი ტყე რუსეთში; 15. უმაღლესი ხარისხის ტყავი; 16. ტბა აფრიკაში; 18. გამის პირველი საფეხური; 19. მუზეუმი მადრიდში; 20. გამოუწვავი თიხა; 21. მე-2 მსოფლიო ომში ფრანგი პარტიზანი; 22. ცისფერი ნილოსის სახელი ეთიოპიაში; 26. ღორების ჯოგი; 27. გერმანელი მწერალი; 28. ხის ვარჯი; 29. ზღვის წვრილი თევზი; 31. ფრანგი მწერალი; 32. მუსიკალური პიესის ფორმა; 33. სასარჩულე ქსოვილი; 34. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 39. ქალაქი იაპონიაში; 40. წყალქვეშა კლდე, რიფი; 41. მუსლიმანი მმართველის თანაშემწე; 43. საკონდიტრო ნაწარმი; 44. ფრანგული ხალხური თეატრის სევდიანი პერსონაჟი; 45. ქალაქი ესპანეთში; 46. ხის ფეხსაცმელი ძვ. საფრანგეთში; 47. სამოას დედაქალაქი.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული პირველი კროსვორდის პასუხები:**

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული მესამე კროსვორდის პასუხები:**

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდის პასუხები:**



**ბევრი მორწმუნე ხდება მას შემდეგ, რაც ამ სამყაროს არასრულყოფილებას გააცნობიერებს. ტანჯვის, ავადმყოფობის, სიბერის, სიკვდილის შემყურე ადამიანები ღმერთს მიმართავენ იმ იმედით, რომ ბედნიერებას იმქვეყნად პოვებენ. მათი აზრით, მთავარი სამოთხეში მოხვედრაა, სადაც მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებაა. თუმცა, თქვენი წიგნების წაკითხვის შემდეგ კაცმა შეიძლება ეს იმედიც დაკარგოს! თქვენი გამოკვლევებიდან გამოდის, რომ სული განუწყვეტლივ ვითარდება ერთი ცხოვრებიდან მეორეში. დამშვიდების ჟამი როდისღა დადგება? საით უნდა მივისწრაფოდეთ, რომ სიმშვიდე მოვიპოვოთ?**



დასაწყისი იხ.2021 წლის „ა-დ“ №23-52, 2022 წლის „ა-დ“ №3-10

## სერგეი ლაზარევი

# კარმის დიაგნოსტიკა

**— ნებისმიერი ბედნიერების აზრი სიყვარულშია. ის ღმერთთან გვაერთიანებს.** ადამიანები სწორედ ამისთვის მიმართავენ უფალს. ავადმყოფობა, უბედურება, ტანჯვა ღვთის სიყვარულისკენ გვიბიძგებს. და გვიბიძგებს იძულებით, როდესაც ნებაყოფლობით ამისი გაკეთება არ გვსურს. სამყარო კი არასრულყოფილი იმიტომ არის, რომ მის გარეგნულ გამოვლინებებს სიყვარული აკლია. სიყვარული ენერგიას გვაძლევს. ის სამყაროში ყველაფერს აიძულებს, იმოძრაოს და განვითარდეს, ხოლო, როდესაც სიმშვიდისა და სიწყნარის მოპოვება გვინდა, შეგვიძლია სასაფლაოზე გავისეირნოთ — ეს ძალიან ამშვიდებს.

ამასწინათ ერთ ბიზნესმენს ვესაუბრე.

**— უცნაური რამ მემართება,** — მიყვებოდა ის, — **ფულს საკმაოდ ადვილად ვშოულობ, და საკმაოდ ბევრსაც. მაგრამ სრულიად აუხსნელად, არალოგიკურად ვკარგავ.**

დავინტერესდი და გამოკითხვა დავუწყე.

— ფული რისთვის გჭირდებათ — ბიზნესის განვითარებისთვის?

**— არა, არა, ფულზე მიჯაჭვული არ ვარ,** — მიპასუხა მან, **— ოდესღაც საკუთარ თავს ვუთხარი: სამასი ათასი დოლარი მჭირდება, რომ სიმშვიდე მოვიპოვო, საფიქრალი აღარაფერი მქონდეს და დავისვენო. საინტერესო ის არის, რომ როგორც კი ამ თანხას მივუახლოვდები, ფული სრულიად მისტიკურად ქრება.**

— თავდაცვის კარგი სისტემაა, — ვუპასუხე.

**— ვერ გავიგე,** — ცნობისმოყვარე თვალებით შემომხედა.

— როგორც კი მთავარი ოცნება მიღწეულია — ეს კი ენერგიის შეჩერებაზე, სიმშვიდეზე და, მაშასადამე, სიყვარულის უარყოფაზე ოცნებაა — ფიზიკური სიკვდილი უნდა დადგეს. ცნობიერება სიკვდილის მიღწევას ცდილობს, ქვეცნობიერება კი ატყუებს. თუკი ამგვარი „ბედნიერების“ მოპოვების მცდელობა მეტისმეტად დაჟინებული გახდება, უნდა გამოჩნდეს წარმატებული ბიზნესის დამაბრკოლებელი ფიზიკური დაავადება, რომელიც თვითმკვლელობას დაამუხრუჭებს.

ისმის კითხვა, მაშ, რატომ სურს ადამიანს სიმშვიდე? ეს ძალიან მარტივია. **თუ ადამიანი სიყვარულის გარეშე მუშაობს, სული და სხეული იფიტება და უბედურების შეგრძნება ჩნდება.** გარეგნულად, შეგნებულად სიმშვიდეზე იმიტომ ვოცნებობთ, რომ დარჩენილი ენერგიის შენარჩუნებას ვცდილობთ. ადრე გამუდმებით სიყვარულის შენარჩუნებაზე ვსაუბრობდი, ვუხსნიდი, რისი გაკეთება არ იყო საჭირო. მაგრამ, თუ პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ადამიანმა ისწავლა, როგორ არ უნდა ჩაკლას სულში სიყვარული, მეორე ნაბიჯიც უნდა გადადგას — სიყვარულისთვის ენერგიის მიცემა და სიყვარული ისწავლოს. ესე იგი, **ჭეშმარიტი ბედნიერება სიმშვიდეში კი არა, სიყვარულის უნარშია.** უფლისაკენ მუდმივი მისწრაფებისა და მასთან ერთიანობის გაძლიერების გარეშე კი ეს შეუძლებელია.





**ჩემი შეყვარებული პათოლოგიურად პატიოსანი და წესიერი ადამიანია. ტრამვაით უბილეთოდ ერთხელაც არ უმგზავრია, მთელი ფორთოხალი მარტო თვითონ არასოდეს შეუჭამია! ახლა მას კუჭქვეშა ჯირკვალი აქვს დაავადებული. ეს ერთმანეთს უკავშირდება?**

— წესიერება სიტყვა „წესრიგიდან“ წარმოდგება. მაგრამ წესრიგი გაყინული სტაბილურობა არ გახლავთ, ეს ნგრევასა და შექმნას შორის წონასწორობაა. **კაცობრიობა სტაბილური არ უნდა იყოს. ამქვეყნად არც არაფერი შეიძლება იყოს სტაბილური. ამიტომ ნგრევა აუცილებელია.** ის შექმნად გარდაიქმნება, როცა სიყვარულისადმი სწრაფვის ინტენსიურობა ნგრევის პროცესს აღემატება. განვითარების დაჩქარება იგივეა, რაც დამანგრეველი პროცესების დაჩქარება და, ამავე დროს, სიყვარულსა და ღმერთთან ერთიანობაზე მზარდი კონცენტრაცია. სწორედ სიყვარულისკენ სწრაფვა გვეხმარება სხვებზე ზრუნვაში, მათი ინტერესების გათვალისწინებაში, ზნეობრივად მოქცევაში. ფორმალურად ეს ქცევის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებშია დადასტურებული. მაგრამ, თუ მთელ ძალისხმევას მივმართავთ არა სიყვარულისკენ, რომელიც ზნეობრიობის საფუძველია, არამედ სტაბილურობისა და ყველა წესის განუხრელად დაცვისაკენ, ესე იგი, თაყვანს ვცემთ არა შემოქმედს, არამედ ადამიანებს შორის ურთიერთობას. და მაშინ რაც უფრო მკაცრია დისციპლინა, მით უფრო მაღალია ურთიერთობების სტაბილურობაზე კონცენტრაცია, და მით უფრო ძლიერია სტრესი, როცა ეს ყველაფერი ირღვევა. ეს კი უკვე ეჭვიანობის კლასიკური მაგალითია, რომელიც კუჭქვეშა ჯირკვალს უქმნის პრობლემას.

თხუთმეტიოდე წლის წინ ასეთმა კითხვამ დამაინტერესა: რა დღეშია ჩვენი ენერგეტიკა, როდესაც ახლობელ ადამიანზე ვფიქრობთ? ვცადე, მთლიანად განვმდგარიყავი და შორიდან დავკვირვებოდი ამ პროცესს. თავდაპირველად, თურმე, არ ვფიქრობთ. თავიდან საყვარელი ადამიანის შეგრძნება, მისი ნახვის, მასთან შეერთების სურვილი ჩნდება. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოყალიბდება ეს ყველაფერი აზრში. ანუ **აზრი არასოდეს აღმოცენდება, თუ გრძნობა არ არსებობს. ის გრძნობის საპირისპიროა, მაგრამ მისგან იბადება.** აზროვნების ნებისმიერ პროცესს ყოველთვის წინ უძღვის და თან ახლავს სიღრმისეული ემოციები. ფაქიზ დონეზე აზრი და ემოცია განუყოფელია. სწორედ ამით აიხსნება მეცნიერებისათვის დღემდე გამოუცნობი ფაქტი, რომ **კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში ადამიანები „ყურებით ხედავენ“ და „თვალებით ისმენენ“.** ანუ სმენით აღიქვამენ იმ ინფორმაციას, რომელსაც, ჩვეულებრივ, ვხედავთ, და ხედავენ იმას, რაც გვესმის ხოლმე. მაშ ასე, როცა საყვარელი ადამიანის ნახვა გვსურს, პირველ რიგში, ჩვენი სანერწყვე ჯირკვლები ჩაირთვება. თავიდან ვერ გავიგე — რატომ. მერე თანდათან ყველაფერი გაირკვა. მუშაობს მილიარდობით წლის მანძილზე ნაცადი მექანიზმი. როდესაც ჯერ კიდევ ერთუჯრედიანები ვიყავით, გარემოსთან მთავარი ფიზიკური, ინფორმაციული კონტაქტი საკვების მეშვეობით ხორციელდებოდა. ამიტომ ახლაც კი, მილიარდობით წლის შემდეგ, გარემომცველ სამყაროსთან ნებისმიერი კონტაქტის მცდელობისას სანერწყვე ჯირკვლები აქტიურდება, და მით უფრო ინტენსიურად, რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს კონტაქტი. იცით, არსებობს ასეთი უხამსი გამოთქმა: „ისე ძალიან მინდა, რომ კბილები მიკაწკაწებს“. მაგრამ მასში ევოლუციის ფუნდამენტური კანონებია ასახული. ადრე არ მესმოდა, რატომ აწუხებთ ეჭვიან ადამიანებს კბილები, მხედველობა ან სმენა. და უცებ მივხვდი: მხედველობა, სმენა, კბილები — ეს ყველაფერი სანერწყვე ჯირკვლების ევოლუციის შედეგია. სხვათაშორის, ტვინიც.

ამგვარად, გარე სამყაროსთან კონტაქტზე თავდაპირველად სანერწყვე ჯირკვლები აგებენ პასუხს, მერე — ფარისებრი ჯირკვალი, შემდეგ კი — კუჭქვეშა. თუ მარცხენა ფერდქვეშ მოულოდნელად ტეხის, ქაჩვის და სიმძიმის გრძნობა მიჩნდება, უკვე ვიცი: ამ დროს ვიღაცას ძალიან უნდა ჩემი ნახვა, ჩემ გამო დარდობს, ჩემი დაკარგვის ეშინია. ეს არაერთხელ შემიმოწმებია. **სამყაროზე ზედმეტი დამოკიდებულება ენერგიის დაკარგვას, აგრესიას და ავადმყოფობებს ბადებს.** დასკვნა როგორია? შიმშილობამ, განმარტოებამ, სექსუალურმა თავშეკავებამ მხედველობა, სმენა და კბილების სიჯანსაღე უნდა გაგვიუმჯობესოს. რაც, პრინციპში, ხდება კიდეც.

კუჭქვეშა ჯირკვალს დავუბრუნდეთ. რაც უფრო სუსტია სიყვარული, მით სწრაფად გაძვალდება გარეგნული ფორმები. **რაც მეტად ცდილობს ადამიანი ფორმის შენარჩუნებას, რაც უფრო მკაცრ რეჟიმში იყენებს თავს წესებისა და რიტუალების დაცვის მხრივ, მით უფრო სწრაფად სუსტდება სიყვარული.** მას დამოკიდებულება, ეჭვიანობა ცვლის, ბოლოს კი ავადმყოფობამდე და გადაგვარებამდე მივდივართ.

მეკითხებოდნენ, რატომ არის ჰომოსექსუალთა დედაქალაქი მაინცდამაინც ბერლინი? რატომ მიდის გერმანიაში ეს პროცესები უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა ქვეყნებში? იმიტომ, რომ გერმანელები განსაკუთრებით დისციპლინირებული ხალხია. მათთვის წესრიგი ყველაფერზე მაღლა დგას. რელიგიასთან ფორმალური, საწესჩვეულებო დამოკიდებულება, წესების გარეგნულად მკაცრი დაცვა და არსებითის არაფრად ჩაგდება სისხლსა და ხორცში გაუჯდათ და სახელმწიფო წესებში განხორციელდა.

**რაც მეტად ვაჩვევთ დისციპლინას სხეულს, მით უფრო სუსტდება სული.**

**— საკუთარ თავზე თქვენი მეთოდიკით მუშაობისას სიცოცხლისადმი რაღაცნაირი გულგრილობა რატომ მეუფლება? — სამთვიანი ძლიერი სტრესის შემდეგ გრძნობები გამიქრა. აგერ უკვე ერთ წელზე მეტია, სტრესი წავიდა, მაგრამ გრძნობები არა და არ მიბრუნდება. უგრძნობელ მდგომარეობასთან შეგუება ძალიან ძნელია, მაგრამ ვცდილობ, ფარ-ხმალი არ დავყარო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, განა რამდენი ხანი სჭირდება გრძნობების აღდგენას?**

— სამყარო ერთი მთლიანი ორგანიზმია. ქვეცნობიერის დონეზე ჩვენც მასთან ერთიანი ვართ. სწორედ იქ ვგრძნობთ თავს მთელ სამყაროდ. სხეულთან დაკავშირებულ ქვეცნობიერების პაწაწინა ნაწილს ცნობიერება ეწოდება. თუ ის მხოლოდ საკუთარ თავზე იწყებს მუშაობას, ერთიანობა ირღვევა. ეს სამყაროსკენ მიმართული აგრესიაა. ასეთი პროცესი სხეულისა და ცნობიერების რღვევით ჩერდება. **სამყაროს ჭეშმარიტი სახება სიყვარულის გრძნობაშია გამოხატული.** და თუ ჩვენი სხეულის არსებობა სულში სიყვარულის გრძნობას არ აკნინებს, თუ მტკივნეულ სიტუაციაში — დანაკარგის, რღვევის დროს სიყვარული შენარჩუნებული იქნება, მაშასადამე, ჰარმონია შევინარჩუნეთ. ის, რასაც სიცოცხლისადმი ინტერესს ვეძახით, მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ნამცეცა შემადგენლისაკენ მიმართული ენერგეტიკული ნაკადია. სტრესი ამ შემადგენლისგან გვაშორებს. ღმერთისადმი სიყვარულიც იმავეს აკეთებს. როდესაც ჰარმონია აღდგება, სიცოცხლისადმი ინტერესი კვლავ ჩნდება. ხშირად აპათიის მდგომარეობას, სურვილების არარსებობას, სიცოცხლისადმი ინტერესის დაკარგვას ადამიანი კატასტროფად აღიქვამს. მას ნაღველი ერევა, დეპრესიაში ვარდება ან თვითმკვლელობას სჩადის — ჰოდა, ცდება. ის, რაც მას უბედურებად მიაჩნდა, სინამდვილეში მხოლოდ ცხოვრებისაგან განდგომა იყო. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ყოფნისას ხდება ახალი ენერგიის დაგროვება. ასეთ მდგომარეობაში სიხარული და ლოცვაა საჭირო. როდესაც გრძნობები გამძაფრებული გვაქვს და სიცოცხლისადმი ინტერესი მაქსიმალურია, ღმერთი ძნელად გვახსენდება. აღმოსავლეთის მკვიდრისათვის სიცოცხლისადმი ინტერესის განელება ბედნიერება და სამყაროს შეცნობის ახალი შესაძლებლობაა. დასავლელისათვის — ტრაგედიაა და სიცოცხლის აზრის დაკარგვა. **თუ თქვენს სულში უფრო მეტი სიყვარული და უფლისადმი სწრაფვა იქნება, როგორც დანაკარგის, ისე შენაძენის მომენტში რეალურად ბედნიერი გახდებით.**

*გაგრძელება იქნება*

# მიხეილ ცაგარელი: რაზე მიგვითითებენ ზოდიაქოს ნიშნების გრაფიკული სიმბოლოები



***— ზოდიაქოს ნიშნების გამოსახვისას რა და რა სახის სიმბოლოები გამოიყენება? რომელი მათგანია შედარებით მარტივი, თუმცა, თავისი მნიშვნელობით უფრო რთული და ღრმა? რომელი გამოისახება გაღივებული თესლის ან ეს-ესაა აღმოცენებული მცენარის სახით? რომელი გვაგონებს ფართო ლარნაკს, ფაფარაშლილ ლომს, ნამგლით მოცელილ თავთავთა კონას ანდა ჩამავალ მზეს? რომელი მათგანი უკავშირდება გაზაფხულის ან შემოდგომის ბუნიობასა და დღეღამტოლობას? რომელი მიგვითითებს ამ ზოდიაქოს ნიშნის ლიდერულ თვისებებზე, მატერიალურობაზე, მუდმივ სულიერ თუ ფიზიკურ კავშირზე, უსაფრთხოებასა და დაცულობაზე, მედიდურობასა და კეთილშობილებაზე ან გაწეული შრომის ნაყოფზე და გასამრჯელოს მიღებაზე და რატომ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— ყველას გვინახავს ზოდიაქოს ნიშნების გრაფიკული სიმბოლოები. ამჯერად უფრო დეტალურად გაგვაცანით, თუ რას წარმოადგენენ და რაზე მიგვითითებენ ეს გამოსახულებანი?**

— დავიწყებ იმით, რომ **ზოდიაქოს ნიშნების გამოსახვისას ძირითადად ორი სახის სიმბოლოებს იყენებენ.** პირველი ხშირ შემთხვევაში ასახავს თანავარსკვლავედის უფრო დეტალურ, სრულფასოვან და ლამაზ ნახატს. მეორე კი — იგივე ნიშნის გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც რაღაცით რომაულ ციფრებსაც კი გვაგონებს. მოგეხსენებათ, რეალისტური ნახატის ხილვისას ყველაფერი გასაგებია, რამეთუ იგი ზუსტად შეესაბამება ზოდიაქოს ნიშნის დასახელებას და იმ თანავარსკვლავედს, რომელსაც აღწერს, მაგრამ, თუ რას წარმოადგენს ზოდიაქოს სიმბოლური გრაფიკული გამოსახულება, ყველასთვის გასაგები შესაძლოა, არ იყოს. სინამდვილეში ის იგივე ზოდიაქოს ნიშნის გამოსახულებაა, ოღონდ ბევრად გამარტივებული, თუმცა, მისი სიმბოლური მნიშვნელობა გაცილებით რთული და ღრმაა, ვიდრე ზოდიაქოს ნიშნის შესატყვისი ცხოველის ან საგნის რეალური ფოტო. ამგვარად, განვიხილოთ თითოეული ზოდიაქოს ნიშნის სიმბოლური მნიშვნელობა და ვნახოთ, თუ რას გამოხატავს იგი სინამდვილეში. დავიწყოთ ტრადიციულად ზოდიაქოს პირველი ნიშნით.

1. ♈ **ვერძის გრაფიკული სიმბოლო ცხვრის მომრგვალებულრქებიანი თავის მოხაზულობაა, რომელიც ნაწილობრივ ადამიანის ცხვირსა და წარბებსაც მოგვაგონებს** (ნიშანდობლივია, რომ ადამიანის სხეულის სწორედ ამ ნაწილს განაგებს ვერძის ზოდიაქო). **მომრგვალებული რქები ნაწილობრივ ასახავს მიწიდან ეს-ესაა აღმოცენებულ მცენარესაც, რაც გამოღვიძების, ახალი სიცოცხლის, გაზაფხულის, დასაწყისის, მაცოცხლებელი ძალის სიმბოლოცაა.** და ეს არც არის გასაკვირი, რადგან, ერთი მხრივ, **ვერძის ზოდიაქოს პერიოდი გაზაფხულის პირველ თვეს იწყება და ასტროლოგიური ახალი წლის დაწყებას, გაზაფხულის ბუნიობასა და დღეღამტოლობას ემთხვევა. მეორე მხრივ, ვერძის თავი მიგვანიშნებს მის ბრძოლისუნარიანობაზე, ლიდერულ თვისებებზე და შეუპოვრობაზე.** ყველა ეს თვისება **ვერძის** ნიშანს ზუსტად ასახავს და მის ხასიათს გადმოგვცემს.

2. ♉ **კუროს გრაფიკული სიმბოლო ორი მხრიდან რქებაშვერილი ხარის თავის გამარტივებული გამოსახულებაა, სადაც რქები ერთგვარ თასს, ლარნაკს მოგვაგონებს, რომელიც წრის თავზეა დაბრძანებული. იგი მატერიალური ძალაუფლებისა და სრულფასოვანი ყოფიერების სიმბოლოა.** თუ გავიხსენებთ, რომ **კუროს** ნიშანი დინჯი, მაგრამ საკმაოდ ძლიერია, მაშინ ხარის თავი, როგორც სიმბოლურად ძალის გამოხატულება შესატყვისი იქნება. მეორე მხრივ, **კურო** ყველაზე მატერიალურია ზოდიაქოს ნიშანთა შორის და მატერიალურ და ფინანსურ კეთილდღეობას განაგებს, რაც ხვავით სავსე ფართო ლარნაკის სიმბოლოთია გადმოცემული.

3. ♊ **ტყუპის ზოდიაქოს სიმბოლური ნიშანი გამოიხატება ორი პარალელური ხაზითა და მათი შემაერთებელი ზედა და ქვედა პერპენდიკულარული რკალით, რაც სიმბოლურად ორი ტყუპისცალის გამოსახულებას გადმოგვცემს, რომელნიც მუდმივ კავშირში იმყოფებიან. ამასთან, ზედა და ქვედა ხაზები მიგვითითებენ იმაზე, რომ ისინი მუდმივად ინფორმაციას ერთმანეთში ცვლიან, მუდამ ურთიერთობენ და დაკავშირებული არიან როგორც სულიერად** (ზედა ხაზი), **ისე მატერიალურად** (ქვედა ხაზი). გავიხსენოთ ისიც, რომ **ტყუპის** ზოდიაქოს ნიშანი მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოებას, გარემოს, მუდამ კომუნიცირებს. იგი მართავს ურთიერთობებს, ინფორმაციის მიღება-გადაცემას და დედმამიშვილებთან კავშირს.

4. ♋ **კირჩხიბის სიმბოლური ნიშანი კი ერთი მხრივ, კიბორჩხალის საცეცებს გამოსახავს, მეორე მხრივ კი, ორ ეს-ესაა გაღივებულ თესლს. ნიშანდობლივია, რომ კიბორჩხალას საცეცები ამ ნიშნის სიცოცხლისუნარიანობაზე მიგვანიშნებს. იგი ტანით თავის შვილებს ატარებს და მას ჯავშანი აქვს, ამიტომაც ამ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლები ცდილობენ, ისეთი დაცული გარემო შექმნან, სადაც თვითონ, მათი შვილები და ახლობლები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ. კირჩხიბი** არის ნიშანი დედობის, გამრავლების. იგი ფარული საწყისის ნიშანიცაა, რაზეც გაღივებული თესლი მიგვითითებს.

5. ♌ **ლომის ზოდიაქოს გრაფიკული სიმბოლო ლომის თავისა და მისი აშლილი ფაფრის გამარტივებული გამოსახულებაა. მეორე მხრივ კი, მოგვაგონებს ბერძნული ანბანის ასო „ლამბდას“, რომელიც ბერძნულად სიტყვა „ლომის“ პირველი ასოცაა. ლომი** ცხოველთა მეფეა პროფილში, მისი ამაყად აწეული თავის გამოსახულება ამ ზოდიაქოს ამაყ, მედიდურ, თავდაჯერებულ, კეთილშობილურ ხასიათზე მიგვანიშნებს. მას სხვა სიმბოლო არ სჭირდება, ამიტომაც თავისი მეორე არსით იმ ასობგერას აღწერს, რომელიც მისივე სიმბოლოა. **ლომი** ლიდერია, მთავარია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

6. ♍ **ქალწულის ზოდიაქოს გრაფიკული გამოსახულება ნამგლით მოცელილ თავთავთა კონას ასახავს. ეს ზოდიაქოს ნიშანი სიმბოლურად უკავშირდება შრომას, სამსახურს, ნებისმიერი საქმის მიმართ პრაქტიკულ მიდგომას და, რაც მთავარია, მოსავლის აღებას.** ასევე მუშაობის შედეგის, გაწეული შრომის ნაყოფის, გასამრჯელოს მიღებას.

7. ♎ **სასწორის ზოდიაქოს ნიშნის გრაფიკული გამოსახულება, ერთი მხრივ, სასწორს ასახავს, მეორე მხრივ კი მზის ჩასვლას გვაგონებს.** სიმბოლურად **სასწორის** ნიშანი წონასწორობისკენ, ჰარმონიისკენ, სამართლიანობისკენ ლტოლვას ასახავს, რაც ამ ზოდიაქოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი თვისებაა. **ჩამავალი მზე კი მიგვანიშნებს შემოდგომის დღეღამტოლობაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მზის შებრძანებას სასწორის ზოდიაქოს ნიშანში,** რის შემდგომაც დღის შემცირება და ერთგვარი მიძინება, სიმბოლური კვდომა იწყება.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 7-13 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ახლობლებისგან საქმიანი შემოთავაზების მისაღებად საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლება. უეცარ ხარჯებს თუ თავს აარიდებთ, დანაზოგს სასიკეთოდ გამოიყენებთ. საყვარელი ადამიანის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. მოგზაურობა გადადეთ, რადგან მაღალია ავარიის ალბათობა. ენერგეტიკული მაჩვენებლები დაქვეითებული გაქვთ, ამიტომ ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**კურო** (21.04-20.05)
მგრძნობელობა და ინტერესი მიმდინარე პროცესების მიმართ იმატებს, საბანკო საქმესა და კომერციაში ბედი გაგიღიმებთ. ძალისმიერად ნუ იმოქმედებთ, ნურავის შეეწინააღმდეგებით. ის აკეთეთ, რაც მარტივად გამოგდით. ინტუიციას დაეყრდენით. მიღებული ინფორმაცია მოგზაურობას გადაგაფიქრებინებთ. მგზავრობისას გამაბრუებელ საშუალებებს, სიჩქარესა და აზარტულობას მოერიდეთ, რათა არ დაშავდეთ. სასიყვარულო ურთიერთობა კი სწრაფად განვითარდება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ორაზროვან სიტუაციათა სიუხვე დაგღლით, მაგრამ ყველა პრობლემას უშეცდომოდ გაუმკლავდებით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ და ეს კვირა სახლში ინტერიერის გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ. გართობასა და ახალ შენაძენზე ნუ დახარჯავთ ბევრ ფულს. სამსახურში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას გაიუმჯობესებთ, რაც, შესაძლოა, დაწინაურებითაც დაგვირგვინდეს. ეცადეთ, არ გადაიღალოთ, რამეთუ ორგანიზმი ჯერ ისევ დასუსტებულია.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ამ კვირაში, შესაძლოა, პერსპექტიულ პროექტს ჩაეყაროს საფუძველი. უცხოეთთან დაკავშირებული ან პედაგოგიური მოღვაწეობა წარმატებას გიქადით. შესაძლოა, ნათესავები გესტუმრონ და კარგი სიახლენი გაცნობონ. ოჯახის წევრთა რჩევები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. საიდუმლო მეგობრობა ან ფარული სასიყვარულო ურთიერთობა პერსპექტიული აღმოჩნდება. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
კონკრეტული მიზნის დასახვა და მოქმედება გაგიჭირდებათ, ამიტომ შესაძლოა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაგიჩნდეთ, სამსახურში ნურავის ნურაფერს დააძალებთ, რათა კოლეგათა უკმაყოფილება არ გამოიწვიოთ, ფინანსური მდგომარეობა კი დამოკიდებული იქნება თქვენს გამჭრიახობასა და ქმედითუნარიანობაზე. ამ პერიოდში სიყვარულსაც კი საქმიანი ელფერი ექნება. უცხოეთში გამგზავრების შემთხვევაში ბევრ პოზიტიურ შთაბეჭდილებას მიიღებთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
კომფორტისა და სილამაზის მოთხოვნილება მოგეძალებათ. ხიბლი მოგემატებათ, რაც საწინააღმდეგო სქესის თაყვანისმცემლებს შეგმატებთ. მყარ სასიყვარულო ურთიერთობას კი უჩვეულო ვითარების გამო, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. ურთიერთობისას თავშეკავება გამოავლინეთ და ეცადეთ, სახლში მშვიდ სიტუაციაში მეტი დრო გაატაროთ. შორეული მოგზაურობა დიდ წარმატებას არ მოიტანს და უფრო ფულის დახარჯვის მიზეზი გახდება.

## 7-13 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საეჭვო პროექტებისგან ჯობს, თავი შეიკავოთ. გარისკვისა და ძალისმიერი ქმედებებისთვის, ასევე კრედიტისა და ვალის ასაღებად არახელსაყრელი პერიოდია. ჯობს, ახალი საქმის დაწყებაზეც უარი თქვათ. კრიტიკულ სიტუაციათა რაოდენობა გაიზრდება, ამიტომ ემოციურობა დაიოკეთ. ფიზიკური ამტანობის დაქვეითებისას დროულად მიაკითხეთ ექიმს და ხშირ-ხშირად დაისვენეთ. პირადი ურთიერთობებისას კი მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გარშემო მყოფთა მართვას და სწრაფ გამდიდრებას ნუ შეეცდებით, რადგან, შესაძლოა, გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვათ. კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან კამათს მოერიდეთ. ჯობს, ეს კვირა მშვიდად გაატაროთ, ნაკლები იმუშაოთ და დაღლა თუ ფსიქოემოციური სტრესი სპორტული ვარჯიშებით მოიხსნათ. მგზავრობა გადადეთ, რამეთუ გაუთვალისწინებელი უსიამოვნებების ალბათობა არსებობს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ძირითად ყურადღებას კარიერას და სწავლას მიაპყრობთ. თქვენი ენერგეტიკული მაჩვენებელი დაბალია, რაც, შესაძლოა, მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობაზეც აისახოს. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რათა არაფერი წააწდინოთ. ახალი ვნებებისა და ემოციების მიმართ თავშეკავება გმართებთ, რათა უკვე არსებულ კავშირს პრობლემა არ შეუქმნათ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
პროფესიულ საქმეში უახლეს მეთოდებს გაეცანით, რათა მოძველებული შეხედულების გამო სამუშაო არ გართულდეს და მოგება არ დაკარგოთ. პრიორიტეტებს გადახედეთ და ზუსტი მიზნები დაისახეთ. თქვენს შესახებ ჭორის გაგების შემთხვევაში გაუგებრობა დროულად გაარკვიეთ. ოჯახის წევრებთან, ბავშვებთან ან შეყვარებულთან გაუგებრობანი კი ადვილად გაირკვევა. მოგზაურობას ნუ დაიწყებთ, რათა პრობლემებს თავი აარიდოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ახალი საქმის დაწყებისას მეტი სერიოზულობა გმართებთ, რადგან დაშვებული შეცდომების გამოსწორება გაგიჭირდებათ. ოცნების ასრულება წინააღმდეგობებსა და ექსტრემალურ სიტუაციებს დაუკავშირდება. შვილებსა და მათ პრობლემებს ყურადღება მიაქციეთ. ეცადეთ, ახლობლებთან არ იკამათოთ. მშვიდ გარემოში დასვენება ან ახლო მანძილზე მოგზაურობა განწყობას გამოგისწორებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ყოველივე მოძველებულსა და მომაბეზრებელზე უარი თქვით. ახალი მეთოდებით იმოქმედეთ და ახალ გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარეთ. განმარტოება და ფიქრი ხელს შეუწყობს ახალ იდეებს და შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერებას. ამ დროს ჩამოყალიბებული იდეები მომავალში ადვილად განხორციელდება. შესაძლოა, გამგზავრება მოგიწიოთ, რაც თქვენს მსოფლმხედველობას პოზიტიურად შეცვლის. სასიყვარულო ურთიერთობა კი იდილიური სიმშვიდით და სტაბილურობით გაგახარებთ.

მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 7,8,10 და 11 მარტი
2 მარტი – ახალმთვარეობა,
18 მარტი – სავსემთვარეობა.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 7 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.27 საათზე, ჩადის 17.58 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 08.47 საათზე, ჩადის 23.07 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 09.48 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** იღბლიანი დღეა. ნუ შეეცდებით, ყველას თავი მოაწონოთ. ტრადიციებს მიჰყევით. პარტნიორთან ურთიერთობისას ნებისმიერ საკითხს პრაგმატულად მიუდექით. საერთო საქმეზე იფიქრეთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო შეხვედრებისთვის, შემოქმედებისთვის, ახალი ნაცნობების შესაძენად, მგზავრობისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი გაბრაზება, ყვირილი, განკითხვა, ალკოჰოლური სასმლის, მედიკამენტების (განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა) მიღება, სარისკო ქმედებანი, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, ორპირ ქარს მოერიდეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ყვითელი იასპი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 8 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.25 საათზე, ჩადის 17.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.41) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 09.41 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 10.01 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.35 საათიდან 22.41 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა კულინარიული საქმიანობისთვის, პარტნიორთან რთული საკითხების მოგვარებისთვის, ავეჯის გადასაადგილებლად, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის შესაძენად, მგზავრობისთვის, შემოქმედებისთვის, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, არომათერაპიისთვის, შარდსასქესო სისტემის სამკურნალოდ. არ არის სასურველი სარისკო ქმედებანი, კისრის მკვეთრი მოძრაობა. მოერიდეთ ორპირ ქარს. მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ცეცხლთან და მჭრელ საგნებთან მიმართებით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარგალიტი, ზურმუხტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 9 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.23 საათზე, ჩადის 18.00 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 09.44 საათზე, ჩადის 10 მარტს 00.10 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.18 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** სიტყვები აკონტროლეთ. მაღალია ცდუნებების, მოტყუების, ჭორების, ინტრიგების, დაცინვის, ქურდობის ალბათობა. ყურადღებით იყავით! კარგი იქნება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ცოტათი მოწყვეტა, რაც სასიკეთოდ აისახება თქვენს ბიზნესზე. მოერიდეთ ძილის წინ ზედმეტი ინფორმაციის მიღებას. კარგი დღეა აუქციონისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, ინფორმაციის მიღება-გადაცემისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება, მანიკიურ-პედიკიურის გაკეთება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰაიცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი, ბერილი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 10 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.22 საათზე, ჩადის 18.02 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 10.20 საათზე, ჩადის 11 მარტს 01.12 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.42 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 14.47 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.43 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში (27 მარტამდე), რაც გააძლიერებს ინტუიციას, მგრძნობელობას, სენტიმენტალურობას, იუმორის შეგრძნებას, თანაგრძნობას, ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, ქველმოქმედებას, კოსმოსური კანონებით დაინტერესებას და ასევე ფანტაზიებსა და ილუზიებსაც. დღეს შესაძლებელი იქნება პრობლემების გადაწყვეტა, დახმარების მიღება. კარგი დღეა მოლაპარაკებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ინფორმაციის გაცვლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სასიკეთო იქნება ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰელიოტროპი, საფირონი, ციტრონი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 11 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.20 საათზე, ჩადის 18.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.25) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 11.02 საათზე, ჩადის 12 მარტს 02.11 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.17 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია** 00.00 საათიდან 11.25 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, პოზიტიური განწყობა შეინარჩუნოთ, ყოფით საქმეებზე გადაიტანეთ ყურადღება. ილუზიებს ნუ აჰყვებით. მაღალია მოტყუების, შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო ნივთების შესაძენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის ან ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება, სახლის მშენებლობის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, ფილტვები, ბრონქები, მხრები, მკერდი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, მარგალიტი, ოპალი, აქატი, ვეფხვის თვალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 12 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.18 საათზე, ჩადის 18.04 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 11.52 საათზე, ჩადის 13 მარტს 03.05 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.05 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ყური უგდეთ ინტუიციას. შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება. პარტნიორთან ურთიერთობისას ემოციები აკონტროლეთ. ერთმანეთს გაუფრთხილდით. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთი ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახო ნივთების, ავეჯის, ანტიკვარიატის, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესაძენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, ცხოველთა შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. სასმელ-საჭმლის ხარისხი გააკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარგალიტი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 13 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.17 საათზე, ჩადის 18.05 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.33) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 12.49 საათზე, ჩადის 14 მარტს 03.53 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.08 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.44 საათიდან 23.33 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს იმატებს შინაგანი ხიბლი და ქარიზმა. ეცადეთ, ეტიკეტი დაიცვათ. პარტნიორთან მიმართებით მეტი ზრუნვა გამოავლინეთ. აკონტროლეთ ემოციურობა, ეჭვიანობა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო ნივთების, ანტიკვარიატის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, ბავშვის ჩასახვისთვის, ტრადიციების პატივისცემისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სახლის მშენებლობის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირებების გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, რაუხტოპაზი, აქატი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**8 მარტი – ხსენება წმიდისა მღვდელმოწამისა პოლიკარპესი, ზმირნელი ეპისკოპოსისა**



**9 მარტი – ხსენება წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად და მეორედ პოვნა**

✝ 7 მარტი. ორშაბათი. **დიდმარხვის დასაწყისი. წმიდათა მოწამეთა ცხრათა ყრმათა კოლაელთა;** პოვნა წმიდათა ნაწილთა ევგენიელ მოწამეთა: მოციქულისა, 70-თაგანისა ანდრონიკესი, იუნიასი და სხვათა; მოწამეთა მავრიკისა და 70-თა მხედართა: ფოტინისი, თეოდორესი, ფილიპესი და სხვათა; ღირსისა ვარადატი ანტიოქიელისა; ღირსთა: თალისისა და ლიმნისა, სირიელ მეუდაბნოეთა. ღირსისა ათანასე აღმსარებელისა; მღვდელმოწამისა ტელესფორე რომის პაპისა; მოწამეთა ანთუსასი და მისთა 12-თა სახლიკაცთა; არისტონისა, კვიპროსის არსინოეს ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 8 მარტი. სამშაბათი. **მღვდელმოწამისა პოლიკარპესი, ზმირნელი ეპისკოპოსისა;** ღირსთა: იოანესი, ანტიოქესი, ანტონინესი და მოსესი; ღირსთა: ზევინისი, პოლიქრონისი, მოსესი და დამიანესი, სირიელ მეუდაბნოეთა; ღირსისა ალექსანდრე მონაზონისა, „მღვიძარეთა“ სავანის წინამძღვრისა; ღირსისა დამიანე ესთიგმენელისა, ათონელისა; მოწამისა კლიმენტისა; მოწამისა თეისა; წმიდისა გორგონიასი, გრიგოლ ღმრთისმეტყველის დისა; 73-თა სირმიონელ მოწამეთა.

✝ 9 მარტი. ოთხშაბათი. **წმიდისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანეს პატიოსნისა თავისა პირველად და მეორედ პოვნა;** ღირსისა იოანე მომკელისა, კალაბრიელისა; ღირსისა ბოიზილ შოტლანდიელისა; წმიდისა ეთელბერტისა, ინგლისის მეფისა.

✝ 10 მარტი. ხუთშაბათი. ტარასისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა ალექსანდრესი, რომელი იწამა დლიზიპარს თრაკიისასა; მოწამისა აბდალმესია ჰურიისა; მღვდელმოწამისა რიგინისა, სკოპელოსის ეპისკოპოსისა; მოწამისა ანტონისა; ნეტარისა თეოდორე სალოსისა.

✝ 11 მარტი. პარასკევი. პორფირისა, ღაზელი მთავარეპისკოპოსისა; დიდმოწამისა ფოტინე სამარიტელისა და მისთანა მოწმეთა: ბიქტორისა, იოსესი, ანატოლიასი, ფოტოსი, ფოტიდესი, პარასკევასი, კვირიაკიასი, დომნინასი, სებასტიანესი და ქრისტოდულესი; მოწამისა თეოკლიტე მეწამლისა; ხსენება იოანე ოქროპირის ხუცესად ხელთდასხმისა; წმიდისა ნიკოლოზ კატოპინელისა; ახალმოწამე იოანე კალფასი, კონსტანტინოპოლელისა.

✝ 12 მარტი. შაბათი. დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა; თევდორობა; ღირსისა პროკოპი დეკაპოლელისა, აღმსარებელისა; ღირსისა თალალე სირიელისა; ღირსისა სტეფანესი, რომელმან აღაშენა სასნეულო არმატიისა; მოწამისა ნისიოსისა; მოწამისა გელასისა; ღირსთა ასკლეპიოსისა და იაკობისა; ლეანდრესი, სევილიის ეპისკოპოსისა; ახალმოწამისა ილია ტრაპეზუნდელისა; რაფაელისა, ბრუკლინის ეპისკოპოსისა.

✝ 13 მარტი. კვირა. **მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმარხვის I კვირა. ღირსისა ბასილი აღმსარებელისა;** მღვდელმოწამისა პროტერისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა; მღვდელმოწამისა ნესტორ ეპისკოპოსისა, პამფილიის პერგეს ვნებულისა; ღირსთა დედათა მარინასი და კირასი; მოციქულთა: ევულოსისა და ნუმფასი; მოწამისა აბერკისი; ახალმოწამისა ნა (ანა) თესალონიკელისა; ღირსისა გერმანესი.



**ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი** ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს დარბაზის ეთნარქს, **პროფესორ ვაჟა ბერიძეს** დის — დარბაზის ერთ-ერთი დამფუძნებლის, მედიცინის ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის

**გუგული იოსების ასული ბერიძის**

გარდაცვალების გამო.

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

***პანაშვიდი:*** *7 მარტს, ორშაბათს, თბილისი, ნუცუბიძის, მე-4 მიკრორაიონი, კორპუსი 5, ბინა 93.* ***დაკრძალვა:*** *8 მარტს, სამშაბათს, 12 საათზე, ბორჯომის ახალდაბაში.*

მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

574-73-46-96, 243-01-17

555-68-82-90





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

გიდმედი

GIDMEDI

გჯეროდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად: 1. თამბაქო; 7. პადუა; 12. ლანკომი; 13. დასტა; 14. ფარვანა; 15. ჯეზვე; 16. რელიეფი; 17. ნაგაი; 18. იმამატი; 22. ნეირო; 23. ფელინი; 26. მდადე; 27. გრადაცია; 28. შივა; 30. რემარკა; 31. რიდი; 33. მეტიჩარა; 34. ბარდა; 35. ჯანდაბა; 36. ბუ; 37. ქინაქინა. 41. თიაქარი; 42. არმაზი; 44. ლიმონათი; 45. სევილია; 49. კალორია; 51. მოჰიკანი; 55. კალმანი; 56. პირატი; 59. ტრანსპორტი; 60. ლეგატი; 62. ნადალი; 63. პატისონი; 64. ბიაბრუ.**

**შვეულად: 1. თაფლი; 2. მურწა; 3. აბაკა; 4. ოლარი; 5. ანალოე; 6. მოპედი; 7. პიჯინი; 8. დიზაინი; 9. ადენომა; 10. ასიგნატი; 11. კაპიტელი; 19. მარკესი; 20. მადეირა; 21. ტიციანი; 23. ფარაჯა; 24. ლამინარია; 25. ნირვანა; 28. შაბათი; 29. ვერსაჩე; 31. რადარი; 32. დებილი; 37. ქალა; 38. ნამყო; 39. ქინძი; 40. ნათია; 43. ზორბა; 45. საკი; 46. ვოლტერი; 47. ლუარა; 48. ანისი; 49. კი; 50. ლუი; 51. მარკა; 52. ჭენრი; 53. კოპიო; 54. ნარდი; 56. პინა; 57. რადა; 58. ტალი; 61. ტერ.**

**ტაბურეტირადიკალიგულაბისერიალიკანტელემანია**
**მელანინიძეგვინეაპოლინუმინალიაბაკარაზარაფი**

უზურგო სკამი | ამოფესვის ნიშანი (მათ.) | მსხლის ჯიში | „საპნის ოპერა“ | ფინური ხალხური სიმებიანი საკრავი | ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი

აკრძალვა პირველ-ყოფილ ხალხში | საზოგადოებრივი საპირფარეშო ქალაქებში | რომის იმპერატორი | წვრილი საქარგავი მძივი | ქალაქი ესპანეთში | დამხმარე თეორემა | ქალაქი ბამზე ... ბრუზი-ნსკაია



თარაზულად: 1. ბალახოვანი მცენარე ნიკოტინის შემცველი ფოთლებით; 7. ქალაქი იტალიაში; 12. ფრანგული პარფიუმერიული კომპანია; 13. მედუდუკეთა ანსამბლი; 14. პატარა ღამის პეპელა; 15. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი; 16. ამობურცულობა სიბრტყეზე; 17. იაპონელი მწერალი; 18. იმამის ხელისუფლება; 22. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ნერვულს; 23. იტალიელი რეჟისორი; 26. პატარძლის მაყარი ქალი; 27. თანმიმდევრობა, თანდათანობა, ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა; 28. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება; 30. ავტორის შენიშვნა დრამატულ ნაწარმოებში; 31. ინგლისელი მწერალი; 33. მატრაკვეცა; 34. პარკოსანი კულტურა; 35. ჯოჯოხეთი, მოუსავლეთი; 36. ღამის ფრინველი; 37. მალარიის სამკურნალო პრეპარატი; 41. სენი, რომელსაც ხალხში „გრიპას“ უწოდებენ; 42. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მცხეთასთან; 44. ხილის ტკბილი სასმელი; 45. ქალაქი ესპანეთში; 49. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 51. ფ. კუპერი — „უკანასკნელი ...“; 55. უნგრელი კომპოზიტორი; 56. მეკობრე; 59. სახალხო მეურნეობის დარგი; 60. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 62. ესპანელი ჩოგბურთელი; 63. ბრტყელი ყაბაყი; 64. არაფრად ჩაგდება, დამცირება.

შვეულად: 1. ფუტკრის პროდუქტი; 2. თევზის სახეობა; 3. ტროპიკული მცენარე, ე.წ. საფეიქრო ბანანი; 4. მღვდლის სამოსის ნაწილი; 5. საღმრთო წიგნების მაგიდა მართლმადიდებელთა ეკლესიაში; 6. გაუმჯობესებული მოტოველოსიპედი; 7. გამარტივებული ინგლისური ენა; 8. მხატვრული მოდელირება; 9. ერთგვარი კეთილთვისებიანი სიმსივნე; 10. ქაღალდის ფული საფრანგეთის რევოლუციის დროს; 11. კოლონის ზედა ნაწილი; 19. კოლუმბიელი მწერალი; 20. პორტუგალიის კუნძული; 21. იტალიელი ფერმწერი; 23. მაზარა; 24. წყალმცენარე, ზღვის კომბოსტო; 25. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 28. კვირის ერთ-ერთი დღე; 29. იტალიელი დიზაინერი; 31. ლოკატორი; 32. ჭკუასუსტი ადამიანი; 37. თავის ჩონჩხი; 38. წარსული დრო; 39. მწვანილის სახეობა; 40. ექსმინისტრი ... თურნავა; 43. წარმოსადეგი, დიდი; 45. პეპლების საჭერი მოწყობილობა; 46. ფრანგი მწერალი; 47. მდინარე საფრანგეთში; 48. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 49. დასტურის სიტყვა; 50. ფრანგ მეფეთა სახელი; 51. საფოსტო ნიშანი; 52. ინდუქციურობის ერთეული; 53. ასლი; 54. თამაში კამათლებით; 56. სასწორის თეფში; 57. უკრაინის პარლამენტის სახელწოდება; 58. იგივეა, რაც კაჟი; 61. სომხური გვარების თავსართი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

პიგმენტი, განსაზღვრავს კანის, თმის ფერს | სოფელი მცხეთის რაიონში | ქალაქი იტალიაში | ქაღალდის ფულზე აღნიშნული ღირებულება | საფეიქრო ბანანი | კარის რკინის საკეტი | მიკროავტობუსის ტიპი

გარეული ცხოველი | მსახიობი ია ... | სახელმწიფო ... ბისაუ | ალგებრული მრავალი წევრი | სასიმინდე | უმაღლესი ხარისხის ბროლი | სარგებლით ფულის გამსესხებელი

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 7 – 13 მარტი №11 (1423)

გამოდის ორშაბათობით

ISSN 2233-3800

მეღიაჰოიჰოიაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.ge** ან **www. asdas.ge**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.ge** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.ge** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**